

83

ე. ი. ი. გ. რ. ე. რ. ე. რ.

საქართველოს

(47.93) 9

მაგლე ისტორია ფ 236

შედგენილი

მოხე ჯანაშვილისაგან.

~~63/1~~ 1 K 270.0122
3

გამოცემული

თამარ ქართველი შეგიღისა.



თბილისი.

არ. კალანდაძე და ამხ. სტამბა.

1884.



საქართველოს პარლამენტის
04736700 მარკიონისა

1868 თბილი

თბილი გვერდი

თბილი

თბილი გვერდი

თბილი

თბილი გვერდი ბეჭისი

Дозволено цензурою, Тифлисъ 29 марта 1884 года.

წინასიტყვაობის მაგიერი.

სიბნელე, წყუდიადი, მასალების უქონლობა: მა-
 რიანეთა, სიგელთა, გუჯართა, ზღაპართ-თქმულებათა გა-
 მოუკელეველობა, კრიტიკულად განუხილელობა; უცხო-
 ელთა მწერალთა საქართველოშედ და, საზოგადოდ, ამიერ
 ქავკისიაზედ მოთხოვობების და ცნობების შეუკრებელობა
 და ქართულს ენაზე გადმოულებლობა; გამოუჩილეველო-
 ბა ვონებითი (ხელოვნება, მოვონება) და ზნეობითი ნა-
 მოქმედარისა და ნაღვაწისა; სიმცირე ანუ, უკეთ
 ესთქვათ, უქონლობა ეთნოგრაფიულის ისტორიისა არა თუ
 ქართლობისანთა მოდგმის უმცირეს წარმომადგენლებზე
 (მესხებ-ჭანებ-მეგრელ-მთიულებზე), არამედ უმთავრესებზე-
 დაც (ქართლელ-კახელ-იმერლებზე); ნაკლულევანება ჩვენი
 მატიანისა (ქართლის ცხოვრება), რომელიც არის მხო-
 ლოდ ისტორია საქართველოს პოლიტიკურის ცხოვრე-
 ბისა და ისიც უსრული; მეცნიერულად გამოუჩივევ-
 ლობა ქართლობისანთა დასაბამისა და ვინაობისა, აგრეოვე
 ენის განთვთება—განსაკუთრებისა...

აი ის პირობანი, რომლებითაც გარემოცულნი არიან
 ჩვენი ისტორიის დამწერნი...

ამის შემდეგ საქართველოს უნაკლო ისტორიის შე-
 დგენა, რასაკირველია, მეტად საძნელოა და ჯერ-ჯერობით
 შეუძლებელიც...

მეცნიერების ყოველ-გვარ მოთხოვნილების დამაკაცო-
 ფილებელი ისტორიის შედგენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, რო-
 დესაც კველა მწალები შესახებ საქართველოს ისტორიისა
 ცნობაში მოყვანილნი, განხილულნი და შესწორებულნი
 იქმნებიან.

ჩვენ, როგორც შეგვეძლო, ვიშრომეთ და შეეადგინეთ შემოკლებული ისტორია და დიდად პატივცემულის თამარ მართველიშვილის საფასით აღვბეჭდეთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი შრომა, ზემოხსენებულ მიზეზთაგამო, თუმცა ვერ აკმაყოფილებს, ყოველ-გვარ მოთხოვნილებას ისტორიულის თხზულებისას, მაგრამ მაინც ისე სუსტი არ არის, რომ არ შეეძლოს სარგებლობის მოტანა.

მ. გ. ჯანაშვილი.

1 მაის, 1884 წ.

ქ. თბილისი.

საქართველოს მოკლე ისტორია.

I.

მიწიურა ნაწილი.

პირველი ცნობები ჭართველებზედ და მათი დასახლება
კავკასიაში.

ჩვენი მატანებს გადმოცემით (ჭართლის ცხოვრება) ჭართველები და სომხები შთამომავლობენ იაფეტის შვილის-შვილისაგან, ომელისაც ერქვა თარგამოსი. ხალხების ენების წარმოების და განძნევის შემდეგ, თარგამოსი მრავალის თავის ნათესაობით დაესახლა არარატის მთის არე-მარეზე. აქ გა-შენდა და გამოივლდა თარგამოსის შთამამავლობა. თარგამოს ჰეკანდა რვა შვილი: ჭართლი, ჭართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკაზოსი და ეგრისი. ჭართლი, წინაპარი სომხებისა, დაესახლა სომხეთში,—მდინარე არეზის ვაუღლებით და არარატის მთის ძირებში. ჭართლოსი თავის სხვა მმენთ დაესახლა არეზის მდინარის ჩრდილოეთის მხრით ვიდრე კავკასიის მთებამდე.

მთელი ეს ჭვეულა გავეკავიდის მთებიდგან მოკიდებული არეზამდე, შევი ზღვიდგან—ალაზნის მტკვართან შესართავამდე, ჭართლოსის სიკვდილის შემდეგ, მისმა შთამომავლებმა ბაჭყეტის რამდენიმე ნაწილად. კულანი ცალ-ცალკე ჭმართავდნენ

თავის ქვეყნას, მაგრამ უკედანი ემორჩილებოდნენ. მცხეთის მმართველს, ოომედსაც პირველ დროში ერქვა მამასახლის. მცხეთის სამამასახლისოს დაუწევა საჭართ კედლი.

შინაური ცხოვრება.—სჯული.—განათლება.

ქართველების ცხოვრებაზე დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოს ბუნებას, დასერილს მოებით და დაუთვილეს მრავალ ხეობებად, რის გამოც თვით ქართველი ხალხიც იყოფოდა მრავალ საზოგადოებად. ხოუირმა და მძღვრმა ნიადაგმა ხალხს შეაეცა ხვა-თესვა; მაღალმა მოებმა დაწიადეს მასში სიმამაცე; მტრების შიშმა აშენებინა ქალაქები და ციხეები. პირველი ქალაქი საქართველოში აშენა მცხეთისმა, ქართლისის შეიდომა, ძღინიარე არაგვის მტკვართან შესართავთან, ბუნებისაპანკე გამაგრებულს ადგილს. 1565—1499 წლების წინ ქრისტეს დაბადებამდე მოხდა ეპვისტელების შემოსევა საქართველოში. პირველად იმათ შემოიტანეს საქართველოში განათლება: ასწავლებ ქართველებს, სხვათა შორის, სელისაგან ქსოვილის და ფარნეულის კეთება, თაუგანის-ცემა მზისა, მოვარისა და სუთი უძრავი ვარსკვლავისა; აგრეთვე აშენებინეს საღოცავები და დაზგევინეს მზის კერძები.

მეთორმეტე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე ბერძნების გმირებმა—იურიკებმა, ულისმა და არგონავტებმა სამჯერ მოიარეს დასაკლეთი საქართველო (კოლხიდა). ამ მგზავრებმა კულტინდაში ნახეს მდიდარი და შესანიშნავი. ქალაქი, რომელსაც ქვედან ეხდა საქალაქეები. ამ დროს ქართველებმა იცოდნენ რქინის დნობა, სელის ქსოვა, ღვინის დაუკუნება. ბერძნებს ძალის მოეწონათ ჩვენი ქვეყნა და განართეს, რის-

გულასათვის ააშენეს შავი ზღვის ნაპირებზედ ბიჭვინტა (ფინ-ტუნდა) და დიასკური (სოხუმი), ანუ დიდი სებასტოპოლი.

600 წელში ქრისტეს დაბადებამდე წინასწარმეტეველი იუზეკიელი იხსენიებს სხვათა შორის ქართველებსაც და ამბობს, რომ ქართველები გაჭრობენ ფინიკიელებთანაო, რომდებზედაც ჭყიდიან მონებს და სპილენძის ჭურჭელებათ.

შემოსევა სკოლებისა.—ქართველების შეერთება.—ოსეთი.—დალი-სტრანი.—სკოლების განვითარება.—დერბენის აშენება.—მცხეთის გა-მაგრება.—განდევნა სპარსელებისა.—გადმოსახლება საქართვე-ლოში სხვა-და-სხვა ხალხებისა.—გადის ჩეველებიდგან მკვდრე-ბის დამარტვა და შემოდის მათი ჭამა.—სპარსეთის მეფე ბაამა-ნი იპყრობს საქართველოს.

სკითები ანუ საზარნი იუვნენ კელური სალხი, სცხოვე-რობდნენ გავგასიას მთების ჩრდილოეთის მხრით, გას-პიას ზღვის და მდ. კოლგის ნაპირებზე. ესენი სშირად შე-მოისეიოდნენ ხოლმე საქართველოს და არბევდნენ. ქართველე-ბი მოთმინებიდგან გამოვიდნენ. მთელი სალხი მოძრაობაში მოვიდა; შეერთდნენ მმურად უკელანი და შეესივნენ სკითების შეკვეთასა (მეშვიდე საუკუნეში). მაგრამ სკითებმა დაიყენეს მეფე, დაღ-ძალი სალხით წამოვიდნენ საქართველოში, დას-ტეს და დაანგრიეს უკელაფერი, რაც დახვდათ, კიდრე არარა-ტამდე.

ამის შემდეგ სკითებმა მოუხსმირეს საქართველოში შე-მოსევა. გავგასიას ჩრდილოეთის მხრით მათ დაარსეს რომ სამეფო: ერთი თერგიდგან მოკიდებული გიდრე შეკ ზღვამდე,

მეორე — თერგიდგან მოვადებული კასპიის ზღვამდე. პირველი სამეფოს ხალხიდგან წარმოსდგნენ თუ არა, მეორედგან დადისტნებები.

სპარსეთის მეფემ აფერიდუმა გაგზავნა სკითებთან საბრძოლებელად თავისი სპასალარი ადამი დიდ-მალის ჭარით. ამასევ მიემსხნენ ქართველები და სომხები. სკითები სრულად განდევნეს საქართველოდგან. ადამია ქართველების დახმარებით ააშენა დერბენდი და აქე კინტო უელში დასდგა რეინის გარები, სკითების შემოსევის მოსაგრძებლად; მეორე ქალაქის მცხეთას შემოავლო მაგარი ქვის გალავანი და ასწავლა ქართველების ქვის და კირის ხმაცემა შენობისათვის. აფერიდუმის სიკვდილის შემდეგ ქართველებს დაადგეს სპარსელებმა ხარჯი, მაგრამ ხალხმა კერ მოითმინა და მაშინვე განდევნა უმღა სპარსელები საქართველოდგან. სპარსელები კიდევ ბერზელ სცდილობდნენ და ემორჩილებინათ ქართველები, მაგრამ უკველთვის მარცხებოდნენ. სპარსეთის მეფემ ქაიხოსრომ დამარცხა სომხეთი; საქართველოს შემოესა, მაგრამ განდევნილ იქმნა. მრავალი ხალხი მის შიშისაგან აიყრა სხვა-და-სხვა ადგილებიდგან და გადმოსახლდა საქართველოში. უკელა ეს ხალხები მიიღო მცხეთის მამასახლისმა და დასახლა ქართველებ-შეა. ამ ნაირად უფრო გამრავლდა ქართველების რაცხვი. ამ დროსევ შეეცვალათ სარწმუნოების წესები და ჩვეულებანი. მკვდრის დამარცხის მაგირ მას ჭამა დაუწეუსო, გვარწმუნებენ ჩვენი მემატიანენი.

მაგრამ საქართველო დიდ-ხანის არ უოფილა თავისუფალი. სპარსეთის მეფემ ბაამანმა (არდა-შირ) დაიმორჩილა საქართველო და ხარჯი დაადო.

აღექსანდრე მაკედონელი. — იაზონი. — ფარნაოზის ყმაწვეოლო-
 ბა. — იაზონის დამარცხება და მოკვლა. — აღექსანდრე მაკედო-
 ნელის ხურვილი.

საბერძნეთის ქვეყანაში, სახელდობრ მაკედონიაში, და-
 ბადა აღექსანდრე, შეიღი ფილიპესი. აღექსანდრემ დაიმორჩი-
 ლა უკლა ქვეშნები. ჩრდილოეთის მხრიდგან (მეოთხე საჟუ-
 ნეში) შემოესია საქართველოსაც და ესეც დაიმორჩილა. აქ მა-
 შინ სცხოვრობდა გარევნილი, უზნეო ხალხი, მა-
 გრამ მეოთხი და მეოთხე მაგარის ციხეებისა და ქალაქებისა. უკ-
 ლა ეს ქალაქები აიღო, დაუკანა მათში თავის ჭარები; ჭარების
 უფროსად დასკა იაზონი მატრიკი და უბრძანა, რომ გაეპროე-
 ლებინა ხალხში მზის, მთვარის და ხუთი უძრავი კარსეველავის
 თავისის-ცემა და თითონ წავიდა მაკედონიაში.

აღექსანდრეს სიკვდილის (332 წ.) შემდეგ იაზონია და-
 ანგრია მცხეთის და სხვა ქალაქების კლდები, დაიმორჩილა
 სამეცნიელო, ოსეთი, დაღისტანი და სკითები. დაიწუო სოცება
 მოთავე ქართველებისა და ხალხიც მაღიან შეავიწროვა.

ამ დროს მცხეთაში სცხოვრებდა ერთი ახალ-გაზდა კაცი
 ფარნაოზი. ეს იყო ნათესავი უგანასენელის მცხეთის მამასახ-
 ლისისა — სამართლისა, რომელიც მოკლდა ა. მაკედონელმა, და შეი-
 ლი ერთი სპარსელის ქალისა. მამა რომ მოუკლეს ფარნაოზს,
 მაშინ სამის წლისა იყო. დედამ შეიღი წაიყვანა და კავკასიის
 მთებში დამაღა. როდესაც გაუაშესრდა ფარნაოზი, დაბრუნდა
 მცხეთაში. დედა ურჩევდა მას, რომ გაიგროხილებოდა იაზონის
 ჭ გადასახლებულ-იყო სპარსეთში. მაგრამ ფარნაოზი არ და-
 თანხმდა, იმის ძალის უკვარდა საქართველო და განიზრახა სა-
 ქართველოს განთავისუფლება მორცებისგან. სოხოვა შეეღა სა-

შეგრებოს მმართველს ჭუჭას, თსებს, ღებებს, ანტიოქიის მეფეს და სომხეთის მმართველს. ჰყელამ უწეველეს. იაზონი გაიძია კლარჯეთში (ჩათუმის მაზრაში). მაგრამ ერთ შეტაყ-საში (ქ. არდანუჯოთან) მოჰკვდეს იგი და მთელი საქართველო და მორჩილი ფარნათზე.

ა. მაკედონელმა გამართა ვაჭრობა საქართველოსთან და შორეულ ქვეყნებთან (ინდოსტანთან). საგაჭრო ნივთები მო-ჰქმდიათ მავი ზღვით რიონამდის, მერე ამ წელით შორი-შნამდის, აქედგან ურმებით გადმოჰქმდათ სურამამდის და მე-რე კიდევ წელით, ესე იგი მტკვრით, ჩაჭერნდათ კასპიის ზღვამდე და იქიდგან ზღვით და დიდი მდინარეებით გადაჰქმდათ ინდოსტანამდის. ამ ნაირადეკი მოგზაურობდნენ ინდოსტან ა-დგან საბერძნეთამდე.

II.

ისტორიული ნაწილი.

სამეფოს დაარსება.

ერთი სამეფოს დაარსებისათვის ჩვენი სალსი გამოზარ-დეს იმ უბედურებებმა, რომელიც მათ სშირ ხევდოათ ჭირნ-დათ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში; აგრეთვე ერთათ ბრძოლამ, კაჭრობამ, მისკლა-მრავლამ, ერთნაირმა სუვერენის, და კიდევ სალსის გამრავლებამ, რას გამო განცალებებული სალსი ერთმანეთს დაუხდოვდა. აი რისთვის, იაზონის მო-ჰქმლის შემდეგ არ ტან უჭ ში, უკელა ქართველებმა დასკეს თავის მეფედ ფარნათზი და და მორჩილნენ მას მესამე საუკუ-ნეში ქრისტეს მოსკლამდის, ფარნათზის სამეფოს ჟიაზღვრი-

დნენ: ჩრდილოეთის მხრით ჭავჭავაძის მთა, ზასაკლეუთის მხრით შავი ზღვა, კიდრე ბათუმის მდე და აქედგან მდ. ჭოროხი, სამხრეთის მხრით მდინარე არეზის სათაურები და დებედა-ჩა მტკერამდის, აქედგან ალაზნის შესართავა მდე და ეპრო-ჩაის გა-გაუღლება ჭავჭავაძის მთება მდე.

ფარნაკის მთელი სამეფო გაჭურ რეა ნაწილად ანუ საერისთაოდ. ერისთავები უკელავერში ჭმელოდნენ მეფეს, მაგრამ თავის საერისთავოს მეფის დაუკითხავად განაგებდნენ.

ამ დროს განხდა ოთხი წილება: თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთა. ამავე მეფემ მოიწვია სპარსეთიდან მოგები, რომელთაც უნდა განეწმინდათ ზოროასტრიის სჯული. საზოგადოდ ეს სჯული ყველა ჭურდობას, ჭუჭიანობას, სხვა-და-სხვა ბოროტ მოქმედებას, ტუპილს, უკელას აძლევდა კუთვნილებას, აქეზებდა მიწის ხვნას, სიკეთეს, აგრე-თვე თხოულობდა უმაწვილების აღზრდას. მაგრამ ამავე სჯულში იყო ბეკრი ცუდი და მავნე მოთხოვნილებანიც: მისი მიხედვით მკვდარი არ იძარხებოდა, ნათესავებს ნება ჭონ-დათ შეუდღებულიყვნენ ერთმანეთთან და სხვ.

ფარნაკი მეფემ უფრო დიდი სიკეთე უკა ქართველებს იძიოთ, რომ შეადგინა ქართველი მსედრული ანბანი (ალტავი-რი). ეს ანბანი ისეთი სრულია და გრინიერად შედგენილი, რომ თითქმის არც ერთ სალსს არა აქვს ამ გვარი თავის ენაზე.

ამავე ფარნაკის აწერენ მეფობის წესის დადგენას, ჟეკრი დანგრეული ქალაქების მოშენებას და გაახლებას აგრეთვე შეარაპნის აშენებას.

პეტრაფილი აღწერა პირველ-დროინდელი საქართველოს.

სამზღვრები.—შენობები.—ცეკვანი.—მცენარენი, სიმღიდრე და ქალაქები.

მთელი მაშინდელი საქართველო ისამზღვრებოდა გავა-
სის ქედით, შავი ზღვით, ჭოროხის და არეზის სათაურე-
ბზე მდებარე მთებით, დებედა-ჩაით, აჭედგან კიდევ აღმოსავლე-
თადგან ჩამომავალი ალაზანის ტოტით ეგრისით, ვაღრე გავა-
სის ქედამდე; ესე იგი მთელი საქართველო მომწევდებული იყო
 $40^{\circ} 47'$ და $43^{\circ} 15'$ ჩრდილოეთის სიგანისა და $59^{\circ} 15'$
და $64^{\circ} 58'$ აღმოსავლეთის სიგრძისა.

მთელი ეს ქვეუანა ბუნებითვე იუთუებოდა ოთხ დიდ
ხეობად: პირველი უკედაზედ უდიდესი არის მტკერის ხეობა,
მეორე—რიონის, მესამე—ენგურისა, მეოთხე—ჭოროხისა.
მაგრამ უკედა ეს ხეობები იუთუებიან მრავალ პატარ-პატარა
ხეობებად. საზოგადოდ ამ ქვეუანის ზედა პირი არის აწეულ-
დაწეული, მთებით დასერილი; აკვირვებენ კაცები საქართველოს
მრავალ-იუროკანი მცენარეულობა, მრავალ-გვარი ცხოველები,
მიწის სიმდიდრე, წელის სიუხვე.

მთელი გავასისის მთა მირიდგან მოკიდებული $2\frac{1}{2}$ კმ-
ისის სიმაღლემდე მოცულია დიდის ტექებით; მის წერტილზე
კი მუდმივი თოვლი სძევს. საქართველოს სამსრეთის მხრით,
გავასისის მიდევნებით, გაწოლილა სხვა მთა, რომელსაც მცირე
გავასისის მთა ჰქვიან. დიდი და მცირე გავასისის მთები შეე-
რთებული არიან ჩრდილოეთადგან სამხრეთისკენ გაწოლილ
დისის მთებით. გარდა ამისა, საქართველოში არიან კიდევ სხვა
მთებიც, სხვათა მორის მთა ცივ-გომბორისა მდ. ალაზანის

და ითარის შეს, ფასი. მთა ენგურის მარცხენა მხარეს, სამხ-
რეთის სამზღვარი სკანეთისა. ეკედა ამ მთებიდგან გამოდიან
მრავალი რუგიები, მდინარეები, რომელიც უსკად რწყაპნ
მთებს საჭართველოს.

შესანიშნავი მდინარეები:

მტკბარი (კურა, კირის). — დასაწყისი აქვს სოდანლულის
მთებში, მოდის ჩრდილოეთისკენ მომწუვდეულ მთებს შეს, მერე
წელს იხრის აღმოსავლეთისკენ და ასრე მოდის ვიდრე თვი-
ლისამდე, აქედგან ბრუნდება აღმოსავლეთ-საშერეთისკენ და
კასპიის ზღვას ერთვის. მტკბარის ტოტები: ფოცხოვი,
ლახევი, ქსანი, არაგვი, ალაზანი თავის ტოტი ითრით. — ეს
წელები გამოდიან დიდი კავკასიონდგან; ალგეთი, ხრამი თავის
ტოტით დებულდათი გამოდიან მცირე კავკასიონდგან.

რიონი (ფაზისი), რომლის დასაწყისი არის კავკასიის
მთაში, სონგუთა-ხოხის ძირში. აქედგან ჩარბის სამხრეთი-
სკენ, შეს წელში ბრუნდება დასავლეთისკენ და შეს ზღვას ერთ-
ვის. ამის ტოტები: უკირილა, ცხენისწყალი (გიმელი), ტეხური.

ენგური ანუ ინგურა, რომელიც გამოდის იქიდგანვე,
საიდგანაც რიონი და ცხენის-წყალი.

ჭორისი, — გამოდის მცირე კავკასიონდგან, ჩრდილოე-
თისკენ მოდის და შეს ზღვას ერთვის.

კედელი, — გამოდის მცირე კავკასიონდგან ხა-
ლის, რომელსაც მოეშენებინა მრავალი შირუტევი, გაეპეთები-
ნა ბალები და ხვნა-თესვისთვის მოეკიდა ხელი. უწინდელ დრო-
იდგანვე ეს ქავეუნა ცნობილი იყო ბუნებას სიმდიდრით.
დკანის კეოება მცენადგანვე იყო გავრცელებული რიონის ხა-

შირებზე. ღიმონის და ფიროსალის ტუები ამშეკებდნენ კოდხიდის სამხრეთ-დასაკლეთის მხარეს. მთელი საქართველოს საზოგადოდ და კოდხიდა განსაკუთრებით დაფარულია ჩრდილოეთის სუსხისაგან კავასის ქედით. ამიტომ ამ ქვეყანაში დიდი სიცივები არ არის ხოლმე, კოდხიდაში კი თათქმის ზამთარი არ იცის.

მიმოსვლა ამ ხალხებში ჭრდებოდა მცირე — გაუგათებელი გზებით; მაგრამ შესანიშნავი გზაც იურა მტკვრით ვიზრე სურამამდე, იქიდგან ლიხის ქედზე გადამავალი უკირილამდე, მერე უკირილადგან რიონით ზღვამდე. ჩრდილოეთ კავკასიაშიც ჭრანდათ აგრეთვე ორი გადამავალი გზა: დარიელის ხეობიდგან და დერბენდის უელიდგან. დერბენდიდგან მოკიდებული კავკასიის აქეთა მხრით მთის ძირში 360 კვრის სიგმაზე გადელი იურა აშენებული, სკათების და მრავალი მთიული ხალხების მოსაკრებულად. ამ გედლის ბოლო კხლაც სხას დერბენდში და აგრეთვე გადამ მხრის სოფლებში: მუხაში, გარებში, მაწებში და სხვ.

დარიელიდგან ჩამოდილენენ ლეგი ინდოსტანიდგან მოტანილ და შინ ბაკეთებული ნიკოების საფილლად, ჰურულობდენ და მიჭრანდათ თავის ქვეყანაში.

კაჭრობამ და აღებ-მიცემამ დაჭიბადა მოთხოვნილება ქალაქების აშენებისა. ქალქებში და ციხეებში აღვილად შეიძლებოდა გამაგრებულიერენ და ჩაეცეპათ თავისი საქონელი.

მაშინდელი შესანიშნავი ქალაქები:

ქართლი, აშენებული ქართლოსისაგან, მდებარებს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, არაგვის შესართავთან. ფარნათზის დროს ამ



ქალაქს ერთეულის არმაზის ციხე, რადგან ფარნალიშვილია აქ ააშენს ხს-
ლოცავი ღმერთის ღრმუზდისათვის.

ორბისი (სამშეგლდე), ესეც ააშენა ქართლისმა ხრამის
მარცხენა ნაპირზე.

მტკვარის-ციხე ანუ ქუნანი, აშენებულია ქართლისისა-
გან იქ, სადაც დებედა წყალი ერთვის მტკვარს.

დედა-ციხე და ბოსტან-ქლაქი (რუსთავი), — ესენი იუკნენ
აშენებულია ქართლისის ცოლისაგან. დედა-ციხე იურ მა-
შენებული თეძამზე (ქართლში).

გაჩიანი, აშენებულია ქართლისის შეიარაღების ხრამის
ნაპირზე, მაშვერის შესართავთან. ამ ქალაქის სანგრევები
ეხლაც მოჩანან.

ჩელთი ანუ ბერ ეხლა დიდი სოფელია ქახეთში მდ.
ჩელთაზე და ჭერიან შილდა.

მცხეთა, ორმეტიც ააშენა მცხეთოსმა მტკვრის მარც-
ხენა ნაპირზე არაგვის შესართავთან. მცხეთა თავის დაასხვებიდ-
გან დაწეებული, ვიდრე მესუთე საუკუნემდე ქრისტეს დაბა-
დების აქეთ, იურ საქართველოს დედა ქალაქად. ამ ქალაქში იუკნენ
დიდი შენობები და მრავალი სალხი სცხოვრობდა. მასში არის უწინდელი ძველი და დიდი ეკლესიები. ეხლა მცხეთა
სოფელი.

მცხეთოსის შემდეგ მისმა შეიარაღებმა ააშენეს აგრეთვე შე-
მდეგი ქალაქები: ოძნებე, ოუხარისი, წენდა, არტანისი (ქაფთ-
ქლაქი), უფლის-ციხე, ურბნისი, გასპი. ზოგი ამათგანი ეხლა
დანგრეულია და ნაშობის მეტი აღარ მოჩანს-თა, ზოგი-დიდი
სოფელებია; არტანისი ეხლაც ქალაქია, ორმეტიც ჭერიან
არდაგანი.

მტკვრის ხეობაში იუთ კიდევ ჭაღაქი სურამი (სურიუმ), აშენებული მამასახლისების დროს. აյ ეჭა დაბა. ეს იყო ინდოეტანიდგან მოტანილი საჭონლის საწყობი და შესანახავი დღილი.

ჭაღაქები ეა და ჭუთაისი, პირველი ტეხურზე, მეორე რიცხვზე. ეს ჭაღაქები იცოდნენ ბერძნებმა. ძველადგანგე ტროანდის ომის შემდეგ მიღერებულებმა (ბერძნებმა) რიონის ზღვასთან შესართავთან ააშენეს ჭაღაქი იუზისი (ფოთი). ჭუთაი შე სცხოვრებდნენ ძველადგანგე გრძელიდის მმართველები.

III

საქართველო ფარნალის სიკვდილის შემდეგ რომანების შემოსევამდე.

შევე საურმაგი, — ქართლის ერისთავის სურვილი. — სომხების შემოსევა. — მირვან შევე. — განცალკევება სამეგრელოსი. — ვალურების (ბალკარების) შემოსევა. — ფარნაზომი. — არშავი. — მაცრიდაცის შემოსევა.

ფარნალის სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი შვილი საურმაგი (237 წ.). ქართლის ერისთავს არ სურდა მისი მორჩილება, ამიტომ ააღელვა სალხი. საურმაგი გაიქცა მთავრ სალხებში, მაგრამ ქართლის ერისთავს არ გაუკიდა ცბიერება: საურმაგს მოეშეკელნენ ნათესავები (სხვათა-შორის სამეგრელოს მმართველი ჭუჭა), დაამარცხეს ქართლის ერისთავი და საურმაგი გადევ გაამეფდეს.



ამ მეფის საკუდილის შეძებ გამეფდა (162 წ.) სიძე
მისი მირვანი (შვილი ასირიელთა მეფისა). ეს ძალიან ეწყინა
სამეგრელოს მმართველს, რომელიც იურ ნათესავი საურმავი-
სა. მოინდომა თვითონ გამეფება. ასტუდა ლი. მირვანმა
მოიწვია სომხის მეფე გაგარშეკი. შეესიგნენ სამეგრელოს,
დაამარცხეს აჭანუებული დანდევნეს სამეგრელოდგან. ბეკის
ძომდომება მცირეც დატყარგა. მაგრამ გაგარშეკმა არ დაუთმო
მეფე მირანის შავი ზღვის ნაპირები და აღმოსავლეთი
საქართველოს გადმა მხარი (საინგილი), რომელსაც მა-
შინ ალბანია ერქვა; აქ დასკა მმართველად თავისი მეგობარი
არანი.

ის-ის იურ დააწყინარა საქართველო მირვანმა, რომ და-
რიელის უკლიდგან შემოესია საქართველოს კელური ხალხი —
ბალვარები, რომელთაც განვლეს მთელი საქართველო და და-
სახლნენ სომხეთში.

მირვანის სიძის — ფარნაჯომის მეფობაში (112 წლიდ-
გან 93 წლამდე) ქართველები აჭანუდნენ. მიზეზი ის იურ,
რომ ამ მეფემ მოინდომა შეცვლა მათი სკულისა. ხალხი
აღელდა და მოიწვია მეფეთ არშეკი — მირვანის მეორე სიძე.
ფარნაჯომი გაიქცა პონტში (შავი ზღვის პირას); ათი წლის
განმავლობაში ის აჭანუებდა ხალხს, სცდილობდა მეფობა და ე-
ბრუნებინა, მაგრამ კერას გახდა; ბოლოს ერთ შეტაკებაში
მოჰქმდეს. არშეკს დარჩა მეფობა (93 წ.).

ამავე დროს სამეგრელოს ხალხი აღუდგა თავის მმართვე-
ლებს, რომელიც დასკა იქ სომხის მეფემ გაგარშეკმა. არ-
შეკმა განდევნა ისინი და ხალხი დაამშვიდა.

98 წ. ქ. დაბადების წინ აჭანუდა კოლხიდა; პონტოს
მმართველი მიტრიდატი შემოესია ამ შეტაკებას, დაიმორჩილა

და დასკა აქ თავის მმართველები; 84 წ. ქ. დ. ამავე აღგო-
ლებში მოხდა გადექ ხალხის არეულობა. ხალხმა განდევნა
მმართველები და სთხოვა მიტრიდატს დაესკა მათ მეზედ შვი-
ლი თვისი მახარა. მაგრამ მიტრიდატმა მოაკველევინა მახარა
და დასაკლეით საქართველოში მმართველად დასკა ერთი გულო-
თადი მოხა თვისი და გააძარრა დიდ-ძალი ჭარით.

საურმაგმა, მირვანმა, ფარნაჭომმა და არშაქმა მოახდინეს
თავის მეფების დროს სხვა-და-სხვა ცკლილება ხალხის ცხოვ-
რებაში. საურმაგმა დასდგა კერძები: ანიანი და დანიანი ხალხის
თაყვანის საცემლად. ფარნაჭომმა ააშენა კახეთში ხელტის
ახლო ქალაქი ნეპრესი, რომლის ნანგრევები ეხლაც მოჩანს.
ამანეკე მცხეთის პირ-და-პირ აღმოსაკლეითის მხარეს, არაგის
შესართავს ზემოთ, ააშენა სალოცავები, სამსხვერპლო და კერ-
ვი „ზადენ ა“. მირვან მეფემ დასდგა კარები დარიალის კელ-
ში,— ეს კარები იცავდა საქართველოს ხრდილოეთის კელურ
ხალხების შემოსკოსაგან. თუმცა ეს მეფეები ამ ნაირად მო-
ღვაწეობდნენ თავის ხალხისათვის, მაგრამ ხალხი მაინც ღარი-
ბდებოდა. უმთავრესი მიზეზი ამისი იურ მიტრება რიონ-
მტკვრის კაჭირებისა. ამ წელის გზის გაუქმებაზე დადი გაგ-
ლენა ჭილადა იმას, რომ აღ. მაკედონელმა ეგვიპტეში ააშენა
ქალაქი ალექსანდრია და იმოგა ახლო და ადგილი გზა ინდო-
სტანში საკლელად,— ეს იურ გზა სუეცის სარტყელზე გადამა-
ლი წითელ ზღვაში და იქიდგან ინდოსტრიანის თვეანეთი ინდო-
სტანში. მთელი კაჭირება ბერძნებისა საქართველოდგან გადა-
კიდა ალექსანდრიაში. მაგრამ, უნდა კსოვეკათ რომ ალექსან-
დრიას აშენების შემდეგაც დიდ სარგებლობას აძლევდა საქარ-
თველოს რიონ-მტკვრის საკაჭირო ანხა. რომის მეისტორი
შედინი ამბობს, რომ უოკელ წელიწადს რომიდგან შორისპანში

ასი მიღითხი სესტერცია იგზავნებოდა საკაჭო ნივთების სა-
 უძველესთათ.

IV.

რომაულების ომის ნობის დრო საქართველოში.

არტაგი, არშავის უკილი.—მიტრიდატის გაძლიერება.—არტა-
 გის მიტრიდატიან და ტიგრანთან (სომხის მეფე) შეერთება.—
 საქართველოს ჯარის რიცხვი, მათი მოწყობილობა.—სომხეთის
 და მიტრიდატის დამარცხება.—რომაულები საქართველოში.—
 ზავი ქართველთა და რომაულთა უორის.—ლუკულლის დაბრუ-
 ნება.—მნიშვნელობა საქართველოს ხალხოსნობისა ისეულიაში.

არქაგი I გარდაიცვალა 81 წ. ქ. დაბადებამდე. ამავე
 წელს გამეფედა ამისი შვილი არტაგი. ამ დროებში დასესტერც-
 ბული იყო სპარსეთის სამეფო. ამით სარგებლობდა სომხეთის
 მეფე არტაშესი, რომელიც სცდილობდა დაეპურა აზია. ამან
 ზავი შეპერა მიტრიდატიან თავისი წადილის აღსასრულებლად
 და მართლაც თითქმის მოვლი აზია დაიპურო. მაგრამ ერთმა
 მის ჭარის ჭარმა მოჰქმდა იგი. გამეფედა სომხეთში მისი შვილი
 ტიგრანი. რომიდგან გამოგზავნება დიდ-მაღალი ჭარი სილლას
 წინამდებრულობით; მაგრამ მიტრიდატმა, მინამ მოვიდოდა ეს
 ჭარი, დაიპურო მცირე აზია. მეორე ეგიპასის ზღვა, ათინა,
 თორევა და დაქსოცა 80,000 რომაული. სამი წლის განმაკ-
 ლობაში ბრძოლის შემდეგ სილლაშ გაანთავისუფლდა საბერძნე-
 თო და განდევნა მიტრიდატი, მაგრამ მიტრიდატი კიდევ იმედი-
 არ ჟერგავდა, მის დამარცხება უნდოდა და ამისათვის ბეჭითად
 ემზადებოდა. რომაულებმა გამოგზავნეს ლუკულლი 73 წ. ქ.-
 და დიდ-მაღალი ჭარით. ლუკულლმა ჭერ სომხეთი გაასრუ-



მერე მოვიდა ოქადგან კოლხიდაში, სადაც იმალებოდა მიტრიდა-
ტი და რაც დახვდა დასაკლეიოს საქართველოში უკუღა გაასხო.

არტაგი ამ დრომდის არ იღებდა მონაწილეობას ამ რმში.
ღუჯულლის კოლხიდაში შემოსვლამ შეაშინა ესეც. არტაგი
უკუგა მიტრიდატის და ტიგრანის წინააღმდეგ საზოგადო
მტრისა. მოიწვიეს აგრეთვე დასახმარებლად მეფე ალბანიისა
ორჟზი.

მეისტორის ბლუტარხისის სატევით ქართველებს ჰქვანდათ
მაშინ 40,000 ჭარის კაცი; აპოსტოლის ჩვენებით კი 70,000
კაცი. ქართველთა ჭარები უოველთვის ცნობილნი იყვნენ სი-
მარდით, გულადობით და კარგი მოწეობილებით. ამ დროს
ქართველთა ჭარს ეცვა წითელი ჭუბა და განეოთილი იყო
ცხენოსან ჭარად და ჰქვითად; გარდა ამისა ქართველებს შინაუ-
რობა გამაგრებული ჰქვანდათ ციხეებით და სხვათრიკ.

ღუჯულლი კოლხიდიდგან რომში გაიწვიეს. მიტრიდატი
კი დაიმედებული ახალ მოზაკებით კიდევ გახდა მოუსკენარი
პტერი რომაელებისა. 67. წ. ქ. ღ-მდე მიტრიდატმა ზეღეს-
თან დაამარცხა რომაელების ჭარი.—რომაელებმა გამოგზავნეს
კიდევ სხვა ჭარები პომპეის წინამძღოლობით. 66 წ. ქ. ღ-მდე
პომპეიმ საშინლად დაამარცხა მიტრიდატი, რომელიც სამე-
ბრელოდგან გაიქცა ჩრდილოეთ გაკასაში. ღუჯულლმა პონ-
ტის მეფედ დასვა შვილი მიტრიდატისა ფარნაკი, თვითონ
კი გამოიდევნა ტიგრანის და დაიპურო სომხეთი. აქედგან წა-
მოვიდა ჩრდილოეთისკენ, დაიპურო ალბანია, შეურიგდა ორეზე
და მძევდად გამოართვა მას შვილები. აქედგან გასწია საქარ-
თველოს შეა გუდში. რამდენიმე ღმის შემდეგ არტაგსაც
შეურიგდა. აქედგან წავიდა სამხრეთ საქართველოში, დაიპურო
აქაურობაც. სამეგრელოს მმართველი ლეტაგი, მიტრიდატის და-



ექნებული, ტუკეთ წაიყვანა; მის ადგილას დასკა არის ტანი, თავის მეგობარი. სამეგრელოდგან გაიღა შერა აფხაზეთში. მაგრამ აქედგან დაბრუნდა აჭანუებულ ალბანიელთა დასამშვიდებლად. დამშვიდა ესენი; მერე ლეპაძი დაიპურო, დაბრუნდა სომხეთში, აქედგან სირიაში წავიდა.

საქართველოს ხალხისა უოკელთვის ეშინოდათ ოომაკლებს, ბერმებს, სპარსელებს, ამიტომ რომ ამათზედ იურ დამოკიდებული მათი მივწების სიმშვიდე. თვით ჩვენი ხალხები იცავდნენ მათ მიწებს ჩრდილოეთის გელურ ბის შემოსევისაგან. გარდა ამისა მაგარი ადგილ-მდებარეობა საქართველოსა, ქართველების სიმამაცე ღმშე, ოომაკლებს, ბერმებს, სპარსელებს აღწმუნებდნენ, ოომ . ან მეგობრული განწყობილება უნდა ჰქონოდათ ქართველებთან და ან დაეპუროთ საქართველო. ეს ორი რამ იურ ურიცხვთ მტერთათვის მაჩიზად განუწყეტელი ომებისა და ბრძოლისა ქართველებთან.

63/2
270.012
63/3

K ბარტომი.—ომი მირვანთან.—მირვანი II.—არშავი.—დასავლეთი საქართველოსა ამ დროს.

არტაგის სიკვდილის შემდეგ (65 წ. ქ. ღ. წინ.) გამჟღდა ბარტომი იმავე წელში. ამ მეფემ მთელი თვასა საცოცხლე შესწირა საქართველოს გეთილ-დღეობისა და განწყობილებას. განაახლა ქადაქები, ციხეები; გამარის შეცხადა; მაგრამ ბოლოს მშვიდობიანობა დარღვა მიღებანდ. (ფარნავაზობის შვილმა), ოომედმაც 33 წ. დაამარცხა ბარტომი, მოჰქდა და თვითონ გამევდა.



მირგან II-ის ათა წლის მეფეობის განმავალობაში არა-
 უკიდ შესანიშნავი არ მომსდარია. ეს მოებედა 23 წ. ქ. ღ.-მდე.
 ამ წელში გამეოდა მისი შევიდო არბავი. ამ მეტემაც ბარტო-
 მივათ მთელი დრო გაატარა საქართველოს მენებაში და მი-
 სი ქალაქების გამშვინიერებაში. განხდა საქართველოში მდი-
 დარი ქალაქება, მშვინიერის შენობებით. სახლებს აშენებდნენ
 აგურით, თლილი ქვით, კირით და ჰესურამდნეს კრამიტით. *)

3 წ. წინ ქ. ღ.-მდე მოვიდა საქართველოში დიდ-ძალი
 ჭარით ბარტომის ნათესავი ფარსმანი, გამოითხოვა არმავი
 საბორბოლველად, მოტკლა და თვითონ გამეოდა.

ამ არეულობის დროს დასაკლებოთით საქართველო უფრო
 უკარეს მდგრამარეობაში იყო. 48 წ. ბირტლატის შევიდო იქ-
 ნავი შემოვიდა კოლხიდაში, განამევა არისტარსი და კოლხი-
 და შეუერთა თავის სამეფოს; ამის შემდეგ მიტრიდატი, შევი-
 დი მიტრიდატ დიდისა, გახდა მმართველად; მერე ასანდრი; 14 წ. ქ. ღ.-მდე პონტის სამეფო და კოლხიდა დაპურო
 პოლემონმა, ზენონ ლათლიგიელის შეიღმა.

*) ზოგი ერთი, რომელთაც მოუხდათ ჩეენს ქვეყანაში შემოსვლა,
 გვარწმუნებენ, რომ საქართველოში ამ დროს მოიპოვებოდა კარგი გზე-
 ბით, საცა მანძილიდამ მანძილამდე მგზავრთათვის გამართული იყო სა-
 სცემროვებით და საზოგადოდ ხალხი კეთილ-განწყობილებაში იყოვნ
 (უსლარი).

V.

ფარსმანის ანუ აღერების მეფების (3 წ. ქ. დ-მდე, ვიზუ
60 წ-მდე ქ. აქეთ.)

შემოერთება დასავლეთ საქართველოსი.—ფარსმანის ძმა მიტ-
რილაცი.—რადამისური.—მისი მოკვლა.—ანდრია პირველ-წილე-
ბული და სიმონ კანანილელი საქართველოში.—საქართველო
ფარსმანის დროს.—60 წ. საქართველო ორად იყოფება.

გამეფების შემდეგ ფარსმანის დაბეჭრო სამეგრელო და
კლარჯეთი. 3 წ. ქ. დ. წინ რომას იმპერატორმა ტიბერიმ
ჰართიას მეფედ დასკა ტირიდატი და სთხოვა ფარსმანის, რომ
შემწება მიეცა მისთვის; თავის მხრით დაჭპირდა, რომ მის
ძმას მიტრიდატს მისცემს სომხეთის სამეფოს. ფარსმანის შე-
ასრულა ეს თხოვნა იმპერატორისა, მოწედა სომხების მეფე
არშავრი და თავს ზარი დასცა სომხეთს. ჰართიას მეფე არტა-
შანი გარდისხდა, შეაგრივა დიდ-ქალა ჭარი და თავის შვი-
ლის რეზიდის წინამდებრძოლისთვის გამოიზარქა ფარსმანზე. მა-
გრამ თარიდი, მძიმედ დაჭრილი ფარსმანისგან, მოკვდა და
მოკვდა მისი ჭარი დამარცხდა. თვით არტაშანიც იმლია
რომაელებისაგან. ამ ნაირად ჰართიას სამეფო ერგო ტირი-
დატს და სომხეთი მიტრიდატს, რომლებიც იუნეს ფარსმა-
ნის მფლობელების ქვეშ.

მაგრამ მალე ტიბერი მოგვდა და გამეფება კაიკალიგელა.
ამ დროს არტაშანის კადეკ დაბრუნა ჰართიას სამეფო და
მიტრიდატი, არტაშანის თხოვნით, გადაში ჩასმული რომში
წაიყვანეს. მაგრამ ფარსმანის სიმძლავეები იმდენად იმოგედა



იმპერატორის კლავდიზე, რომ ფარსმანის თხოვნით მარტინ
მარტინია და დაუბრუნა მას სომხეთის ტახტი.

საუბედუროდ მაღე ამათ შორის ხამოვარდა უქმაყოფა-
ლება და ფარსმანმა განიზრახა მის მოკვლა; ამ დროს ფარსმა-
ნის შვილი რადამისტი სცდილობდა აქმალა ხალხი, რომ გა-
მეფებულიერ მამის ადგილას. ფარსმანმა რომ შვილის გულ
მოკეთ, მისცა ჭარი და გაგზავნა მარტინა ტიტოდან, რომ
რომ სომხეთის სამეფო დაეპურო და გამეფებულიერ. რადა-
მისტმა მოტეულებით და წბიერებით მოჰქლა მარტინა ტიტო,
დასოცა მასი ცოლ-შვილი და ოვითონ გამეფდა სომხეთში.
მაკრამ მაღე პართიის მეფის კალოგეზისაგან განდევნილ იქმნა
და, რომის იმპერატორის ნერონის თხოვნით, ფარსმანისაგან
მოკლულ. 58 წ. ქ. დ. აქეთ სომხეთში გამეფდა ტიტოდა ტიტო.
ფარსმანის ნერონმა აჩვენა სომხეთის ერთი ნაწილი ერთგულე-
ბისათვის.

40 წ. ქ. დ-ის შემდეგ ანდრია მოციქული და სიმონ
განანიტელი მარიამ დედისაგან გამოგზავნილ იქმნენ საქართვე-
ლოში, რომელიც ლეონის-მშობელს წილად ხვდა გასაქრისტი-
ანებლად და გასანათლებლად; ეს მოციქულები ტრაპიზონიდგან
მოვიდნენ აჭარაში და ხალხი გააქრისტიანეს. აჭედგან წავიდ-
ნენ მესხეთში, ტაოს-ქარში, სამეგრელოში, აფხაზეთში და
უკელვან შეასრულეს თავისი კალი. ხალხი ინათლებოდა, ანგრე-
ვდა უწინდევლ სალოცავებს, ამხობდა კერძებს. ეს არ მოეწო-
ნა ფარსმანის და დევნა დაუწერ მოციქულებს. ამიტომ ანდრია
წავიდა ბოსფორში (ყირიმში), სიმონი კი მოჰქლეს ნიკოპოლი.
ისეთ ნაირად დევნიდნენ ქრისტიანებს, რომ მაღე პატეპ შე-
ლამ დაივიწეა ეს სჭელი.

ფარსმანი თავის დადი ხნის მეფობის განმავალობაში



უფრო მეტ უკადლებას აქციება შინაურს საქმეებს და ახალ-
სის კეთილ-დღეობას. იმის დროს მცხეთა გაიზარდა, აშენდა.
ფარსებანი მოკედა 60 წ. ქ. დ. აქეთ. მასი სიკვდილის წინ
მთელი საქართველო ლრად გაიყო. მტკრის მარჯვენა მხარე
ფარსებანია ერთს თავის შეიღს მისცა, მარცხენა მეროეს.

VI.

ორ-გამგეობა საქართველოში.

(60 წლიდგან 129 წლამდე)

ბარისმი და კარტამი.—ფარსებან I შვილები.—ფარსებან II.—
აზორები და არმაზელი.—ფარსებან III.—ომები სომხეთიან.—
უთანხმოება ფარსებან III და მირდაცისა.—სიკვდილი ორივესი.

ორ-გამგეობა მდგრმარეობდა იმაში, რომ საქართველოს
კუმართავდნენ ერთ-და-იგივე დროს თრი მეტე. ერთი ამათგანი
სცხოვრებდა მცხეთაში და კუმართავდა უკელა ადგილებს მტკრის
მარცხენა მხერისას. მეორე იჯდა არმაზები და კუმართავდა
მტკრის მარჯვენა მხარეს. რომელიმე ამათგან რომ მოკვებე-
ბოდა, მაშინ მის ადგილას შვილი გამეფედოდა. საზოგადო
საქმეების განსახილველად და განკარგულების მოსახლენად ორი-
ები ერთათ უნდა შეუზიდიუკნენ; რმანის დროს ერთი
სამსედრო საქმეს განაგებდა, მეორე შინაგანს. კარტამი მა-
გვება 60 წ., ესე იგი სამი წლის მეფეობის მემდებ. ამის მა-
გვება ამავე წელს გამეფედა შვილი მისი, ფარსებანი II. ბარ-
ტომი მოკედა 72 წ. და ამათ მოადგილე გახდა კარსი, შვი-
ლი ბარტომისა. ესენი დაიხოცნენ 87 წ. და ამათ ადგილას
გამეფედნენ აზორები და არმაზები; ამ თრის სიკვდილის დრო



ცნობილი არ არის. 103—113 წ. აზღურების და არმაზულის
შემდეგ მეფობდნენ ადეკვატ და ამზადები. 113—129 მეფობ-
დნენ ფარსმან III და მინდატი. I.

ამ დროს მოხდა ომი სომხეთთან. განდევნილი სომხე-
ბის მეფე არტაშენი დაღ-ძალი სპარსეთის ჯარით მოადგა სემ-
ბათის წინამდღამდობით სომხეთის მეფეს ერვანდს. ამას მიე-
შევდა ფარსმან II. სემბათმა სძლია ერვანდი, მოყველა და
გამეფდა არტაშენი. 87 წ. სემბათი გაემგზავრა ფარსმანის
ჯავრის ამოსაურელად. მოტშეუბით აიღო ციხეები არტანისა
და წუნდა. ამ დროს გარდაიცვალა ქალა. ფარსმანმა მოი-
წვია არმაზელი და აზორეკი, გადასცა მათ მეფობა და მოვკდა.

ასაღ მეფეებმა მთაწიებს ასები და მთაული საღხები და
88 წ. შეესივჩენ სომხეთს და მთლად მოსწებს და აათხოეს.
მდიდარის განძევლით დაბრუნდნენ და დაგრენენ ითრის პირ-
ვედ. დაეწია მათ სემბათი. ასტუდა ბრძოლა და ქართველები
დამარცხდნენ. სემბათმა განვლო მთელი საქართველო ჭიზივი-
დგას მოკიდებული, ვიდრე მესიეთამდე და გაათხოა ქვეყანა;
მერე დაბრუნდა შინ. ქართველები გადაგ გამაგრდნენ, ააშენეს
დანგრეული ქალაქები, ციხეები და ბოლოს შეესივჩენ სომხეთ-
სა. სომხეთის მეფემ არტაშენმა დაახვედრა ჭარი თავის შეი-
ღია ზარენის წინამდღამდობით, რომელიც დაამრცხეს ქართვე-
ლებიმა, ტყვეთ წამოიყანეს დაამწუკდიეს დათიველში. ბო-
ლოს შერიგდნენ ქართველები სომხებთან იმ პირობით, რომ
პირველებმა დაუბრუნეს სომხებს ზარენი და მეორეებმა მესხე-
თის ციხეები. ფარსმან III. *) და მინდატი სიხა-და-სიხა

*) ფარსმანი იყო ქარგი მეგობარი იმპერიატორის ადრიანისა და
ამიცნობ მის სიცოცხლეშივე ქალისგან ჩამოსხმული მისი სურათი
დასდგეს ბელონის ფასარში მდ. ციბრის ნაპირზე მეგობრობის და-
სამკაცრებლად.



სასიათისანი იყვნენ. რამდენადც პირველი ჭიბუანი და გეთილი იყო, იმდენად მეღრე უტკუთ. მირდატმა მოიხდომა ფარსმანის მოგვლა, მაგრამ გაუგის და განაძევეს საქართველოდგან.

მირდატმა ორველ სცადა სპარსელების ჭარით შემოსევა საქართველოში, მაგრამ ქართველებმა ორვე-ჯერ რომაულების დახმარებით დაამარცხეს და განდევნეს. პირ-იქით ფარსმანი დიდის ჭარით შეესა სპარსეთს, მაგრამ მირდატმისაგან მოწამდებ იქმნა. ქართველები დაბრუნდნენ, ამათ გამოედევნენ სპარსეთის ჭარები, რომდებმაც დაიპრეს საქართველო და მეფედ დასკეს მირდატი, მაგრამ მალე ფარსმან მესამეს შვილმა ადამმა შეაგროვა ჭარები, ლასხვზე დაამარცხა მტრები და მირდატი მოჰყვლა. ეს მოხდა 129 წ.-ში. გამეფდა ადამი. ამით გაოვდა ორ-გამგობა საქართველოში.

VII.

(129 წლიდგან 265 წლამდე)

შეფერი ამ დროისა.—მთიულების შემოსევა და ამზადების გაძლიერება.—ამზადებ აღვადგნენ.—რევო.—გოტფების შემოსევა სამეგრელოში.—სიკვდილი ასფაგურისა.

ადამმა იმეფდა სამ წელიწადს (129—132). ამის სიკვდილის შემდეგ მისი შვილის ფარსმანის მცირე წლოვანობის გამო 14 წელიწადს ჭმართავდა ჭვეებას ადამის დედა გადდანი. 146 წ. გამეფდა ფარსმან IV. ამის შემდეგ ამზადები II 184 წლიდგან 188 წლამდე. მერე სომხეთის მეფის შვილი რევო. რევის შემდეგ კაჩე 213—231 წლამდე, ამის შემდეგ ბაკური; მერე 246 წლიდგან მირდატი II, მირდატის შემდეგ 262 წ. აღვადა ტახტედ ასთაგური.

ადამის და ფირსმან IV მეფისა იუთ მშვიდობისა; ამ-
ზასპ II მეფის დროს დვალეთიდგან ქართლს ოსები შე-
მოქსივნები, აქედგან გასწიეს მცხეთისკენ და შემოეტყუნები მას.
ამზასპმა მამანვე შეატყობინა ერისთავებს და სთხოვა მოშვე-
ლება. თვათონ კი გაამაგრა ქალაქი მცხეთა ერთი წილი ჭა-
რით და მეორეთი წინ დაუხვდა ოსების საფურცლებელი. მოხდა
შეტაქმა. სადამომდის შეაჩერა მან ოსების ჭარი. საღამოზე
დაბრუნდა მცხეთაში და გამაგრდა შიგ. ამზასპს მცირე ჭა-
რი ჰუგანდა და უკალა ელოდა მცხეთის აღებას. გათენდა. ის
იუთ ბრძოლას იწყობდნენ, რომ მცხეთას მოვიდა ერისთავე-
ბის ჭარი.. უკალამ ერთად დაუწეუს ბრძოლა. რომ დღის
ბრძოლის განმავლობაში ოსები სრულიად დაამარცხეს და გან-
დევნება.

მტრების დამარცხებამ ისე გაამსნება ამზასპი, რომ მა-
შინვე იგი დიდის ჭარით წავიდა ხრდილოეთ - გავეაზეთში
მტრების დასსჯელად: დაიმორჩილა თხეთი, განვღო აფხაზე-
თამდე და დაიმორჩილა უკალა მთიულები.

როცა დაბრუნდა საქართველოში, თავის ჭარის ქაცებს
მისცა წება, როგორც სურდათ ისრე მოქცეულიუკნენ. ამათ
თავისმის გაატუავეს ხალსი, რომელიც მოთმანებიდგან გამო-
ვიდა და სთხოვა ერისთავებს ამზასპის განდევნა. სამეგრე-
ლოს, თბისის, კლარჯეთის, წუნდის ერისთავებმა პირობის
მეჭქრეს და სთხოვეს სომხეთის მეფეს კაგარშავს, რომ მას
ქართველ მეფედ დაესკა თავისი შვალი. ამზასპი მოჰკლეს და
რევი გამეფდა.

რევი იუთ ქარგის ხასიათის ქაცი, სულ-გომელი და
გრძნობას აური. ამან აღკრძალა ადამიანის შესაწირავად მიტანა. რევზე დიდი გავლენა ჰქონდა მის ცოლს სეფორას (ბერძნის



ჭალს), ომდის სასსოფრადაც მეფემ აშენა გერმი აფრიკატრავა აგრეთვე რევი ღმობიერად ეპურობოდა თოთო-ოროდა ქრისტიანს, ომელინიც აქა-იქ მოიძებნებოდნენ. ამის მოადგილეებიც ისე სასტიგად არ სდევნიდნენ ქრისტიანებს, როგორც აქა-მდის.

233 წელში სომხეთის სამეფო, სადაც აქამდის მეფონდნენ მეფენი არ შეადგიბის გვარიდამ, დაქმორჩილა არდა შირს, სოკასეთის მეფეს.

258 წ. გოტფრიდი ხრდილოეთის მხრიდგან მოვადნენ შეკი ზღვის ნაპირას, გაკეთეს გემები და 15,000 კაცით გაემგზავრნენ აფხაზეთის გერა. გადმოასხეს ჭარი ბიჰვინტას. ბიჰვინტა მაშინ იყო მაგარი ჭალაში ციხით, ომელინიც აიღეს და განადგურეს. აქედან შეესივნენ სამეგრელოს და უკანა მოსწრეს, დაანგრიეს. მერე წავიდნენ ტრაპეზიანში. არდა შირის მოადგილემ საფორმა მალიან შეკაიწოდეს საქართველო. მირდა ტრის მოადგილე ასფაგური მოთმინებიდგან გამოვიდა და წავადა მთაველეთში ჭარების მოსაგროვებლად, მაგრამ 265 წელში იქნა მოკვდა და მათ არ შეადგიბის მთამომავლობის მეურია საჭართველოში დასრულდა.

VIII.

სასსანიდების *) მეფობა საქართველოში.

დესპანთა გაგზავნა საფორთან, — საქართველოს მეფედ ინიშნება მირიანი. — საფორთის განკარგულებანი. — მირიანის საქმეები. — ოსებისა და ფრანგების მოძრაობა,

სპარსეთში სასსანიდების გაძლიერებას დადა გავლენა ქვეთნდა ქართველობაზე. საფორთის გულის მოსაგებლად ქართველების ერისთავებმა მაშინ კე გაუგზავნეს მას სპარსეთში დესპანება და სთხოვეს შეიღი მიეცა ქართველთა მეფედ; მით უწერის ეს უნდოდათ, რომ ასფაგურის სიკვდილის შემდეგ არავინ დარჩა არმავიდების გვარიდგიან.

*) 226 წ. სპარსეთის მეფედ გახდა არდაშირი, შვილი სასსანისა. აქედგან იწყობა სასსანიდების გვარის მეფობა სპარსეთში. არდაშირიმა დაიკურო მთელი მცირე აზია; დაამარცხა სრულიად რომის ჯარი, სომხების ჯართან შეერთებული. მთელი სომხეთი დაემორჩილო სპარსეთს. სომხეთის მეფის შვილი მცირე წლოვანი ტირიდაჭი გააქციეს რომში და დამალეს.

260 წ. თვით რომის იმპერიატორმა მოიყვანა ჯარი სპარსეთზე, სადაც მაშინ მეფობდა შვილი არდაშირისა, საფორთი. მაგრამ საფორთმა დაამარცხა, თვით გალერიანი დააუკვეცეს და შებორკილი გალიაში დაჭქონდათ ხალხის საჩვენებლად. გალერიანის მაგიერ საფორთმა დანიშნა უბრალო კაცი ანტიოქელი, ვიღაც კირიადა, რომელიც მაშინვე უშეინებულმა რომაელების ჯარებმა მეფედ იცნეს. რომეს შიშის ზარი დაეცა. გალერიანი შეწერებული მოკვდა. მერე საფორთმა მოსწვა ანტიოქია, ტარსი, კესარია. ამ ნაირად უეძრწენა და უენძრია მთელი აზია და ევროპა.

დესპანებმა რომ მოახსენეს საფორს ქართველთა ხალხის მურივით, მაშინ მან იკითხა: „სად არის ქალაქი მცხეთა, რამ სიღიძოა? შორს არიან იქიდგან ქაზარეველი დ ისები? რომელი გვარიდგანაა საქართველოს მეფის ასული?“ საფორმა შილდო რა ჰასუხი გითხვებზე, მაშინკე გამოემგზავრა საქართველოში, სადაც დიდი მატივი ჸსცეს. საფორი უკელატრით გმაყოფილი დარჩა; დაუნიშნა ქართველები; მეფედ თავისი შვილი, შვიდი წლის მირიანი დ დაუმორჩილა მას აგრეთვე სომხეთი დ მთიული ხალხი; ამის შემდეგ საფორმა მოასდინა განკარგულება, რომ დაენიშნათ გამდელი მირიანისათვის დ დროებით მმართველი საქართველოსა დ წავიდა სპარსეთში.

მირიანმა დიდი სიუკარული გამოიჩინა ქართული ენის, სჯულის, ჩვეულებების შესწავლაში. ამიტომ სალხმაც შეიუკარა. პირველი დრო მისი მეფობისა იყო ძალიან შეითამანი. მთიულები სან დერბენდიდგან შემოესულდნენ ხოლმე საქართველოს, სან დარიალის უელიდგან. მაკრამ მირიანი უკელვან ესწრობოდა დ იგერებდა მტრებს. ომიანობის დროსაც ის მთუსკერძად იღვწოდა საქართველოს ქალაქების, ციხეების, ხალხოცავების ასაშენებლად დ გასასხლებლად; სხვათა შორის მან გაამშვენიერა ფარნაოზის საფლავი.

ამავე მეფის დროს მოქსდა შემოსევა საქართველოში ისებისა 276 წ. ესენი შეესინენ აფხაზეთიდგან სამეგრელოს, აქედან წაკიდნენ გლარვეთში, გააოსრეს აქაურობა დ მერე წაკიდნენ პონტში. რომის იმპერატორმა ტაციორმა გამოდევნა ესენი დ თვით გავისაიონის მთების მირში მოტკლა.

ამავე წელიწადს შემოესივნენ ფრანგები ჭვრ გლარვეთს, მერე სამეგრელოს. გააოსრეს უბებე გაოსრებული მკუანა დ მერე ეკროპაში წაკიდნენ ზღვით.

მაშინ როდესაც საქართველო იყო თავისუფალი ქვეყანა, იმ დროს სომხეთი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სპარსეთის სამფლობელოს შეადგინდა და დაღს ტანჯგაში იყო. 287 წ. რომის იმპერატორმა ტირიდატი (არმავიდი) გამოაცნება მეფედ სომხეთისა და გამოამგზავრა აზაში. ტირიდატს მიეგება დაღის სიხარულით მთელი სომხეთის ხალხი. ამან განდევნა სპარსელები და გამეფდა, მაგრამ სპარსეთის მეფემ ბარამმა შეაგროვა უკედა თავისი ჭარები და დამარცხეს ტირიდატი. ეს კადევ გაიძრა რომში. რომის იმპერატორმა დაოგვირიანმა სრულიად დამარცხეა სპარსეთის ჭარი: ამის შედეგი ის იყო, რომ აღადგინა სომხეთის სამეფო, მეფედ გახდა ტირიდატი. უფლება საქართველოს მეფეების დანიშნისა მიეცა რომის იმპერატორებს.

იმპერატორმა დაოგვირეტიანემ მირიანის შვილი ბაქარი მეკლად, წაიყვანა რომში, მირიანი კი დაუნათესავა ტირიდატს: რეგს, მეორე შვილს მირიანისას, შერთო ტირიდატის ქალი.

მირიანმა კახეთში მმართველად დასკა რევი, და განჯის მაზრაში კი სპარსეთის მმართველის ნათესავი — იუროზი. ამ გვარად რომელ მეფეებს არ აწერინა: არც რომის იმპერატორს, არც სპარსეთის ხელმწიფებს.

IX.

ქრისტიანობის შემთხვება საქართველოში.

კურპთ თაყვანის-მცემლობა, — ცრუ-მორწმუნეობა. — ხმები ქრისტე-ზე. — ზოგიერთ წრეების სურვილი ქრისტიანობის მიღებისათვის. — გაქრისტიანებული წრეები. — ქრისტიანობა რომის იმპერიაში იცნეს უმთავრეს სახელმწიფო სჯულად.

საქართველოში მე-IV საუკუნის დასაწყისამდე იუთ წარ-მართობა, ურწმუნოება. ქართველთა სჯული შესდგებოდა ებ-კიბრელების, ბერძნების, სპარსელების სჯულებიდგან; ესენი ისე იუკნენ შერეულნი, ოთმ ერთი-ერთმანერთი დაქმახინჯი-ნინათ, და გაციმა არ იცოდა თუ ქართველები რომელი სარწმუ-ნოებისა იუკნენ. ხალხში გაკრიცალდა ცრუ-მორწმუნეობა. უო-კელი დიდი სე, ჭა, კლდე და მ გვარები ქართველების ღმე-როები იუკნენ. ეს ცრუ-მორწმუნეობა ისე ღრმად ჰქონდათ ძვალ-ობილში გამჭდარი, ოთმ ხალხში აქამდის არის დარჩო-მილი შისი გვალი.

ამ უჯველოების დროს, ერთმა ურიამ, ელიოსმა მოი-ტანა წილად ხდომილი გვარობი ქრისტესი მცხეთაში და მოუ-თხორ ხალხს ამბავი დიდს მოციქულზე — მესსიაზე. ამ ხმებ-მა მეზე ფარსმანამდე მიაწიეს. ფარსმანს უნდოდა ბერთო სელში ჩაეგდო, მაგრამ ელიოსმა დამალა. ამის გარდა საქარ-თველოს ურიებს მოსიდიოდა ურიასტანიდგან წერილები, ოთმ-ლებშიაც ატურბანებდნენ აქაურებს ამბებს ქრისტეზე. ელიო-სმა მიიღო წერილი მღვდლის ანასაგან. ანა სწერდა, ოთმ

ღვთის მოვლენილი უმაწვილი აღიზარდა, ჟანერი მოვიდა, ესდა ამბობს — ღვთის შვილი ვართ. ჩვენი ხალხი ემზადება მის მოვლას, ომ აღასრულდას მცნება მოსესი. ელიოსი და ამხანაგი მისი ღონიგინოზ ქარსნელი წავიდნენ იერუსალიმში, სადაც ნახეს ჯვარ-ცმელი ქრისტე და წამოიღეს მცხეთას წილ ხდომილი კერითი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

დიდი გავლენა ქართველებზე ჭრონდა აგრეთვე ანდრია და სიმონ მოციქულების მოსვლას. აგრეთვე ეპისკოპოსებს: კლიმენტის და პალმის (ეს იყო მეგრელი), ოომელიც რომიდგან განდევნილ იუგნენ მცირე აზიაში. ასე რომ რამდენათაც ქრისტიანობა კოცელდებოდა და ედებოდა ხალხს, იმდენად ურწმუნებება გადოდა და მცარდებოდა. მართან მეფის მეფობის დროს კი თვით სასახლე შაც მოიდგა ფეხი.

ქრისტეს ამაღლების შემდეგ მისი მოციქულები, ქრისტეს დარიგებისამებრ, მოედნენ მთელ ქვეყნას, ოომ გაეკრცალებინათ სწავლა და სჭული თავის მასწავლებლისა. უკულაზე მეტი იღვაწა ქრისტიანობისათვის მოციქულმა პავლემ, ოომელმაც მთიარა მთელი მცირე აზია, მაკედონია, საბერძნეთი და იტალია და, თუმცა სასტიგად სჭიდნენ ქრისტიანობის მოღვაწეთ, მაგრამ მან მაინც უკელგან დაარსა ქრისტიანობრივი საზოგადოებანი (წრენი). ეს წრები ერთდებოდნენ და ერთმანეთს შეკლოდნენ უოკელს უბედურებაში და დეკნაში. მოციქულების შემდეგ ქადაგება დაიწეუს მრავალმა სხვა განათლებულ პარებმა, ოომელთაც აგრეთვე სასტიგად სდევნიდნენ. ამ გვარი დეკნა იყო იმ დრომდის, მინამ არ გამეფდა გრატიანტის დიდი, შეიღი გრატიანცია ქლორისა. ამის გამეფებამდე თუმცა სასტიგად სჭიდნენ ქრისტიანებს, მაგრამ მაინც ქრისტიანობა ძალიან გაკრცელებულივა და ქრისტიანები გამრავლებულიერნენ.



კონსტანტინე პირველი იურ მქართველი შეთღოდა გადა
დისა. 312 წ. შეაგროვა ჭარები (გაღლები) და გამოაცხადა,
რომ ის მიზის რომის დასაპურობლად და ქრისტიანობის და-
საფარავად დევნისაგან. მის ბაირალზე გამოკრიალი იურ კვა-
რი. ეს კვარი წან მიუძღვდა ჭარს. ამ დროს რომში იმპე-
რატორად იურ მაქსენტი, რომელიც სდევნიდა ქრისტიანებს.
ამის ჭარში ბეკრა ქრისტიანი ერა. გაიგეს თუ არა კოსტან-
ტინეს დაპირება, ქრისტიანი ჭარები და ხალხები გადუდენენ
მაქსენტის და მიემსრინენ კოსტანტინეს. დამარცხდა მაქსენტი და
გამეფდა კოსტანტინე, ამასთანავე დაემხო წარმართობა და გა-
მარჯვა ქრისტიანობამ. ქრისტიანობა მიეცა დად სისარულს.
თვით კოსტანტინე დიდი, მისი ცოდი ფუსტი, დედი ელე-
ნე, სიდედრი — ევთონია, მთელი მისი სასახლე და ჭარი თა-
ნაგრძნობას უცხადებდნენ ქრისტიანებს და მონაწილეობას იღ-
ძნენ მათ სისარულში. ამის შემდეგ აშენდნენ მშენები ეპ-
კლესიები, მღვდელ-მსახური გამრავლდნენ და ქრისტეს სფუღო
გახდა მთავარ-სფუღად მთელს რომის იმპერიაში. ამ მდგრმა-
რეობაში იურ ქრისტიანობის საქმე საჭართველოს გაქრისტია-
ნებამდე.

X.

ქრისტიანობის მიღება ქართველთაგან.

წმ. ნინო.—მისი დევნა.—მოსვლა ნინოსი საქართველოში.—ორმეზდის და ზადენის ღლესასწაული.—ქადაგება ნინოსი.—მირიანის განათლვა.—მეფის განკარგელება.—განათლვა ქართველებისა.—ნინოს ქადაგება სხვა ადგილებში.—საქართველოს ეკალესია ემოჩჩილება ანცოლების საპატრიარქოს.—გავლენა ქრისტიანობისა ქართველებზე.—გავლენა საერო საქმეებზე სამღვდელო პირებისა.

ნინო იყო კოლასტრიდგან, ქაპეადოგის ქალაჭიდგან, შვალი ღვთის მოშაბ და კეთილ-მორწმუნე მშობლებისა. ჰატარაობისასკე დაობლდა. ბიძა მისმა მიიყვანა იერუსალიმში და მააბარა აფხაზთდელად სარჩას, ბეთლემელ ქალს, ორმედიც სტკლესიაში მსახურებდა. ნინოს კარგად შესწავლილი ქრისტიანობის სწავლა, როცა იერუსალიმში მოვიდა ერთი ღეღაცი და ხმა დააგდო, რომ იმპერატორის კოსტანციი ქლორის ცოლს ელენეს ჰსურს მიიღოს ქრისტიანობათ. ნინო, ჰატრიარქის ნება-დართვით, გაემგზავრა იმ ღეღა-კაცთან ერთად რომში, მოვიდა აქ და მონასტერში შევიდა. ამ მონასტერში სცხოვრობდნენ და სწავლობდნენ 50 ქალი, ამათ რიცხვში მშენიერი რითსიმეც ერთა.

დაოკლეტიანმა რომ გაიგო მშენიერება რითსიმესი, მოინდომა მის ცოლად შერთვა. ქალებს თავს ზარი ღაეცათ და უკელანი გაიქცნენ. ნინომ აიუვანა რითსიმე და გაიანე და მოიქცა სომხეთში. სომხეთის მეფემ ტიმილატმა იპოვა რით-



სიმე დ გაიანე დ დახუცა, რადგან მათ არ მოინდომეს დაო-
კლეტიანეს ცოლობა.

ნინო პირველად იმაღლებოდა ჩრდილოეთ სომხეთში: მე-
რე მეორე წელიწადს, ივლისის თვეში, ის მოვიდა საჭაროვე-
ლო ში. ნინო კერ მოვიდა ჯავახეთში. აქ გამოივითხა მცხე-
თა. — მეორეზეებმა მას მისცეს საჭმელი — პური. ჯავახეთის
ახალ-ქალაქიდგან მოვიდა ქალაქ ურბნისში. ურბნისიდგან, რა-
დენიმე ღღის შემდეგ, დად-ძალ საღხოთან ერთად მოვიდა არ-
მაზში, სადაც მოაწყებოდა ხალხი გველა გუთხიდგან ურმუ-
ხდის დ ზაფხნის ღღეობაზე.

ხალხის ცოუ-მორწმუნეობამ ააღელეა ნინო. იგი დიდის
სიმწებარით უუკრებდა იმას, რაც ხდებოდა მის თვალ-წინ. —
სოხოვა ნინომ ღმერთს, რომ მისთვის მიერა ძალა ამ წარმართ
ხალხის ქეშმარიტ გზაზე დასაუკრებლად. შეს ღღისას ასტუდა
დიდი ქარიშხალი სეტევით დ მთელი ძღვორები ხალხის გუნდი გა-
სახნა. ამის შემდეგ ნინო დასახლდა მცხეთში. დაიწურ ქადა-
გება დ ხალხის სწავლა დ აკად-მეოთების კურნება სხვა-და-
სხვა წამლებით დ ჯვრით. პირველი მოწაფე მისი იუო აბა-
თარი დ მისი ცოლ-შვილი, აგრეთვე ზოგიერთი მეფის ქარის
ქანები დ თვით მირიანის მეუღლე ნანა, რომელიც მოარჩინა
ნინომ დიდი-ხნას სწეულებისაგან. მირიანი გაკვირვებული იყო,
რომ ცოლი მოუწია. მოიწვია ნინო დ დიდ-ხანს ემუსაიფა
ქრისტეს სკულზე.

ბოლოს მირიანმა გამოიწერა საბერძნეთიდგან მღვდლები
დ მთელის თავის ხალხით მოიხატდა. იქ, სადაც იუო აბ-
მეზდის კერპი, დასდგეს ხის ჯვარი დ ხალხი მას თავვანსა
სცემდა. იქ, სადაც იუო მეფის ბაღი (მცხეთაში), დაიწურეს
შენება პირველის ეპბლესიასა. რომის იმპერატორმა კოსტან-



ტინე დიდმა დიდის სიხარულით მიიღო მირიანის დ ქართველების განათველის ამბავი დ მაშინვე მძეველად მეოთი ბაქარი, შეიღი მირიანისა, გაანთავისუფლა.

ნინო გახარებული საქმის ამგვარად წარმატებისა-გამო, წავიდა სხვა საქართველოს ადგილებში დ უკელგან ასწავლიდა დ ჭადაგებდა ხალხს. მაღვე მოაქცია უკელანი ქრისტიანობაზე. მის სწავლას გავლენა ჭრონდა მთიულ ხალხშია.

შეიღი წლის შემდეგ (325 წ.) საქართველოს ეკკლესია მიეწრია ანტიოქიის საპატიოარქოს.

ამ ნაირად მოხდა ქრისტიანობის მიღება ქართველებისა. ქრისტიანობამ მშეიღიოდ შეაერთა ქართველები. ჩამოაგდო მათში სიყვარული.

XI

ქრისტიანობის მიღებიდგან გილოე გახტანგ გორგასლანაძე.

გამგზავრება მირიანისა ორუსალიმში.—გამეფება ბაქარისა.—სკოლები.—იმი სპარსეთთან და სომხეთთან.—მეფობა მირდაც III.—მეფობა ვარზბაკურისა, ცირილაცისა, ფარსმან V და მირიდაც IV.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ მირიანი გაემგზავრა იქრესალიმში ღვთის საფლავის თავებისა-საცემლად. მივიდა იქრესალიმში დ იმპერატორის ხება დართვით ამენა თვის სარჯზე ტაძარი პატიოსნისა ჯვარისა. იქიდგან რამწამ დაბრუნდა, გახეთი შემოუერთა თვის სამეფოს, რადგან მისი მმართველი რევი გარდაცვლილიყო. თვითონაც გარდასცა მეფისა ბაქარი დ მოკვდა 342 წელში.



ბაქარმა მამაზე ნაკლები სიკუთე არ დათვას საქართველო-
ში. მოიწვა საბერძნეთიდგან ნასწავლი კაცები; ეპტლესიებთან
ერთად ააშენებინა სკოლები. ეს ნასწავლი კაცები სკოლებში
ასწავლიდნენ უკედა საგნებს ქართულს ენაზე; აგრეთვე კალდე-
ბული გახსადა ესწავლებინათ ბერძნული და ასამორული ენებიც.
უკედან ბაქარის ბრძანებით ააშენეს მრავალი ტაძრები, რომ-
ლებმაც დაუკარგა უკეთესნი მჭადაგებელნი სარწმუნოებისა. მათ
წევალობით მაღე ჭრისტეს სწული მიაღეს აფხაზებმა, ხევსუ-
რებმა და კავკასიის სხვა ხალხებმაც.

ბაქარის სიკვდილის შემდეგ გამოფდა შვილი მისი მორ-
ჩატ III 364 წ. ამის მეორბა იყო მშვიდი და მეტობრული
გავმორით შეზავებული რომის იმპერიასთან, რომელიც ემზა-
დებოდა სპარსეთთან საომრად. ამის შვილის კარზბაკურის მე-
ფორბას დროს სპარსებმა დამორჩილეს ბეკრი ადგილები და
სთხოვეს სომხებს და ქართველებს, რომ უკვე წელიწადს მათთვის
სარგო კმდათ. კარზბაკური შიშისაგან კახეთის ხევში დაიძა-
ლა, თუმცა მას სთხოვდნენ მისი ერისთავები და სომხები სპარ-
სებთან შებმას. სპარსეთის ჭარი ამასობაში შემოვიდა საქარ-
თველოში; ამათ თბილისში სოლოლაკის გრანაზე ააშენეს ცი-
ხე სახელად „შურის ციხე“, რომელშიაც დააკანებს თავისი ჭა-
რები. ხალხი შეავიწროვეს და სარგო დაადგეს. სპარსელები იმ
დრომდის იყვნენ საქართველოში, მინამ მეზე ქართველთა არ
დაჭრილდა სარკის მიცემას და არ დაუთმო მათ აღმოსავლეთი
ნაწილი კახეთისა, აგრეთვე განჯის მაზრა (არანი) და მმევლად
არ მისცა იურიზის შვილები.

რომის იმპერატორის არ მოეწონა უოფა-ჭრება კარზბა-
კურისა. დაბეჭრო კლარჯეთი არსიანამდის და მმართველად და-
სხვა თავისი საკრომათი. სპარსეთის მეზეს ეწერის ეს. დაზ-



ძალი ჭარით დაეცა რომელების ჭარის, დახოცა ისანი უფრო განვითარდა და განვითარდა. 393 წ. მოკვდა კარზბაკური, რომელსაც დარჩა სამი მცირე-წროვაზი შვილი. გამეფდა მასი სიმე რევის შვილი, ტრდატი. ამის მეფითაბაში არა მომხდარა-რა შესანიშნავი.

405 წ. ტრდატის სიკვდილის შემდეგ გამეფდა შვილი კარზბაკურისა ფარსმან V. ამან საქართველო კანთავისუფლა სპარსეთის ბავლენისაგან და ხარჯი დღაც აძლია. მაგრამ სამი წლის შემდეგ მოკვდა და 408 წ. გამეფდა მმა მისი მარდატი მე-IV. ეს იყო ამაფი და თავ-მოუკარე კაცი. არა სცდილიაბდა, რომ საქართველო დაეცეა სპარსებისავან, რომელთაც უარი უთხრა ხარჯის მიცემაზე. სპარსეთის მეფე განრისხებული 410 წ. წამოკიდა და ერთ შეტაკებაში დაამარცხა მარდატი და ტევე ჰერ, მოდარა მოკედი საქართველო, დაანგრია ეპელესიები და გააოხრა უკელაოები. მეფის სახლობა და სამღვდელოება გაიქცნენ გაცხის ხევში. მარდატი გაგზავნეს ბაღდადში და იქ მოკვდა. საქართველო საშინელ მდგრამარეობაში ჩავარდა.

უთაობა.—არჩილ.—მარდატი V.—უკანასკნელი დრო გორგ-ასლანამდე.

სპარსების შემოსევის შემდეგ საქართველოს არა ჟურლია მეფე და მმართველი სამი წლის განმავალობამდე. 413 წელს, როცა სპარსედებს სხვა ხალხებიან ომი აუტედათ, ქართველებმა გაამეფეს არჩილი, შვილი მარდატ IV-სა. ამან მეგობრული განწყობილება დასდო საბერძნეთის იმპერიასთან დაკ-



კლესიების შენება და გასუფთავება დაიწყო. ეპილესიები ცისმსეუ
იყვნენ მოგვებით, ომედნიც სპარსელების შემთხვევის დროს
დაქვეიდონენ შეგვთა უჩივლეს არჩილს. არანის და ადირ-
ბეჭანის მმართველები დაეცნენ ქართველებს, მაგრამ არჩილმა
დაამარცხა და წაართვა დიდ-მაღად აღაფი.

434. წ. არჩილი მოკვდა და გამეფდა მისი შეიძლი მირ-
დატი V, ომედმაც შეირთო ქადა ბარზაბოდისა, სპარსეთის
მეფისა და მე ნაირად ჩამოაგრ მეგობრობა თუ სახელმწიფოს
შეუ. მაგრამ მალე მოკვდა ბარზაბოდი და ავიდა სპარსეთის
ტახტზედ იეზდიგერდ II, ომედიც დაეცა ბერძნების ქარს
ნიზიბისში და განდევნა იქიდგან; მერე ადირბეჭანის მმართველს
უბრძანა დაეპურო სომხეთი და საქართველო და დაეუენებინა იქ
მრავალი მოგვები და ამასთანავე წერილით მიიწვევდა ქართველ-
თა და სომხეთა ქარებს ხორასანში, გუნების წინააღმდეგ სა-
ბოლოლველად. ამასთაში მოკვდა (446 წ.) მირდატი V, ომ-
ედსაც დარჩა 7 წლის ვაჟი ვახტანგი.

თუმცა სპარსელები დადად აბრეოლებდნენ ქრისტიანობის
გავრცელებას საქართველოში, თუმცა ეპილესიებს, სკოლებს
ანგრევდნენ და მოგვებს უენებდნენ ქართველებს, მაგრამ მაინც
ქრისტიანობამ მთიდგა მეტიდრო ფესვები საქართველოში ამ
ერთი საუკუნის განმავლობაში.

ამავე დროს შემთაღეს საქართველოში ახალი ასოები—
ხუცური, ომედიც მოიგონა მესორბემა ვაჟელის შემწერილით.
ამ ასოებზე სწერდნენ და სთარგმნიდნენ საძღვოთ წიგნებსა.

XII.

პეფობა გახტანგ გორგასლანისა, მინდატ მე-V შვილისა.

უმაწვილობა გახტანგისა და მისი აღზრდა.—მდგომარეობა სა-
მეერიგებინა თათავე. პვირიკემ შერიგება მოახდინა იმ პირი-
ბით, რომ არავეს დაევაწეათ თავისი წარსული უკმაշოვი-
ლებანი, მტრობა და მმურად ესარგებლნათ თავეთი მამის ქონე-
ბით. შერიგების ფიცი მოხდა მცხეთის სობოროში, სადაც
მოვიდენ თეოდოსი, დიმიტრი, პვირიკე და სხვ. ფიცის შემდეგ
ორივე მმები წავიდნენ აფხაზეთში, მაგრამ დიმიტრიმ შეიძერ
მმა — თვალები დასთხაოსა და საპურობილები ჩააგდო. ამ გვარ
ულმერთოებამ აღელვა აფხაზები, რომელთაც დიმიტრის მეფობა

წართვეს და, რაღაც შეიძლა ამისი უჭირული იქნა, გამოიყენეთ
საშუალობილებების თვითდასი და მეფედ ჩასვეს (979 წ.).

ამასთაში კვირიკე შევიდა ქართლში და შემოიტეა
უფლის-ციხეს. თავადმა ივანე მარეშიძემ მოიწვია დაკით კუ-
როპალატი (გამოჩენილი მეობარი მაშინდებლი დორისა) კარე-
ბით ქართლის დასაჭირად და თუ იგი ამას არ იზამდა—მი-
ეცა შემწეობა ამ საქმის ადსასრულებლად ეუროპალატის გურ-
გენის შვილის ბაგრატისათვის, შვილის-შვილისათვის ბაგრატ
რეგენისა.

დაკითი დაეთანხმა. შემოვიდა ქართლში, გააგდო კვირი-
კე და გაამეივა ქართლში თავისი შეიძლობილი ბაგრატი III.

ბაგრატ III-ის გამეფება (980 წ.) მაღარან სასარგებლო
იქნა საქართველოს სამეფოს გასაძლიერებლად. ბაგრატი, რად-
გან მცირე წილვანი იქნა, ქართლს განაგებდა დაკითი. ამ
დოროს არაბების სიძლიერესაც ბოლო ეღიანოდა. მათი კრის-
ტი სამეფო სუსტდებოდა შინაური შეიათების და უთანხმოების
გამო. ამიტომ თბილისის ემირს მაღარან მცირე გავლენა ჰქონ-
და საქართველოს შინაურ საქმეებზე.

ამავე დროს ქართლში კიდევ გაჩნდეს წინაღმდეგნი პირ-
ნი, რომელიც ებრძოდნენ მეფეს. ამათი მოთავე იქნა ქავთა-
რა ტებელი, რომელმაც მოიწვია კვირიკე, აიღო უფლის-ცი-
ხე და დაატუვება გურგენი და ბაგრატი, მაგრამ დაკითი დაცნა
და გაანთავისუფლა იგინი, კვირიკე კი გავიდა ქართლიდგან.

ამავე დროს აფხაზეთშიაც აღელებული იქნა აზნაურო-
ბა, რაღაც ბრძან თეოდოსი გერ ქავთავდა სამეფოს. ამით
ისარგებლა იმავე ივანე მარეშიძემ და იმდენი ეცადა, რომ თა-
ვის მსარეს გადმოიბარა უმთავრესი საწილი აფხაზეთის დად-
გაცობისა და ჩააგრინა მათ, რომ მოეწვიათ მეფედ ბაგრატი.



აფხაზებმა გამოუგზავნეს დავითის შეს კაცები და სთხოვეს
შეიღი მეფედ აბხაზებისა. დავითი დათანხმდა, რომა ამანა-
თები მოსცეს წარჩინებულ ტერებიდგან. მამინ დავითმა და-
ჭრუა თავისი შვილი და გაისტუმრა ქუთაისში, აფხაზების
სამეფოს დედა-ქალაქში, სადაც ხალხმა შეკვირა მას ერთგუ-
ლობა. ასე 995 წელში შაჟოთდნენ აფხაზეთ-ქართლის სამე-
ფონი.

გამლიერება საქართველოსა.

გამეფება ბაგრატისა.—ქავთარ-ტბელი.—რატი ორბელიანი.—
რატის მიემრობა დავით კუროპალატი.—დამორჩილება რ. ორ-
ბელიანისა.—სიკვდილი ბაგრატ რეგვენისა და ლავით კუროპა-
ლატისა.—დამორჩილება კახეთისა, ჭერისა.—სწავლა-განათ-
ლება, ხელოვნება.—სიკვდილი ბაგრატ III-სა.

980 წელს გამეფდა თუ არა ბაგრატი დაამშვიდა აფხა-
ზების ხალხი და ადრინდელი მეფე და ბიძა თვისი—თეოდო-
სი გაისტუმრა თავის მამის, დავით ქუთაისალატის შემყანაში,
რაღდან ეშინოდა, რომ მას ხალხი არ აეღელებებინა. აფხა-
ზეთში ჩამოაგდო წესი და სიმშვიდე, მაგრამ ამავე დროს
იმერეთში ქავთარ-ტბელის თაოსნობით ზოგიერთებმა განი-
ყრასეს განთავისუფლება ქართლის ბაგრატის დამოვიდებულე-
ბიდგან. წინააღმდეგნი შეიყარნენ ას გამაგრძნენ ლიხის მოე-
ბაში. ქართლის დიდ-ქაციას შატრივს აღარ სცემდა დროებით
მმართველს ამ ქვეყნისას—ბაგრატის დედას.

მეფემ გაიგო თუ არა კი ამბავი, დიდ-ქალი ჭარით გად-
მოვიდა ლიხზე, შეებრძოლა, დაამარცხა, შევიდა ქართლში,

დაამშვიდა და მერე წავიდა მერეთში; თავის გედაც თან წავიდა. მაგრამ წინააღმდეგინა მებრძოლზე მაიც არ დაწესარდნენ. რამდენიმე წლის უკან ხელახლად აჭახდნენ. ამათი მოთავსე იყო რატი რატელანი, *) რომელსაც ჰქონდა დიდი მამულები ატენიდგან, მოკიდებული კიდე-კარამდე და თრიალეთამდე, მასკე ეპუთნოდა მანგლისი და სკვირეთი. რატიმ გადისინა თავისკენ დავით გურიაშატატიც, რომელიც რაზაზედაც გულ-ნაკლული და-რჩომილი იყო თავის შვილზე, აგრეთვე ბაგრატ რეპენი, რომელიც შეესია შეგმეთს. დავითი გამაფრდა თრიალეთში; აგრეთვე რატიმ დაიჭირა ატენს და მანგლისს შეა დგიალები. ბაგრატი გაგვირკებული და გაოცებული მამის ამ გვარ უოფა-შცუკისაგან, მოკიდა კარით თრიალეთში, ცხენით მარტო წა-ვიდა მამის ბანაკში მოსალაპარაკებლად და თავის გასამართლე-ბლად. დავითმა მართლაც დიდის სისარულით მიიღო ისა და შეიწესარა მისგან თავის განმართლება, დაითხოვა თვისი კა-რები და შინ დაბრუნდა.

ბაგრატი არ შეება საბრძოლვებულ გამზადებულს რატს, დაბრუნდა ათხაზეთში. ზამთარი რომ დადგა — რატიმ თავის კარის გაცები დაითხოვა, — სიჩქარით ჩამოვიდა ქართლში და კიდე-კარს (ეხლა წალება) შემოურტყა. თავ-ზარ-დაცემულმა რა-ტიმ სრულიადი მორჩილება გამოუცხადა. ამის ნაშნად მისცა მას შვილი — ლიპარიტი, თვითონ კი საცხოვრებლად, ბაგრა-ტის სურვილისამებრ, არგვეთში წავიდა.

*) შესანიშნავი გვარი ესე მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინ ჩი-ნეთიდგან გამომავალად ითვლება. ორბელიანებს ჰქონდათ და აქო-დიდ-მალი მამულები საქართველოში. საქართველოს ისტორიულ ჩარ-ხის ბრუნვაში, მეფის შემდეგ, ორბელიანთ ეკავათ პირველი აღგილი.

994 წ. მოგვდა ბაგრატ II-რეგენი.

1001 წ. მოგვდა დავით გურიშვალატი. ორმედმაც თავის ქვეყნები დაუტოვა იმპერატორს კასილის და ბაგრატს, ორგორც შირობა ჭრილდა. კასილი მოგვიდა თავის მიწების გასაშინჯავად. აქ მოხდა შეტაქება გურგენს და მის შორის, და გათავდა მით, ორმ კასილი შეურიგდა გურგენს და დაუთმო მას ტაოს ნაწილი.

გურგენის სიკვდილის შემდეგ (1008 წ.) ბაგრატ III-მ გაამრავდა ქარების რიცხვი. ამ ქამად მას ჭრილდა დაგავებული თითქმის მოელი უწინდელი საქართველო, გარდა კახეთისა. მან ითხოვა ქორეპისკოპოსის დავითისაგან (კვირიკე II მოადგი-ლე) სრულდადი მორჩილება და ზოგიერთი ციხეების დათმობა. ამზე დავითმა იმის გამოცხადებით უპასუხა. 1010 წ. ბაგრატი თანეთიდგან შეესა კახეთი, დაიმორჩილა ისა, და-ატებება მმართველი დავითი და მოელი ეს ქვეყანა თავის ერი-სთავებს გაუნაწილა— მერე შეკიდა ჭრეთში და მმართველი მა-სი მეფე—დინარ ტეკეო ჭრილ და ეს ქვეყანა გაანაწილა თავის წარჩინებულთ პართა შეა.

კახტანგ გორგ-ასფანის შემდეგ სამხედრო საქმეებში არ გამოჩენილა ბაგრატის თანაბარი. ამან დაიმორჩილა განჯის ემირი— ფადეონი, ორმედიც სშირად ეცემოდა კახეთს. ადიო-ბეჟნის და სომხეთის მმართველი მას აძლევდნენ სარგა. სპარ-სეთის მეფე და იმპერატორი კასილი მის მეგობრობას და-ე-ძებლენ. კასილი შეეღოდა ბაგრატს ეკლესიების აშენებაში.

სამედამო ადგილ-სამეოფელი ბაგრატისა იყო სან ქუთაი-სი, სან უფლის-ციხე. თბილისში იმ დროს იმულოვებოდა არა-ბებისემირი (VII საუკუნიდგანვე), ორმედსაც ჭრილდა აქ თავის სა-

სახლე, თბილისში და მის მიდამოში სცხოვრობდნენ თათვები. მის გამო ქართველობას არ უყვარდა თბილისი.

ბაგრატიძეან იწყობა გამლივრება ქართველთა. თვით ბაგრატი იყო ღონიერი, ბრძენი და განათლებული მეფე. ის დაუსკვნებლად ამდადრებდა თავის დაცემულს სამეფოს. მის დროს აღებ-მიცემა, ხვნა-თესვა, სწავლა-განათლება წარმატებაში შევიდნენ. დანგრეულ-დაჭყეული შენობანი მეფემ ხელ-მეორედ ააგო; ძველები განაახლა; აგრეთვე ააგო მონავალი ახალი ეგლე-სიები და ტაძრები. ქუთაისის შესანიშნავი სობოროს საძირკე-^{აუ} და ჩავდო 1003 წელში და ამ სობოროს ასაგებად იხმარა 1665 ბეკრი მეცადინეობა დახარჯა დიდ-მაღალი ფული. სობორო მარმარილოს ქვით იყო აშენებული. დიდებულ სობოროდგან ეხლა დარჩომილა მსოლოდ ხანგრევები. მცხეთის დამკელებული სობორო ბაგრატის სრულიად განაახლა. ბედის ტაძარი (აფხაზეთში) აგრეთვე ეპუთვნის ამ მეფეს. იუსტინიანეს ეგლე-სიახთან (მარტვილში) ბაგრატის აშენა მონასტერები, რომელიც გასადა ადგილ-სამეოფელად ეპისკოპოზის ჭერნიდიდელია. *) ქალაქების და ციხეების რიცხვი ამის დროს გამრავლდა. იმ დროინდელ ქალაქთა შორის შესანიშნავები არიან: ახალ-ციხე და ახალ-ქალაქი. საკულტო და საერთო დატერმინამ ფეხი გაიდგა. ახალ-გაზდა ქართველები სწავლის დასასრულე-ბლად მიდიოდნენ საბერძნეთში და სწავლით აღჭურვილნი ბრუნ-

*) ჭურნდიდელი იყო პირველი მინისტრი მეფისა. ჭურნდიდელი იმპერატორი იმისთვის პირთაგან, რომელიც ცნობილი იყვნენ თავის მაღალ ზნეობით, სწავლა-განათლებით. ჭურნდიდელი იყო მოთავე უცხალა მწიგნიბართა. აგრეთვე მფარველი ქვრივ-ობოლთა. იგი პირველად გადასცემდა მეფის ნებას საერთო და სახელიერო შმართველებს. იმის-დაწესების წინ იგი უძლოდა ჯარს ჯვარით, ლოცვადა მათ და მერე, ბრძოლის დროს, თითონ უკან მოექცევდა ხოლმე და ამხნევებდა მათ.

დებოდნენ თავის სამშობლოს გასანათლებლად. ამ დროს ერთ-მა უგანათლებულესმა და წმიდა პირმა—ეჭვიმებ *) გადმოღარ ქართულს ენაზე 920 წიგნი საერთ და სასულიერო ლიტერატურიდგან. ბაგრატის მეფობის დროს კე სცხოვრობდნენ ათანის მთაზედ გამოხენილნი მსწავლულნი და წმიდანნი: იოანეს ხახულები, ოქროპირად წოდებული, იოვანეს შატრიკი, შესანიშნავი მწერალი და გადმომდები ბლატონის და არისტოტელის ფილოსოფიათა და წმ. გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც დასარულა თარგმანი სასულიერო წიგნთა. პირველი სახარება ითანხმება გადმოითარებისა ამ დროს. **)

შორეულ იერუსალიმსაც გასწვდა ხელი ბაგრატისა. იქ მან ააშენა მონასტერი ქართველთათვის. ეხლა ბერძენი ხელშია ჩავარდნილი. წინეთ იქ სწავლობდნენ ახალ-გაზდა ქართველები. მონასტერს დიდი მამულები აქვთ ნაჩენები საქართველოში ჩენი მეფეებისაგან.

ბაგრატი გარდაიცვალა 1015 წ. და დაიმიარება ბედის მონასტერში.

მეფობის გიორგი II-სა.

გამეფება გიორგი I-სა.—კვირიკე იპყრობს კახეთს, ჰერეთს და შვიდ საერთოსაოდ ჰყოფს.—განზრანვა ისეთის მთავრობა და მისი სიკვდილი. — იმპერატორი გასილი II იპყრობს ზემო ქართლს.—ლიკარიც ორბელიანი შველის მეფის მცენს.—სიკვდილი გიორგისა და კვირიკეს.

თავის მამის სიკვდილის შემდეგ რომ 1015 წელს გამეფება გიორგი I, კვირიკე III, განვეკნილმა კახეთიდგან, მიიბირა ზოგიერთი გავლენიანი პირები და ამათ შემწეობით

*) ქს იყო შვილი თორნიკესი, რომელმაც შეაკეთა საბერძნეთში ათონის მონასტერი, წოდებული ივერიის მონასტერიად.

**) ქს სახარება ახლაც ინახება თ. ივანე გრგზინის სახლში.



დაიპურო, როგორც კახეთი, ისე ჭერეთი. პირველ ში დაარსეს სამი საერთოსთო: ზუსთავში, ქვეტერში და პანკისში; მეორე-ში თთხი: ხორნაბუჯში, კეჭინში, მაწეხში და სტორში, და თვითონ გამეფდა: სატახტო ქალაქად ჭმნა თელავი და ისე გაძლიერდა, რომ საშიშო შეიქმნა როგორც ქართლისათვის, ისე თსეთისათვის; თსეთის მთავარს — ორდურეს უნდოდა შეე-მცირებინა გავლენა კვირიკესი და დაქსუსტებინა ივი, რამდენა-თაც შეეძლო. ამიტომ თიანეთიდგან შემოვიდა კახეთში, მა-გრამ დამარცხებულ და სიკვდილით დასჯილ იქმნა.

გიორგის იმდენი ძაღლა არა ჭრონდა, რომ კვირიკე და ემორჩი-ლებინა, ამიტომ შექმნა დაახლოებული ზავი სპარსეთის მეფეს-თან, რომ მის შემწეობით მაინც მორჩილებაში ჭროლოდა განჯის სანი, მაგრამ ამ ზავმა უფრო მეტი უბედურება დაჭ-მართა: ბერძნების იმპერატორმა — ესილი II-მ არ მოუწონა უოვა-ჭცევა გიორგის და 7 წლის შემდეგ შემოესია ზემო ქართლს, აიგლო და აარხოს ისა და დამარცხა გიორგი სო-ფელ მარივთან და ზემო ქართლ ში აიღო 14 წის. იმპერა-ტორს შეელოდა უძლიერესი კრის-თავი ქართლისა — ლიპარი-ტი. გიორგი იმპერატორს შეურიგდა. კასილიმ დაინარჩუნა და-ბატებული ადგილები და მძევლად წაიყვანა შვილი გიორგისა — ბაგრატი, რომელიც, პირობისამებრ, სამი წლის შემდეგ უნდა გაეწიავის უფლებინა გასილ. ბაგრატი რომ დაბრუნდა, გიორგიმ იცოცხლა კიდევ ორი წელიწადი და შემდეგ მოკვდა; ამის სიკვდილის წლის თავზე, მოკვდა კახეთის მეფე — გვირიკე, რომელიც 1027 წელს მოჰქმდა მისმა მონაშ — ისმა.

გიორგის მეფისა არათრით არ არის შესანიშნავი ბრძო-ლის გარდა. მრთელი მისი მეფეობის დრო საღწმა ბრძოლაში გარდა.

მ ე ფ ო ბ ა ბ ა გ დ ა ტ IV.-ს ა.

განკუთხებულება საბერძნეთს და საქართველოს შეა.—ჰოლიტიკა ბანიის ეპისკოპოსისა და მისი მომზრებისა,—შერიგება ქართველებისა და ბერძნებისა,—ბაგრატი ირთავს ელენეს.—ქუთაისის სობოროს შენობის დასრულება.—გამარჯვება ქართველებისა დავინის ემირ ფადლონზე.—თბილისის განთავისუფლების სურვილი.—ომები კახელებთან.—ლიპარიტი ორბელიანის გაძლიერება და მისი ომები მეფესთან ბერძნების შემწეობით.—სიკვდილი ლიპარიტისა.

კოსტანტინე IV-მ გამეფებისაკე უმაღ დაარღვია მეგობრული განწყობილება საქართველოსთან. კასილისაგან განთავისუფლებული ნორჩი ბაგრატი რომ საქართველოში მოდიოდა, კოსტანტინემ გამოადევნა თავისი ქაცება, რომ შეეჭრათ ბაგრატი და უკანებე, კოსტანტინოპოლიში წაეყვანათ. მაგრამ წადილი კერალუსულდა, თუმცა მის უთვა-ქცევამ თრივ სახელმწიფოთ შეა ჩამოაგდო განხეთქილება.

1028 წელში განე გარანიძე და ბანიის ეპისკოპოსი—იოანნე, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ ტაოს-კარში, განუდგნენ ბაგრატს და თავის ციხე-ქალაქები დაუთმეს კოსტანტინეს, რომელმაც გამოგზავნა ჭარები თავის ხაზინადრის წინამდებრობით. ამან ჭარების გარდა ისმართა რქონ და ამ ურის იარაღით დაიმორჩილა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და მერე მოადგა ციხე კიდე-კარს, რომელშიაც ზოგიერთი აზნაურებით იყო გამაგრებული ლიპარიტ თანამდებინი—ქართველი ჭარების უფროსი. მაგრამ ბერძნებმა, რომ აიკლეს ამ აზნაურების მამულები, შეშინდნენ ისინი და მტრის მსარეს გადგინენ. ამასთანა გაჭირებულ დროს ბერძნების წინააღმდეგ ამ-



ხედოდა ტბეთის ეპისკოპოსი საბა, ოთმელმაც გააძირა
ეპისკოპოსი და ციხეები თავის ეპარქიისა და მარდათ წინ დაუხვდა
მოწებს და იმდენი ეცადა, ოთმ მტრებმა უეხი კერ შემოსდგეს
ამ ქვეყანაში. ამისმა მაგალითმა გაამხნევა არტანუჯის ერისთა-
ვი—იოანეს აბუსერი, ოთმელმაც შეკრიბა თავისი ჭარები და
მტერი დაამარცხა.

ქართველთა სასახარულოდ იმავე წელიწადს (1028)
მოკვდა კასტანტინე და გამეფდა ოთმანთზ აგრიში, ოთმელ-
მაც გაიწვია თავისი ჭარები საქართველოდგან.

ამ გვარი პოლიტიკა იმპერიატორისა მაღიან მოეწონა
ბაგრატის; მაშინათვე მეგობრობის გამოსაცხადებლად გაუგზავ-
ნა ქათალიკოზი—მელქისედექი, ოთმელიც დიდის სიეკარულით
მიიღო იმპერიატორმა და სახუჭოებით გამოისტუმრა. სამა წლის
შემდეგ კასტანტინოპოლიდან გაემგზავრა აგრეთვე დედა ბაგრა-
ტისა—მარიამი, ოთმელმაც გამოუცხადა ოთმანთზს ერთგუ-
ლება შვილისა და ქართველთ ხალხთა და სოხოვა მას, ოთმ
კუროპალატისა ებობა ბაგრატისათვის, აგრეთვე მიეთხოვა
მისთვის თვისი ხათესავი—ელენე (კასილი აგრიშის შვილი).
იმპერიატორმა აღუსრულა წადილი მარიამს. ელენეს მზითვად
მრავალ განძეულთა შორის მისცა ერთი ღურსმანი ქრისტეს
კვრისა და ხატი თქონის ღვთის მშობლისა. ამ გვარიდ ჩამო-
გარდა მეგობრობა საქართველო-საბერძნეთ შეა.

ელენე მოვიდა ქუთაისში, სადაც მოხდა ქარწილი 14
წლის ბაგრატისა. ახალ-გაზდა მეფემ დაასრულა შენება ქუთაი-
სის სობორისა და გარდაიცვალა უძეოდ.

1036 წ. დაღ-ძაღი ჭარებით დვინის ემირი—ფადღონი
(აბულ-სეკერი) შეესია აღმოსავლეთ ნაწილს სომხეთისას, ოთ-
მელის მეფემ დავითმა სოხოვა შემწეობა ბაგრატის. ბაგრატმა ლი-



შპრიტ ლობელიანის და ითანენე აბაზაძის წინა-მდგრადობით მისა-
შეეღა 4,000 კაცი. ამათ შეუერთდნენ აგრეთვე: კახეთის მეფე—
გაგიგი (შვილი კვირიკე III-ს), დასავლეთ სომხეთის მეფე—
ითანენე და თბილისის ემირი—ჭავარი. მინამ ეს ჭარები უშ-
გელიდნენ, ფადლონმა უშეტესი ნაწილი სომხეთისა აიკლო,
მაგრამ შემწეობა რომ მოვიდა საქართველოდგან, ფადლონი
სრულიად დამსრუხდა, დასტოვა დიდი აღათი, გაიჭა და მა-
ლე მოკვდა.

ამ გამარჯვებამ მეტად გაამხნევა დაბარიტ ლობელიანი და
ი. აბაზაძე. ამათი ფიქრით ეს დორ ძალიან მარჯვე დორ იუთ
თბილისის განთავისუფლებისათვის და მის ემირის ჭავარის და-
მარტებისათვის. ესენი დაეცნენ მის სამფლობელოს დასავლე-
თის მხრით და კადეც აიღეს ბირთვის. ბაგრატის არ მოეწონა
მათი ამ კვართ მოქმედება და არა თუ მისცა ნება სხვა ადგი-
ლებიც აედოთ, არამედ უბრძანა, რომ ბირთვისი დაებორუნებინათ
ჭავარისათვის. დაბარიტი თავისას არ იშლიდა და იძდები ეცადა,
რომ მეფე დაიყოლდა და დაითანხმა, რომ ამას (მეფეს) თითონეე
ეწინამდღოლა ჭარისათვის მტრებზე დასაცემათ და საქართვე-
ლოს განსათავისუფლებლად. 1038 წ. შესივნენ ემირს: და-
სავლეთის მხრით იმერეთის და ქართველების ჭარები, აღმო-
სავლეთის მხრით ჭახელებისა. რომა წელიწადმა განკლო, მა-
გრამ თბილისი კერ აიღეს; მცხოვრებლები, უოვლის მხრით
და კერილები, მაღარან შევიწროვდნენ. ამასობაში ქართლელებმა
და იმერლებმა აიღეს რომ სიმაგრე: ლობისი და ფარცხისი. ჩა-
მოვარდა დადი შიმშილი დამწევდეულ სალხში, რომელმაც
ბოლოს განზრას დამორჩილებოდა ბაგრატის. ემირმა ჭავა-
რიმა დამე ტივით გამარვა მოანდომა. საქმე რომ ამ ნაირად
ბოლოვდებოდა, დაბარიტის მტრებმა მეფეზე ისეთი გავლენა



იქონიეს, ორმ იგი იმუღებული იქმნა დაეტოვა ჭაფარი თბილისში ემართდ დ ჭარები უკან დაებრუნებინა.

ამ გვარმა მეფის მოქმედებამ ააღელგა ლიპარიტი დ აგრეთვე კახეთის ჭარი, ოომელიც თბილისში მღელოდა დიდს დავდას. ამისთვის მეფე განრისხდა კახელებზე, შევიდა კახეთში დ მთის უკლ-გაბრიელის ახლოს შეება კახეთის ჭარს, სრულიად დამარცხა იგი, დაატყვევა უკეთესი მათი მხედრება — ერისთვები: ბანგისისა — სტეფანიზი, ხორნაბუჯისა — კაჩე, სტორისა — რაჭე დ სხვანი. მერე შევიდა თანეთში, დასწევა მშენებელი ბოჭორმის სასახლე, კვირიკე III-საგან აშენებული, დ დაბრუნდა ქართლში.

იმ დროს, როდესაც ბაგრატი არსებდა კახეთს, ლიპარიტი ემზადებოდა მეფესთან საბრძოლვებულად. ლიპარიტმა საბერ-მნეთიდგანაც ჭარები მოიშველა. მაგრამ რამწამს გაუგო განზრასკა მეფემ, მაშინკე შევიდა ჭავახეთში დ გაამაგრა ახალ-ქალაქი. ლიპარიტი კი დაუცა ატენს, ოომელისაც იცავდნენ თმოგვის ერისთავები — ივარსმანი დ თუხარისისა — ბეჭედ ჭაუელი. 1041 წ. ბერმნების ჭარები უკანკე დაბრუნდნენ, მეფე შეურიგდა ლიპარიტს დ მისცა ქართლის ერისთაობა. 1042 წ. ჭაფარი მოკვდა დ ბაგრატი უთავო ქალაქმა მოიწვია. ამ დროს მეფე ანაკოპიას გარს შემორტყმოდა თავის ჭარებით, ორმ გაენ-თავისუფლებინა იგი ბერმნებისაგან. ბაგრატმა იქ თავის ჭარები ჭავანას ხელ-ქვეთ დასტოვა და თვითონ წამოვიდა თბილი-ში, სადაც დიდის ამბით მიეგება მას სალხი, გარდა ერთი ნაწილი ქალაქისა — ისნისა. ისნელებმა დასწევს სიდი დ არ ემორჩილებოდნენ ბაგრატს, მაგრამ მალე ესენიც დამორჩილდნენ.

1045 წ. ლიპარიტი კადევ შეება მეფეს. ამ წელს ბერ-



მნებმა განიხრახეს დაეკავათ ერთი ნაწილი სომხეთის ხამეფონ-
სი, ამიტომ გაიწვიეს გოსტანტინოპოლის შეიღია აშოტისა—
გაგიგა II და იქნე დაანათებულეს; სომხეთისათვის კი თვისი სა-
კუთარი მმართველი უნდა გამოეგზავნათ, მაგრამ მინამ ისინი
გამოგზავნიდნენ, სომხები გაიყვნენ სამ ნაწილად: ერთს უნ-
დოდა მეფედ დავითი, მეორეს აბელსევერი, მესამეს საქართვე-
ლის მეფე—ბაგრატ IV. რამწამს ბაგრატის მოუკიდნენ მოცი-
ქულები სომხეთიდან, იმ წამსკე გაგზავნა ჭარები არტანუჯის
ერისთავის—აბელსერის წინამძღოლობით სომხეთში, რომ აე-
ღოთ სატახტო ქ. ანი, რომელიც მართლა მსწორაფელად აიღეს.
ანში მოვიდა დედა ბაგრატისა—მარიამი.. ეს რომ გაიგო კო-
სტანტინე მონიამახმა, გამოუგზავნა ლიპარიტის დიმიტრის
წინამძღოლობით ჭარები და უბრძანა წაერთვა ბაგრატისათვის
არა თუ ანი, არამედ მოვდი სამეფოც და გაემეფა დიმიტრი.

ლიპარიტი დაეცა ქ. ანს: მოტიუებით გამოიწვია მოსა-
ლაპარაკებდად ანის მცენები: აბელსერი, იოანე როდიონი
და გურამ გოდერძიანი და დატევევა ისინი; მერე ქალაქიც აი-
ღოთ. ამ დროს ბაგრატი იყო თბილისში; სახეაროდ წავიდა
ჭავახეთში, სადაც მესხეთში ჭერ შემწეობას დაჭპირდნენ, მე-
რე უმტკუნეს და ლიპარიტის მხარეს გადავიდნენ. ამათ შეუ-
ერთდნენ ჭახელებიც. აქ შეტაქება არ მომხდარა. გავიდა ზა-
ფეული, შემოდგომა და ზამთრობისას მეფე დაბრუნდა ქა-
თლში.

1046 წ. მეფეს მოეშველნენ 4,000 გაღაგნი (გარდაგე-
ბი). ბაგრატმა გაამაგრა ბამი და წავიდა ჭარებით სასირეთში,
სადაც ბაგრატი მტრებისგან დამარცხებულ იქმნა. ამ ბრძოლაში
მოჭედეს დიმიტრიც.

ამ დამარცხების შემდეგ მეფეს ორი გზადა დარჩა: ან უნდა

შერიგებოდა ლიპარიტის, ან გაჭრეულიყო ქართლიდგან. მეზემ
შირველი არჩია. სოფლებში დასტოკა თავისი ჯარები და თა-
თონ მცირე ამაღით წავიდა ლიპარიტის სანახავად. მაგრამ
ლიპარიტის სინიდისმა ნება არ მისცა, რომ შეხვედროდა ბაგ-
რატის, ამიტომ დაიმაღა და არ ისახულა მეზე, რომელიც შე-
აიგებაზე იმედ დაკარგული დაბრუნდა იმერეთში.

ამასთავაში კალმახის ერთსთავმა — სულამ და არტანუჯისა —
გრიგოლმა და ზოგიერთ მესსეთის აზნაურებმა შეაგროვეს ჯა-
რები და მოიწვიეს ბაგრატი. მცხეთიდგან ბაგრატი დაუუღვნე-
ბლივ მოვადა და შეუერთდა მათ არვის-ციხეში. ლიპარიტი
მეისევ კახელებით, ბერძნებით და სომხებით დაეცა არვის-ციხეს
და აიღო. ბაგრატი გაიქცა ჭუთასმში. სულა და გრიგოლი და-
ატევებეს და საშინლად განაწილეს საშერთობილები.

ლიპარიტი ამის შემდეგ შემოვიდა ქართლში და თავი-
სუფლად ქმართავდა მას.

იმავე 1046 წ. ლიპარიტი კორმოდა დვინის ემირს, მე-
რე ერთი წლის შემდეგ იმპერატორმა გაამსედრა იამალების
წინააღმდეგ, რომელიც მცირე აზიას შემოესივნენ, მაგრამ
დამარცხებულ და ტევედ წაუკანილ იქმნა.

ამ დროს ბაგრატი თავად-აზნაურობამ და ლიპარიტის-
შვილებმა — იანნებმ და ნინიამ მოიწვიეს და გადასცეს მას უკა-
ნა ქალაქები და ციხეები, აგრეთვე თბილისიც.

მაგრამ ლიპარიტი მაღვე პატივებულ იქმნა და პირ-და-
შირ კოსტანტინეპოლიში წავიდა, საიდგანაც კაი ძალი ჯარით
წამოვიდა საჭართველოში. ბაგრატი შეშინდა და უგანვე, ჭუ-
თასმი დაბრუნდა, — ლიპარიტი კი ქართლში შეკიდა.

ბოლოს, ბაგრატი რომ თავისით გურას გახდა, თვითონ
თავის დედით — მარიამით წავიდნენ საბერძნეთში და სოხოვეს

კოსტანტინე მონომახის, ორმ შემწეობა არ მიეცა დიპარტი-
 სათვის. კოსტანტინემ ჰატივით მიიღო იგინი, მაგრამ სამი
 წლის განმავალობამდე შეინახა თავისთან და მერე დიდ-ძალის
 განძეულით და საჭურველით გამოისტუმრა. იმერლები დიდის
 სისარულით მიეკებნენ მეფეს. მის დაბრუნებამ გაახარა საფხო
 აგრეთვე ქროლშიაც და უკალგან თვისი ცუდი ხასიათის
 გამო დაბარატი უკეთ მომულებული იყო. სულა—გადმასელმა
 და სხვა მესხეთის დიდ-კაცობამ დაატუკევას დიპარტია
 და შვილი მისი ითანენ და ბაგრატის მიმდევარეს. საფხო
 უნდოდა მათი ჯვარცმა, მაგრამ მეფემ აპატივა ლიპარიტის და
 ხელასლად დაუმტკიცა უკალა მისი საჭურარი მამულები და
 არგვეთი. ამაუმა დაბარიტმა აქ კედარ მოისცენა სირცხვილისაგან,
 წავიდა კოსტანტინოპოლიში და იქ გარდაიცვალა.

შემოსევა არმასლანისა.

ლიპარიტ ლობელიანის სიკვდილის შემდეგ (1059 წ.)
 ბაგრატმა თითქმის უკალა ციხეები გახეთისა და ქერქეთისა აიღო.
 ამის დროს მოავალნი დანგრეულნი შენობანი განახლდნენ
 და აშენდნენ ახალნიც. წარმატების სელ-შემწეობა იუკნენ ქა-
 თალიერსი მეღქისედექი და დიდი მასწავლებელი წმიდა გი-
 ლოგი მთაწმინდელი.

სამწერალოდ, ბოლოს დროს ბაგრატის ნამოქმედარეს და
 ნაღვაწევს სამარე გაუთხარა არმ-ასლანმა, ორმეტმაც 1063 წ.
 დაიმორჩილა თურქესტანა, ხოვარეზმი და 1064 წ. შემოე-



სა საქართველოს და სომხეთს. სულთანს უნდოდა და ემზღვოდა მოქსპირისტიანობა ამ გვეუწიბში.

არც-ასლანმა აამხედრა სპარსები, ოსმალები და შემოვიდა აფხაზიაში; აქ გაანადგურა ქრისტიანობა, მერე გაუგზავნა მოციქულები კვირიებს და სოხოვა ცოლად ასული: კვირიები შიშის-გამო დაუბულდა და ქალაქ ლორში წარუდგინა მტერს ქალი და ამით იხსნა თვისი პატარა სამეფო კაოსშებისაგან. აქედან არც-ასლანი წამოვიდა თრიალეთზე. ბაგრატი ამ დროს სცხოველებდა სეკრეტულში (ტაოსში) და არ იცოდა თუ რა მოქლოდა. ამიტომ მტრებმა მოკლე დროში დაიმორჩილეს და გაანადგურეს შავშეთი, კლარჯეთი და ტაო, კიდოე ფანასტერ-ტამდე; აგრეთვე იორი და ღვევი. მერე დაბრუნდნენ თრიალეთში,— სამი დღის შემდეგ შეკიდნენ ჭავახეთში და შემოერტყნენ სალ-ქალაქს, რომელიც იურ მდიდარი, მრავალ-ხალხიანი ქალაქი და ჭერნდა მაგარი ციხეები. ციხე აიღეს; გარდა მოხუც ქალთა და უმაწვალთა, რომელიც ტემეთ წაიგუანეს, გველა დახოცეს; ქალაქი დაანგრიეს და დამარცხეს. აქედგან მდინარე ხრამის ხეობით გაიარეს სამშვიდე და შემოერტყნენ ციხე—ლალს, რომელიც მოშენებულ იურ თო მაღალ მთაზე და ორივე მხრით ჩაუდიოდენ ჩქარი მდინარეები. თუმცა ასეთი მაგარი ადგილი ეკავა ამ ციხეს, მაგრამ მაინც მტრებმა აიღეს და დაანგრიეს. აქედგან წაკიდნენ ქალაქი ანის ასაღებად; უარსის და ანის აღების შემდეგ დაბრუნდნენ სპარსეთში; მეფე ბაგრატმა დაიწყო თავის ხალხის დამშვიდება და შენება იმ ადგილებისა, რომელიც გაანადგურეს მტრებმა. 1086 წ. ბაგრატი გამხედრდა ქახეთის მეფის—აგსარტანის წინააღმდეგ, რომელიც ხსენებულ უბედურობის დროს გამოვიდა ბაგრატის მორჩილებიდგან. მეფე ბაგრატს მიემხრნენ კულა



გამოჩენილი გვარები ჰქონისა, გარდა აგსარტანისა. სამწუნა-
რთდ, დამორჩილებას მთელის გახეთისას დაუშალა არპ-ასლა-
ნის ხელ-მეორედ შემოსევამ გახეთში. შემინებული ბაგრატი
დაბრუნდა ქართლში, ხალხი კი შიშის-გამო შეიხიზნა მთებ-
ში.

ამ ქვეყანაში ორმ შემოვიდა განძვინებული მტერი, მას
დახვდა აჭ მხოლოდ აგსარტანი, ორმედმაც წარუდინა ასლანის
საჩუქრები და ნიშნად მორჩილებისა მაჭმალიანობა მიიღო. არპ-
ასლანი ამით დაქმაუთვილდა და აგსარტანი თან გაიყოლა.
გახეთიდგან მოვადებული მტკვრამდე დასწეა-დანგრია უკელა-
ფერი, რაც წინ შეხვდა. მტკვრის პირზედ დახვდენ მას
თბილისის თათკები, ორმედთაც გადიუგანეს მეორე კიდეზე.
ურაცხევი თვისია ჯარი არპ-ასლანის რამდენიმე დასად გაჭეო:
ეს დასები ქართლის უკელა მხრისებრ გაგზანა, რომ ერთასშიდ
გაენადგურებინათ ეს ქვეყანა. ჩვენი ხალხი ტუ-ლორეში დაიმა-
ლდა. მეფე ბაგრატი კერც ერთგან კერ შექა მტერს, რადგან
იურ დარწმუნებული, ორმ კერას გაიტანდა. არპ-ასლანი უში-
შრად იწერდა წინ; მთელი ქართლი სრულიად მოახსრა და
გადვიდა იმერეთში, ორმედიც ციხე სკერამდე ქართლივით
მოახსრა და მერე ზამთრის დროს დაბრუნდა ქართლში. ეს
ქვეყანა ადამიანის სისხლით მორწეა ამ მხეცმა, მრავალი ხალხი
ტუკი ჰქონ, მერე ითხოვა ბაგრატისაგან ხარებ და მშენდობი-
ანობის ჩამოგდებას დაჭვირდა. მაგრამ სასტივმა უინკებმა ადარ
მოაცდევინეს პასუხის მიღებამდე: იგი დაბრუნდა სპარსეთში,
თბილისი კი გადასცა განვიას კმინს, ორმედსაც უბრძანა,
რომ მუდამ შიში არ მოაჭროს საქართველოს.

ესეთი იურ მეორედ შემოსევა არპ-ასლანისა. ხალხი და-
შინებული და თავ-ზარ დაცემული იურ. ამ შემოსევის უბ-

დურებას დაქმატა კადეკ სხვა უბედურებაცა: მომავალ გაზა-
ფებულზე საქართველო მოტკლისა დიდმა ნიაღვარმა.

არა-ასლანი 1068 წ. შეება საბერძნეთის იმპერიალიტეს — რომანოზეს და 1071 წ. სრულიად დამარცხეს და ტუკე ჰუ-
იგი. შემცრა ამათთან თავისთვის სასარგებლო ზავი, მერე წა-
ვიდა სირის დასაპურობლად.

ამ დროს განვის ემირი შემოესა ქართლს, მაგრამ ბაგ-
რატიმა თვით დაიკავა დიდ-გორი და ითანხმეს (ლიპარიტ რობერტი-
ნის შვილი), ნინია ქობულიძის და მურგან ჭაველის წინამდღო-
ლობით გაგზავნა ჭარები (35,000 კაცი) მორის წინააღმდეგი
მუხრანში და წილავნში. მორი მაშინვე გაიქცა დართის-კარ-
სკენ. ქართველებმა შეუტიეს და ნახევარზე მეტა დახოცეს.
ემირი ნარჩომ 15,000 კაცით გაიქცა ზევითკენ, არაგვის ხე-
ვის გაუთლებაზე და შეკიდა ერთოში და იქიდგან თბილისში დაბ-
რუნება უნდოდა, მაგრამ ბაგრატის თხოვნით კახელებმა დაიჭი-
რეს და წარუდგინეს მეფეს, რომელმც ამის შემდეგ მალე
ადლო თბილისი და გადასცა სათლარს — დმანისის მმართველს,
თვითონ კი დაინარჩუნა ციხეები: ოუისთავი, ფარცხისი, აგა-
რანი, გრიგოლ-წმინდა და გავაზნი. აგრეთვე გადაახდევინა
44,000 დრაქება და მძევლად გამოართვა რამდენიმე განვის
გამოჩენილი გვარის შვილები.

1072 წ. არა-ასლანი მესამედ დაიმრა საქართველოსკენ,
რადგან ბაგრატიმა უარი უთხოა სარგის მიცემაზე, მაგრამ ამა-
ვე დროს ის უნდა წასულიყო თურქესტანში, სადაც სალხი
აჭანებდა. მაშინ დიდ-მალი ჭარი მაღაქ-შაჰის წინამდღობობით
გამოგზავნა საქართველოში, თითონ კი თურქესტანში მიმავალი
მოკედა, რისგამო მაღაქ-შაჰი შეა გზიდგან დაბრუნდა სპარსეთში.

ამავე დროს მეფე ბაგრატიმა მოიარა თვისი სამეფო, აკად

გახდა დ 45 წლის მეფობის შემდეგ 1072 წელს გარდაცვალა დ გამეფდა შვილი მისი გორგი.

მეფობა გორგი II-სა.

გორგის აღუდგნენ ერისთავები.—დამშვიდება მათი.—ითანენ თობელიანი და მისი შვილი ლიპარიტი.—დამორჩილება სტკადა. სტკადა ადგილებისა და გაძლიერება მეფისა.—თურქები ციხე უკელიან ამარცებენ გორგის.—დანგრევა ქუთაისისა და დამორჩილება თბილისისა.—სამწუხარო მდგომარეობა საქართველოსი.—გადაუენება გორგისა და გამეფება დავით მერისა—აღმაშენებლად წოდებულისა.

ნასეკარი წელიწადიც არ გასულიყო გორგის გამეფების შემდეგ, რომ ითანენ თობელიანი თავის შვილით—ლიპარიტით, ნინია ქობულიძე და სკანეთის ერისთავი გარდანი აღუდგნენ. გორგიმ დაუთმო ითანენს ციხე სამშვილდე, მის შვილს—ლიპარიტს ლორწობანი, ნინის თმოგვი, გარდანს ას-გალანი დ ამ ნაირად დამშვიდა იგინი, თუმცა ეს მშვიდობიანობა კიდევ მაღე დაირღვა ითანენსაგან. მაშინ გაჯავრებულმა გორგიმ მოიწვია აგსარტანიც დ შემოერტყა სამშვილდეს, რომელიც მაღე აიღო; ითანენ ჭერ გაიქცა სომხეთის მთებში, მერე შეჭირა მეფეს ერთგულებაზე დ მიიღო უკკე და-გარგული სამშვილდე დ გიღე-გარი. თუმცა ამის შემდეგ ით-ანენ გადევ მაღე უღალატა მეფეს, მაგრამ მოძულებულმა ხალხისაგან დ მეფისაგან გერაფერი გერ გააწეო დ იძულებულ აქმნა—შვილით გაქცეულიყო მეღიწ-შაჲთან; აქედგანაც მაღე

უკანვე გამოიქცა, რასგამო თურქები დაწიგნენ და ცოლ-შვილიანად ტუკეთ წაიყვანეს.

გიორგიმ შინაობაში მშვიდობიანობა რომ ჩამოავდო, გამხედრდა დასავლეთისკენ და აიღო ანაკოპია, მრავალი ციხეები კლარჯეთში, შავშეთში, ჭავახეთში და არტანუჯში; გარდა ამისა ქალაქ ანის უაფიად მმართველს გრიგოლ ბაკურიანის შემწეობით აიღო უასია, ვანანდი, აზიარ-ფორი, გარნიოფორი, და უკელა ამ ქალაქებიდან თურქები განდევნა.

დიდხანს არ გაგრძელდა გიორგის ბედნიერება. მოკლე დორში მეტად გამდიერდნენ თურქები (ასმალები) სამხრეთ-დასავლეთ მხრისკენ საქართველოისა. ესენი ხშირ-ხშირად ეცემოდნენ საქართველოს. ამის-გამო გიორგი ამხედრდა მათზე, მაგრამ ციხე-უკელთან სრულდად დამარცხებულ იქმნა. აქ მტრებს დარჩათ ალაზი: სტოლის მოწყობილობა აქრო-კერცხსლისა, მრავალი ძვირ-ფასი ბადიანი და სხვა ნივთები. გიორგი აქარიდგან იმერეთში გამოიქცა. თურქებმა კი, გაგვირკებულებმა ამ გვარ მეფის სიმდიდრით, ითვაჭრეს რომ საქართველო უნდა იყოს სიმდიდრის საუნჯეო, დროებით შეამცირეს ომები მცირე აზიაში და 1080 წ. ინისის თვეში შემოვადნენ ჩემ. შეკეთანაში. მეფე გიორგი გაიქცა აფხაზეთში. თურქებმა დაანგრიეს არტანუჯი, ააოხრეს კლარჯეთი, ტაო, აიღეს ქუთაისი და დაანგრიეს; დაიმორჩილეს თბილისი და მტკვრის კალებზე დაასახლეს დადა დასტები თათრებისა, სპარსელებისა და თურქებისა; ესენი მუდამ ეცემოდნენ სოფლებს და არბეგდნენ. ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა საქართველო, რომ აღალსად მშვიდობიანობა არ მოიპოვებოდა. მრავალი სალხი დაიხოცა. სარჩომი სრულდად გაცირცული იყვნენ, სახლ-კა-



თა დანგრეული ჭრილდათ. თურქები რომ მაწია პირზე კერა-
ფერს პოულობდნენ, სამარებს სთხოდნენ და სიძღვადორეს
ეძებდნენ.

ამისთანა საშინელ მდგომარეობაში რომ იყვნენ, მეფე
გიორგი სალხის თხოვნისამებრ წაგიდა მელიქ-მაჭთან შეწევნის
და ხსნის სათხოვნელად. მელიქ-მაჭმა შეიწენარა მისი თხოვნა:
გამოიხსნა ჩვენი მამული სრულ გათხრებისაგან, მისცა გიორ-
გის კახეთიც და ტერეთიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ მას
უოკელ წელიწადს უნდა ეძლია დადგენილი ხარგი. მაგრამ გიორგიმ
კახეთი და ტერეთი სელ-ახლად დაუბრუნა აგსარტანს, რომელიც
წეალობის სათხოვნელად მივიდა მელიქ-მაჭთან.

უკელა ამ უძედურებათა დაერთვნენ კადეკ სხვა-და-სხვა
საშინელი მოვლენანი ბუნებისა. სალხი ამას ღვთის რასხვად
სთვლილა, იმის გამო, რომ ამ ღრუს ბევრი სტოკებდენ
ღვთის სჯულს და მაჭმადიანდებოდნენ. ღდღგომის ღღეს იუთ
ისეთი ძლიერი მაწის-ძვრა, რომ თვით მალალა მოკიდი, მაგა-
რი კლდეები იქცეოდნენ; მრავალი ქალაქები, ციხეები, სახლე-
ბი დაინგრინენ და გასხდნენ საფლაკად თავის ჰატრონებისა.

12 წელს ასეთი ტანჯვა გამოიარა ჩვენმა მამულმა.
უსახლ-გაროდ დარჩომილი ჩვენი სალხი სრულიად გაირუპნა
და ავაზავთას მიწერ სელი. თვით მეფე გიორგი კერას ჭრებ-
ლოდა სალხი, რასგამო მაშინდელ მსწავლულ და განათლებულ
პირების თხოვნისამებრ გიორგიმ ტახტი დაუზომო თავის შვალს
— დავით მეორეს (1089 წ.).

მ ე ფ თ ბ ა დ ა კ ი თ II-სა.

I.

მდგომარეობა საქართველოს დაცითის გამეფების ხანებში.—
 ზრუნვა დავითისა სამეფოს აღსადგენად.—სასულიერო პირთა
 კრება ზნეობის აღსადგენად.—ლიპიარიტ ორბელიანი და და-
 ბოლოვება მისი შეფოთიანი ცხოვრებისა.—სიკვდილი მალექ-შავი-
 სა.—დაწყობა დევაროსნობის ომისა.—ჰეტრე უდაბნელი და პა-
 პა ურბანი მეორე.—პოლიტიკა სომხებისა და ბერძნებისა.—

დავითმა მეფითბა მიიღო მაშინ, როდა სალხის ზნეობი-
 თი მხარე დაცემული იქთ, საზოგადო მშეიდობისთბა შერუ-
 ელი და საქართველო როგორც სამეფო დამხობილი. თბილი-
 სი და მისი მიდამთხი (აკადიდგან მოკიდებული, ვიდრე მდ-
 ხრამის შესართავამდე და აკედგან ციხე სამშევლდემდე) ეჭი-
 რათ რამალებს. ესენი ზამთრობით ჩადიოდნენ აღაზნის შე-
 სართავამდე და განვამდე და ხალხს ძრიელ აწეალებდნენ.

კახეთი ამ დროს გაცალკევებული იქთ და მას ქმართავდა
 საკუთარი მეფე-გვარიკე, რომელიც მაღე მოკედა და გამეფდა
 მისი მმისწული—აგსარტანი; მტრის აკლების შიშით ხალხი
 გახიზნელ იქთ ტუკ ღრეში და საქართველო დაცარიელებული
 იქთ. გამეფდა თუ არა დავითი, მიაქცია უურადღება სამეფოს
 სამწუხარო მდგომარეობას. პირველად მან ტუკ-ღრიდგან გა-
 მოიწვია შეშინებული ხალხი და ხელ-მეროვდ დასასლა გაოხრე-
 ბულ ადგილებზე. რომ მტრებს არ ეკნო მის სამეფოსთვის,
 ფერ-ფერობით ამდინა მათ ხარეთ. ზნეობის აღსადგენა მეფემ
 მოიწვია კრება ქათალიკოზის იღანეს თავს. მფდომარეობით. ეს



კრება შესდგა ეპისკოპოზებისაგან დ მრავალ განათლებულ
პირთაგან. აქეთ იუგნენი: გიორგი ჭერიძიდელი დ ასენია,
იყალთოს ეპისკოპოსი, დიდად განათლებული პირი დ მა-
ძღვარი დავითისა; კრებამ დაადგინა, რომ ძლიერთ დ გავლე-
ნიანთ ბრალდებულთ წაერთვათ თანამდებობა დ ზენობით შე-
ჩენებას მიეცნენ. მათი ადგილები დაეთმოს უბეთეს პარებს.
ღიაპარიტ არბელიანმა, რა სახა, რომ მას შეჩერებდნენ, და-
იწერ ხალხის აღელგება. მაგრამ მას სტაცეს ხელი დ საპერო-
ბილეში ჩასვეს. რამდენიმე სხის შემდეგ იმან მოიხანია ცო-
ლები დ მეფეს ერთგულობა შექვიცა, რასეამო მეფემ აპატი-
კა დანაშაულობა დ დაუბრუნა მას მამულ-დედული. რამწამს ღი-
აპარიტი დაბრუნდა თავის მამულში, ფიცი დაივიწეა დ კადებ
სალხის აჯანება მოინდომა. იგი სელ-მეორედ შეპერობილ
იქმნა და, ორი წლის საპერობილეში დაწევდევის შემდეგ,
გაგზავნეს საპერმნეთში დ მისი ქონება კი ასწერეს ეპლესის
სასარგებლოდ.

1092 წელში მოკვდა მალექ-მაჭა დ მისი სახელწიფო
გაიფა რამდენიმე ნაწილად. სამი წლის შემდეგ (1095 წ.)
დაიწერ კვართოსნობის ომი წმ. ადგილების (სხვათა-შორის
ქრისტეს საფლაკის) მუსულმანებისგან განსათავისუფლებლად.
როგორც მალექის სიკვდილს, ისე კვართოსნობის ომს დადა
გავლენა ჰქონდა საქართველოს წარმატებაზე.

აი როგორ. მალექსტიანა, სადაც დაიბადა, აღიზარდა დ
მერე ჰქალაგებდა მაცხოვარი,—რასეამო დასტანებეს დ კვართ
აცეს იგი—დაპერობილი ჰქონდათ მუსულმანების დ დიდათ
სტანჭავდნენ ქრისტიან ხალხს. სხვათა შორის ერთმა პილი-
ლრიმმა (მლოცვამა)—შეტრე უდაბნოელმა 1095 წელში, ბეჭ-
რი წვალების შემდეგ, მიაღწია პაპა ურბან II, რომელსაც

აღმარტინ საშინელი მდგრადარება ქრისტიანებისა პალესტინაში და სიხოვა შემწეობა და განთავისუფლება იმ წმინდა აღგიღებისა ურჩულოთაგან. პაპამ გაუგონა მას და საფრანგეთის ქალაქში — კლერმონში პირველად უქადაგა ხალხს ამ საქმის შესახებ. ხალხი აღტაცებაში მოვიდა; წლის თავზე 600,000 კაცი ეკრაპიელთ ჭარი. გამსედრდა ურჩულოებზე. უოვლის შხრიდან მუსულმანები მოჟურნალიზნენ აქეთებ (მცირე აზა-აში), რათა დაიგავონ პალესტინას.

ამისთვის დროს სომხები, იმის მაგიერ, რომ იმოქმედონ ეკრაპიელებთან ერთად და იზრუნონ თავის სამეფოს აღსა-დგენად, მიემსრნენ თავის ღრუს პატრიარქეს, რომელთაც ქართული ერთმანეთში ფილოსოფიური ბაასი და შექურებდნენ მათ. ბერძნები კი უფრო ოსმალების შეეღოდნენ, კიდოე ქრისტია-ნებს...

II.

ტაძლიურება ქართველთა. — იგინი კუველიან ევროპიელთ პალეს-ტინის განთავისუფლებისათვის. — პალესტინაში წმ. სინაის მთა-ზელ დავითი აშენებს ტაძარს, აგრეთვე მრავალს ტაძრებს ჩვენს ქვეშანაში. — დავითი მოქცევს გამსაკუთრებით ყურადღებას ხალხის განათლებას და ქვეშის აშენებას.

თუმცა ეკრაპიელი იწვევდნენ მუსულმანებს პალესტინა-ში საბრძოლველად, მაგრამ ჩვენს ქვეშანაში მყოფი მუსულმა-ნები (სელჯუქები) მაინც არ ჰქონდათ მდგრადი იქ წასკლას. და-ვითა ესები დასტა-დასტა დაამარცხსა და მომეტებული ნაწილი განდევნა საქართველოდგან. სელჯუქები განძვინდნენ და საქარ-თველის დაქარგვა ითავიღეს. დიდ ძალის ჭარით წამოვიდნენ



და დავითს დაეცნენ. მაღრვანი და უშიშარი მეფე ესა დავით 1,500 კაცით მიუხტა მტრებს და ისეთ ნაირად დამარცხსა მათი ჭარი, რომ იგინი იძულებული შეიქმნენ წასულიუმენის ჩვენი ქვეუნიდამ. ქართველთ დარჩათ მათგან კათ-ბალი აღაფი.

ამის შემდეგ დავითმა მოაწერომა განხწილებული და გაუმჯობელი სამეფოს შეერთება და აღდგენა. უზნეო მეფე კახეთ-ქვერეთისა — აგსარტანი ტევე ჭერა და სამეფო მისი (1105 წ.) შემოუკრთა თავის სამეფოს. *) ამის შემდეგ დაიპყრო ქვეუნები ურთის ზღვათ შეა: გასპილის ზღვისგან დერბენდი შეადგენდა მაშინდელ დროის საქართველოს მიჯნას და ესევე (დერბენდი) იყო შესანიშნავი სიმაგრე, საცა დადგმული იყო რეინის გარები, მოსაგერებლად ხრდილოეთ გავგასის კელურებისა. აგრეთვე დამორჩილენი დავითს შირვანი, რანი და მოვაკანი. დასაგლეთის მხრით უკანასკნელი მიჯნა მაშინ იყო ტრაპიზონის მმაღები (სელესუები) დავითმა განდევნა ტაოს-გარიბა-მაც და ადგილიც თავის სამეფოს შემოუკრთა. სომხები მათი ურგულობისათვის საქართველოსადმი დასაჭა: წართვა მათ სატახტო ქალაქი ანი.

*) ამ დრომდის თავისუფალი და დამოუკიდებელი კახეთ-ქვერეთის და კუხეთის ქორი კოზები იუვნენ:

1, გრიგოლ I	787—826 წ.	6, კვირიკე I	893—918 წ.
2, გარე ქობულაძე	827—839 "	7, ფადლა II	918—929 "
3, სამეულ დონაური	839—861 "	8, კვირიკე II	929—976 "
4, გაბრი დონაური	861—881 "	9, დავით	976—1010.
5, უალდა I	881—893,		

მ ე ფ ე ნ ი:

10, კვირიკე III	დაიდი 1010—1029 წ.	13, კვირიკე IV	1084—1102 წ.
11, გაგიშვილი	1029—1058 "	14, აგსარტ. II	1102—1105 "
12, აგსარტანი I	1058—1084.		



ასეთი გამდინება დაკითხს იაფად არ ლაუჯდა: ამისთვის
იგი მრავალჯერ შექმნილია მტერს: მუხრანში 1115 წ., ტა-
ოსში 1116 წ., ყალამორში 1117 წ., არეზის პირას 1118
წ., მტერაზე 1120 წ., მანგლისში, ღიძ-გორში 1121 წ.
და სხვაგან. უოკელი კუთხე საჭართველოისა მოგვათხოვთ
დიდებას ამ მეოსისას, რომელიც უკელგან და უოკელთვის თავს
ზარს სცემდა მტრებს. თვით მისი ახორისება, ტანადობა, უკ-
ბარი ღონება და სულის დიდება ხელს-უწერდა მას. იგი სამა-
გალითო მეომარი იყო ჭარში. ჭარს მუდამ წინ უძღვდა. მან
არ იცოდა დალალკა და მისმა მკლავმა დაცდენა. ხმა მას ჰქონ-
და ლომებრივი. სპარსები და თურქები მუდამ მარცხდებოდნენ
და უტოვებდნენ მას ღიძ-მალ აღაფს, რომლითაც დაკითხა
ტამდიდრა თვისა სამეფო.

ამ ნაირის ძლიერებით წაჭიბებული ქართველი მიემკელ-
ნენ კვართისნებს და აქ მრავალ ჭერ გაიმარჯვეს. მეფემ სინაის
მითაზე ააშენა ტამარი წმ. ეპიტერინესი ქართველთა ღვთის
მსას ურთა: თვის.

ასე აღადგინა დამხობილი სამეფო. მაგრამ მარტო ამით
არ დასრულდა მისი აღდგინება. საჭართველია ამ დროს მძლავ-
რი, აღდგენილი იყო თავის ძეგლის მიზნებით და შინაურის
განწყობილებით. ამისთვის მან რამდენიმე ჭერ მოახდინა
გრებები სასულიონ პირთაგან; გამართა სკოლები ქართველთ
უზრიალი აღსაზრდელება, გამართა სასტუმრო — საკადმუროთ-
ები დაჭრილთა და სწორიათვის და ხშირად თვით ესტუ-
მრებოდა ამ ავადმეულობებს და პირად თვითონ ემსასურებოდა
მათ.

კეკლა ამას გარდა დანგრეული და დაჭრეული ციხეებით,
ტამრები და ქალაქები ზოგი ხელ-ახლა აღაშენა, ზოგი შეა-

კეთა და აღადგინა; უკელა ამას მოახმარა ბრძოლის კედები ხა-
შოვნი აღავით.

უდიდესი და უმშენერესი უკელა მისგან აგებულ ტაძარ-
თავან არის გენათის *) ტაძარი, რომელიც აღაშენა დავითმა
მსგავსად ფინუნდის ტაძარისა. გენათის მონასტერი ასლაც
გვიმოწმებს დიდებას და კეთილ-დღეობას ქართველებისას დავით
მეორის დროს. ეს ტაძარი აგებულია მსხვილის და დიდობა-
ნის ქვით, ერთი ქვა (ცხრა აღაბი სივრცით) დადებილია მას-
ზე თვით დავით აღმაშენებელისაგან. საკურთხეველში ასევენია
მოვარაუებული ხატი ღვთის-მშობლისა, ნახუჭები იმპერატო-
რის აღექსი კომენტისაგან. აქედან უშველესი ხატი ხა-
ხულის ღვთის-მშობლისა, ქმნილი წმ. ღვერსაგან და მოგმზუ-
ლი ძვირფასის ქვებით თვით მეტე დავითისაგან. დავითმა კე-
გამშენიერა ხახულის ღვთის-მშობლის ტაძარი (ჭოროხის
ტოტები.)

დავითმა მოინდომა შერიგება სომეხთა და ქართველთა
სარწმუნოების მხრით. ამიტომ კრება მოახდინა. თავსმჯდო-
მარებ კრებისა იუთ მცხეთის ჭათალივთასი იოანნე. ამ კრებამ
კერ შეარიგა ეს რაი ხალხი, რადგან სომხები მაგრა იდგნენ
თავის სჭულზე და ამის გამო უფრო მეტი განხეთქილება
ჩამოვარდა მათ შეა.

მეტე დავითი გარდაიცვალა 1125 წელს. საქართველოს
აღდგენისათვის და გაშენებისათვის ქართველი მას აღმაშენე-
ბელად უწოდებენ, და საქართველოს ეკლესია მას მოაკადი ქველ-
მოქმედებისათვის და წმინდა ცხოვრებისათვის ჭაცხაკეს წმინ-

*) გენათისა, ესე იგი ღვთის-მშობლის დაბადებითა.



დათა შორის. განისკენა ამა წმიდა მეფემ და დაქსაფლაკა განა-
თის მონასტრებში. გამეფდა შვილი მისი დიმიტრი I.

დ ი მ ი ტ ი რ ი ს ი .

(1125—1155 წ.)

ანდერძი დავითისა.—დიმიტრის ვაჟაცობა, ძლიერება და
მუკიდობიანობა ქართველთა.—ხერად უქმნება დიმიტრისი.—
გამეფება დავით მესამისა და ორთავეს სიკვდილი.

რომ მოუსლოვდა სიკვდილის ქამი მძღავრისა და ღვთივ
წებულსა მეფეს დავითს, აღიჭურება სისარულით და დასწერა
შემდეგი ანდერძი: «მივდივაზ წინაშე უკვდავისა მეფისა, რო-
მელმაც ამ სოფელსა მომანიჭა ეგეოდენი წყალობასი თვისნი,
რომელმაც მომცა შვილი დიმიტრი, უმეტეს ჩემზე აღ-
ჭრებიდა სიბრძნითა, სიმართლითა, სიმტკიცი-
თა და კაფება ცობითა. ამისთანა მეფე არს ჭილდო უფლი-
სს მართალთათვის დამთენილთა ამ სოფელიდ. ამისთანა შეიღ-
მა აღავსო გული ჩემი სისარულითა დიდითა.»

ეს ანდერძი დიმიტრიზე მართლა ზედგამოსარჩევილი იყო.
30 წლის მეფობაში მან დამტკიცა მამის იმედი და უმეტეს
მამისა გააძლიერა და დაამშვიდა საქართველო. კურ მამისაკე
სიცოცხლეში და მისიგე მინდობილებით დიმიტრიმ გაიღა შ-
ერა შირვანზე. შემნა ღმნი და ბრძოლასი, თავის გაუ-გაცობით
განაკვირვა მტერნი, აიღო ციხე უალაძერი, დაამარცხა სპარ-
სეთის თავი ჭარი და აივსო აღათებითა და ტევითა დი-
დითა. მამის სიკვდილის შემდეგ მან დაარბია განჭა-



გადასცემული თურქებისაგან შევეძანა — ტაო ხელ-ახლა დასხვადებული და ქუთ მშვიდობა. მის მეფობის განმავალობაში ქართველთა ხალხი მშვიდობასად მუშაქობდა მინაობაში და გარეშე მტრებისგან უკნებელი იყო.

30 წ. მეფობის შემდეგ იგი ბერად შედგა, მეფობა გადასცა თავის შეიღს — დაკით III-ს, რომელიც ეჭვი თვის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა. ამავე წელს გარდაიცვალა ბერი დამიტრიც.

დაკით III-ის სიკედლის შემდეგ (1156 წ.) გამჟღადა საქართველოში შეიღი დამიტრი მეფისა — მას დაკით III-სა — გიორგი.

გიორგი III, შეიღი დამიტრი I-სა.

(1156—1184 წ.)

ემერესი გაძლიერება საქართველოსი. — გაგანიერება სამხრეთის. მიზნებისა. — მესულმანების მოძრაობა. — დამარცხება სულთნებისა. და პრეუნვალე პრძლიანი ქართველთ ჯარისა. — საბერძნეთის იმპერიატორის მანულის ძმის ანდრინიკ კომნენტის დასახლება საქართველოში. — დერბენდის და სრვა აღგიღების აღება. — გარის და სრვა აღგიღების გაშენება. — სიკვდილი გორგი მესამისა.

კუართასწობის ომი პალესტინაში და პირადი ნიჭი გაიღი მეფისა მეტად ჭმელოდებულ საქართველოს. მესულმანების უურადღება მიქცევდა იყო პალესტინისადმი, რათა ცდა-ლობდნენ რომ ქრისტიანეთ არ წაერთვათ ეს აღგიღები. მეფე



გიარები კა ამით მშევნივრად სარგებლობდა. გასაძლიერებლად თვისი სამეცნიერო და ჯვართსნობის ომის გასააღვიზუებლად იგი ხშირად უტესავდა ამს ხან თურქებს, ხან სპარსელებს, და, საზოგადოდ, მუსულმან ხალხებს; და ისეთი რატობით და სპასპერური ხერხით ეპროფელი მათ, რომ სულ მუდამ ბრძოლის კელიდგან გამარჯვებული გამოდიოდა.

თვისი მოქმედებანი მან დაიწერ საქართველოს სამხრეთ მიწნაზე, არარატის ქედებანაში, საცა მაშინ სარაცინები ბატონობდნენ. აյ მან დაამარცხა მტრები, აღღო სომხეთის დედაქალაქი კაგარშეპატი დ დკინი, და უკელა არეზის ნაპირა ქვეუნები. შანშე დადიანის მოთავეობით აღდგომილი ქართველთა წინაშე ჭ. ანი დამიურჩილა დ ამით მტრებს თავზური დასცა. შანშე დადიანი სპარსეთში გაიჭრა და ისე თავი ისსნა.

რამდენადაც ქართველთ ემატებოდათ დიდება დ შატივა, იმ დენად თურქებს და სპარსელებს აკლდებოდათ გაკლენა მცირეაზდაში. ამიტომ ბევრი კედა მოითმინეს. სელფუგები, ხორასნის სულთნები შეუერთდნენ ქალიფის ქარებს და საქართველოს წინააღმდეგ ამხედრდნენ. მაგრამ გიორგიმ მათ არ აცალა. შირველად თვითონ სისწოდეთ შეუტია, დაცა მათ და ორგელ ზედიზედ გაიმარჯვა მათზე: პირკელად შირვანში, მეორედ სომხითში.

ამისთანა ბრწყინვალე მოქმედებათ წაქეზებული ქართველი სამაგალითონი და თათით საჩვენებელი გახდნენ მტრეთათვის. სამთა მეფეთ მშეიდობიანმა და სახელოვანმა მეფობაში ქრთველი სულიერად დ მატერიალურად გაამდიდრა, გააძლიერა. დიდმალმა აღაფიმა გაუკსო მეფეს ხაზინა. ეს იურ იმის მიზეზა, რომ გიორგი მეფემ ჰქმნა შესანიშნავი ისტორიაში დაშერდობა.

თავის მამაცი ჭარა მან გაჲურ რამდენიმე წერძაღლ და ერ-
თი გაგზავნა კანის დასაშურობლად, მეორე არზერუმის, მესამე
მტკვრის გადმა განჯის ქვეყნებისა, მეოთხე განჯას იქით ხოლ-
თამდის; მეხუთე ალაზნის მტკვართან შესართავიდგან შირ-
კნამდის; თვითონ კი წავიდა უფლოგანის დასაშურობლად. უკელა
ამ ჭარებმა ისე სწრაფად და მაღა აღასრულეს თავისი ვალი,
რომ გეგუთელები ამ გვარ სისწრაფით განცვითებული იყვნენ,
როცა დაინახეს ბრძოლიდგან დიდ-მაღა აღაფით დაბრუნებული
ქართველთა და შეარი.

ამის შემდეგ უკელა საქართველოს მეზობელი ხალხები
ეძებდნენ მეგობრობას ქართველებთან *). ბიძაშვილი დიდის
იმპერატორისა მანუილისა ანდრონიკ კომნენი მშვიდობიანო-
ბის მოსაპოებლად მოვიდა საქართველოში მთელის თავის ოქა-
ნითურთ. მეფე დაკითმა მაიღრ იყო, როგორც ეკადრებოდა
მეფის გვარის შვილს და აჩუქა მას მოავლი მიწები კახეთში. **)

უკანასკნელი და შექობა ქვეთნდა გიორგის ანდრონიკის
ხამოსკლის შემდეგ წინააღმდეგ დერბენდის და სხვა მთიულე-
ბისა, რომელიც ყაჩაღურად ეცემოდნენ ქართველთ ქვეუნებს.
უკელა ეს ხალხები მეფემ დამარცხა, დაიმორჩილა, აღასრა
მუსკურა, შარიშამი, აიღო ქალაქი შაბური, მშვიდობიანობა
ხამოაგდო აქაურობაში და მშვიდობით და დიდებით დაბრუნ-
და თავის ქვეუანაში.

*) ჩვენი მატიანის გადმოცემით ბერძენი, ინდიელნი, არაბელ-
ნი, სულთნები ხორასნისა, სირიისა, მისირისა, ივონიისა, აგრეთვე ხა-
ზარეველნი, ალანნი, აბაზენი და უკელა ხალხები მალრუბით მაშრუ-
ყამდის ეძიებდენ გიორგის მეგობრობას.

**) მისი (ანდრონიკ კომნენის) ჩამომავალნი, დაშონილნი სა-
ქართველოში, ეხლა იწოდებან ანდრონიკაშვილებად და ხარისხით
არიან თავადები.



გიორგი მეფე უკედა თავის სიმდიდრეს და ხაზინას ას-
მარებდა საქვეუნო საქმეს: წისუბის და ტამარების შენებას.
განსაკუთრებით უკრადლებას აჭლევდა იგი კარძიას *), რომე-
ლიც იყო სამეფო სატახტო აღგალი და რომელიც შემდეგ-
ში მონასტრად გადაიქცა.

ამ გვარი იყო საქართველოს მდგრამარება, როცა 1184
წ. გარდაიცვალა მეფე გიორგი III და გამეფდა კრთალ-კრთი
შეიარა მისი — ასული თამარი.

თამარ მეფე — ასული გიორგი III-სა,

1184 — 1212 წ.

I

გამეფება თამარისა. — შესანიშნავი მჩედარი ამა დოროისა. — პო-
ლიტიკური ნიჭი თამარისა. — პირველი ქმარი მისი და ამ
ქმრობის შედეგი. — მეორე ქმარი. *

გიორგი III სხვა ძე არ ესკა მართ ღდენ მარტო ასული
— თამარი, რომელსაც მამის სიკედლის შემდეგ დარჩა სამეფო
ტახტი. თამარი პატარაზაბიდგანვე მიძარებული იყო თავის მა-
მიდა — რუსდანთან, რომელიც მეტად გამოცდილი და განსწავ-
ლული ქალი იყო. თამარმა მისგან შეისწავლა უოველგვარი
დროის შესაფერი სიბრძნეზე და ისეთი ქალი გამოდგა, რომ

*) ვარდია არის ახალციხის მთარეს, მტკვრის პირას, ქარძამე-
ოს. წელის შესართავის ახლოს, ეს არის კლდეში გამოკვეთილი შე-
ნობა, აქეს მრავალი ლთახები, ეკლესიები და სენაკები. ეს შენობა
„ორიგლობრიუნ“ შენობას ეკუთვნის.



თავის ქვეულებით, სწავლა-ზოდილობით აღემატა ურკველთა აქნობამდის მჯდომარეთა საქართველოსა ტახტსა ზედა. ამა-სთანავე იგი აღწერვილ იქნ წარმოუთქმელითა სილამაზითა, ახოვნებითა და მძღვრის და უმწიველო სულითა.

მისი შოლიტიკური ნიჭი, მისი შორს გამჭვიტელობა ტახტსა ზედა აღსკვლასაკე გამოხნდნენ. მან მართალია მამისა-გან ჩაბარა ძლიერი სამეფო, მაგრამ ეს სამეფო ისე მკვიდრ საფეხმელზე არ იყო დაუკებელი, რომ მას სულ მუდამ (რა-საკირკველია ღიასკეულის მეფის სელში) ქართველია შინაურის ერთობით, განწყობილებით და ამ გაერთებული ძალით, ერთგულებით შასუხი ეგო მრავალთა მტკრთა თვის. ამ გვარი ნიჭი გამოიჩინა თამარმა და ამან გამეფებისაკე უმაღ სელში იგდო ის მძღვრი თავადები, რომელიც სშირად მორჩილე-ბიდგან გამოდიოდნენ, თავისუფლად მოქმედებდნენ და სში-რად ეწინააღმდეგებოდნენ მეფეთაც. ამ გვარ სენის ბოლო მოუ-დო თამარმა და თავის შესანიშნავის ნიჭით და ასტატობით უკედა ქართველის გული მოიგო და მოისუიდა.

სამშობლო ქვეუნის საქმეების განსაგებელად მან მოიწვია შესანიშნავი შირნი: ამირ სპასალარად (ჭართ მეუფროსედ) სარგის მხარგომელი და ამისა შეიღო ზაქარია. აგრეთვე მან-დარურთ უხუცესად ჭა-ბერი; მეჭურჭლეთ-უხუცესად კახაბერი კარდანისძე; მსახურთ-უხუცესად კარდან დადანი; ხურერ-სად (მეფის სუფრის უფროსად) გამრეკელი თორელი, რო-მელიც ზაქარია მხარგომელის სიკვდილის შემდეგ გასდა სპა-სალარად.

ამასეკე უამსა თამარმა დასკა ბარამ კარდანიძე სკანდა ერისთავად; კახაბერ კახაბერისძე რაჭის ერისთავად; ღოთალის შარვაშიძე ავხაზეთის კრასთავად; ამუნელისძე ცხუმის (სუ-



ხუმის) ერისთავად; ოდიშის ერისთავად ბედიანი; იმერეთ-ქართ-
ლის ერისთავად რატი სურამელი და კახეთის ბაკური მაგანისძე;
ჭირეთის ერისთავად ასათ გრიგოლისძე; სამცხის ერისთავად
ბორი ჭაველი; ამ დროს ჭირნდიდლად (მწიგნობართ უხუცე-
სად) იყო მთავარ-ეპისკოპოსი მიქელ.

ამათ შემწეობით და ესიმშვიდითა დაკითხანითა, სიბრძნი-
თა სოლომონიანითა, სიმხნითა და საურავისა დღესისა ხვალი-
სა არ მიგდებისა, იშენსა ზღვით პინტოსით ზღვამდე გურ-
განისა (კასპიისა) და სპერიდგან დარუბანდამდის და უოკელია
კავკასიისა იმერნი და ამერნი, ხაზარეთამდი და სკითთადმი.»

მაგრამ მინამ თამარი დაიმორჩილებდა უკელა ამ ხალხებს
და დაიწყობდა თმს მტრებთან, ქართველთ მოინდომეს მისთვის
ქმრის შერთვა. თამარის მთხოვნელი იუკნენ მრავალნი. მაგ-
რამ ქართველნი ეძიებდნენ უკეთესს და ლირსეულს პირს.

ბოლოს ბევრი რჩევის შემდეგ ქართველთ აირჩიეს
რუსთ მეფის — ანდრიას შვილი გიორგი, რომელიც მოი-
წეოს კაჭარის ზანქან ზორაბეგელის პირით უივჩაყიდვან. გა-
დარი ჩამოვიდა საქართველოში და ხალხმა თამარს რუსულნის
პირით მოახსენა თვისი სურვილი. მაშინ თამარმა გონიერად
უთხოა ხალხს: «კაცნო, ვითარ ღირს შეუტეობლად ესე ვა-
თარისა საქმისა ქმნად? არა ვიცით კაცისა ამისთვის უცხოსა:
არცა ქცევა, არცა საქმე, არცა ბუნებისა და ჩვეულებისა, არცა
მხედრობისა და სიქველისა; მაცადეთ ვიდრემდის განიცადოთ
ურეველთა სიკეთე, გინა სიღრმეე მისი!» თუმცა ასე მჭერ-
მეტეგელურად და საქმის ცოდნით ეპერებოდა თამარი ხალხს,
მაგრამ იგინით ცინიალუდებოდეს და უშვილობისა მოახსენე-
ბდეს და სასლეს მისსა უნაურობისა, დროვინვიდეს და წინამ-
ძღვანისა სასათათასა ითხოვდეს და უოკელითურთ შეაიწრებდეს



სულისა მისია.“ ამის შემდეგ თამარმა თანახმად ხალხის სულ-
კილისა და დასამტკიცებლად თვისის გონიერებისა და შორს
გამჭვრეტელობისა შეირთო გილოზი.

ეს ამბავი რომ შეიტყოს ორთა მმათა თასთა მეფის.
შეილთა, რომელთაც სხვათა შორის უნდოდათ თამარის ქმრად
გახდომა, გულს შემოეკარათ და ერთმა კერ გაუძლო სეკდას
და. შინ წასკლისას მოვკვდა ნიჭიზე დ იქვე წმ. რაჭდენის ტა-
ძარში დიდის დიდებით დამარხეს.

თამარის ქორწინების შემდეგ მოხდა დაშქრობა. მოთა-
ბედ ჩვენი ჯარისა იუო თვით გილოზი. ამ სელად გაილაშქრეს
ქართველთ ჯარებმა და აიღეს ყარსი, კარნითოლი; მცირე
ჯარით გამრეკალმა განდევნა ლსმალნი მაღლის-ხევიდგან (პალა-
გაციოდგან); მხარგძელმა მოიარა დვინის და სურმანის ქვეუნე-
ბი, სხვებმა განაძევეს მტრის ჯარები კლარჯეთიდგან. აჯანუე-
ბულნი დვინელნი გილოზიმ სელახლად დამარტრება დ წაართვა
მათ კაი ძალი აღაუთ. აქედგან წავიდა არარატისკენ და განა-
ბნია დიდ-ძალი ლსმალთა ჯარები. დაბორუნებისას ქართველთ
დაეცნენ ბეჭავეუნის ლსმალნი, მაგრამ არც მათ მოუდრიოეს
თავი ქართველებმა. ამის შემდეგ გაილაშქრეს განჯისკენ და
მდინარე არეზის ნაპირებისკენ.

ასე რომ მშენიერად მიდიოდა გარეშე საქმენი თამარი-
სა, საუბედულოდ, ოჯახური ბედნიერება და მშვიდობიანობა
დაიღვა მეფის სასახლეში. ამის მაზები იუო გილოზი, რო-
მელიც თანდათან შეეჩია სიმთვრალეს, გაირუპნა სრულიად,
„რამეთუ სიმთვრალესა შინა იწუო მრავალთა საძაგელთა დ
უშერთა საქმეთა ქმნად, რომელთა ნამეტნავ არს აწერად.“ შე-
უნდნენ გაცნი მის გასაკურნებლად, მაგრამ «გვურნებდით ბა-
ბილონისა და არა იუო გურუება, არათუ ადენ არა შეიგონა,

არამედ უძვირესთა მიმართ იწყო და კაცი უბრალოდ გვეშა
 და ასთა ამოგდებითა ტანჯნა.»

ამის შემდეგ თამარმა სახალხოდ გამოაცხადა, რომ იგი
 ამისთანა გარეუნილ გაცთან გეღარ იცხოვრებს, მაუბრუნდა
 გიორგის და უთხრა: «მე არა მიძღვს ანრდილისა მრევდისა
 სისასა კამართვად და უბრალოდ განკუქინ მტკერსაცა, რომე-
 ლი აღმეგრა შენ მარ.» თამარი გრძელდა მას და რესუდან
 დედოფალმა და უოკელთა წარჩინებულთა გიორგი ჩასკეს საჭმა
 და კასტრატონობოდჲ ში გაგზავნეს. ასე დაირდეა შირველი ცოლ-
 ქმრობა თამარის.

ამის შემდეგ თხოვნისამებრ სასულიერო წოდებისა, აზ-
 ნაურთა და სალხისა თამარი მეორედ უნდა შეუღლებულიერ-
 სელახლა მრავალნი გამოჩნდნენ მსურველი თამარის ქმრობი-
 სა. სხვათა შორის საბერძნეთის მპერატორის შვილი, ანტი-
 ღების მთავარი ბაჟუნდი და მრავალნი სულთნები. მაგრამ უკა-
 ლა ამათგან არც ერთი ამორჩეული არ იქნია, არამედ ამოირ-
 ჩიეს ქართველთ მეფეთა ნათესავი დაკით სოსლანი ბაგრატივა-
 ნი, თსთა მეფის შვილი, რომელიც რესუდანს თვისის უშვი-
 ლობისაგამო მოეკვანა თავის სახლში ადსაზრდელად. ეს და-
 კითი მოიკვანეს და „დიდუბეში ქორწილი ქმნეს შესატევისა და
 შემსგავსებული ხელმწიფობისა და შარავან დედობისა მათისა.«
 შემდგომად ამისა 『შემოვიდეს თბილისად და დასხდნენ ტახტ-
 სა ბედნიერსა ურნი მნათობნი, რონი მზენი განმანათლებელ-
 ნი უოკელთანი.»

დიდებულთა ამათ მეფეთაგან ეშინოდათ უოკელთა მტერ-
 თა და კერ უბედავდნენ შებმას. დაკითი იურ მინიჭებული უო-
 კელივე სათხოებით. იგი წაეჭობისა უოკელსა მშვიდობისას,

თუმცა თავის სამეფოზე მთ შორებით — გურიაში სცხოველება თეიმურაზი, მაგრამ გულით და სულით თავის ქვეშ-ნიში დაბრუნება და შეგდა უნდოდა. ამიტომ იმან მოციქუ-ლი გაუგზავნა სულთანს და შემწეობა ხოსრვა; სულთანმა პატივით მიიღო მოციქული, მეზე თეიმურაზს აღგოჭვა შემწეობა და დროებით დანიშნა მმართველად გონიისა; აგრე-ოვე რამდენიმე აღაგი უბობა საათაბეჭოში. ამნარი გან-გარვეულება სულთანისა არ მოეწონა გურიელს, რადგან თეი-მურაზისათვის ნაბომები ადგილება მას თვითონ ეკუთვნოდა. თეიმურაზმა არ აწესდია: 700 კაცი გახელებით ის ჩავიდა სტაბბოლში მუსტაფა სულთანის წინაშე, მაგრამ ისა გიშვე შემწეობას დაწირდა და ისევ გონიაში გამოგზავნა. ამ ჩაირ მდგომარეობაში მან (თეიმურაზმა) 1619 წ. რესერვის იმპე-რატორს მისეიდ ფეოდორის შემწეობა და შაჟაბაზთან შე-მაღლობა სთხოვა.



აპაზიდ უფრო გააბრაზა თეიმურაზის ამნაირმა მოქმედებაში, რას-გამო მეფის დედა ქათევანი წამებულ იქმნა და მეფის ძენი ლევანი და ალექსანდრე საჭურის ჰყანა. ამ საშინელი საჭური-საგან ალექსანდრე იმავ წამს გარდაიცვალა, ლევანი კი შეიმაღა.

მაშინ, როდესაც ბუნებითი მეფე კახეთისა და ტანტალებდა და შემწეობას ითხოვდა ხან ერთისაგან, ხან მეორისაგან, გახეთში კი ფეიქარ-ხანი ანგრევდა და ათხრებდა ქრისტიანთ ეპლესიებს და კახეთის მიწებს უკოვედა თათრებს და მონ-გოლებს და ასახლებდა მათ თავის გასაძლიერებლად. ამ დროს ქართლის მეფე ბაგრატ V-ც სტანჭავდა სალხს და აწვალებდა, რასგამო სრულიად მოძულებული იყო და მოკვდის შიშისა-გამო თბილისშაც კერ სრხოვორებდა, არამედ შორს თბილი-სიდამ—საბარათიანთში. ბოლოს როდესაც უკანასენელი უამი მოუახლოვდა, მოიწვია ეპისკოპოსი და თავისი ცოდვები შეი-ნანა. ამ დროს აქ იყო მოღაც, რომელმაც მრისხანებით შექ-ხედა ეპისკოპოსის, მაგრამ მეფემ უკრი არ უგდო მაჭადის მოციქულს, პირველი გადიწერა და მოკვდა (1619 წ.) სოფ-ბოლნისში. მეფეს დარჩა ცოდი ანა, ძე სიმონი და ასული ლელო.

ანა ჩამოვიდა თბილისში და მეფედ თვისი შვილი სი-მონა გამოაცხადა, მაგრამ მოურავმა სააკამებმ, არაგვის ერის-თავმა ზურაბმა მოედი ხალხითურთ უარი ჰერეს მეფობა გა-მაჭადიანებულის მისის შვილისა. მაგრამ აპაზიდ უორჩიხანის წინა-მდლოლობით გამოგზავნა ჯარები და მათ შემწეობით ტახტზე ავიდა სიმონ II ანუ სიმონ ხანი (1619 წ.). ამის შემდეგ თვითონ უორჩი-ხანი კახეთისგვენ წავიდა, მოტუებით იწვევდა ქახელებს თავის კარავში და ჰქოცავდა. ამისთანა უსამართლო-ბა კედარ აიტანა სამშობლოს მოღალატე საკამებმ. ამან და



ზურაბმა მოჰქმდეს უორჩი-ხანი და ფეიქარ-ხანი, დაამარცხეს და განდევნეს ქახეთიდამ სპარსელთ ჯარები, და ხელ-ახლა თეა-მურაზი გაამეფეს (1623 წ.).

მაგრამ თათო-ორთლა ჯერ მტრებზე გამარჯვება კეღარ ქველიდა დარღვეულს სამეფოს. სააკამებ რომ მტრები დაამა-რცხა და განდევნა, იმას პატივის-ცემის მაგიერ დევნა დაუწევეს საქართველოს მებატონებმა, რადგან მისი გაძლიერება არ უნდოდათ. ზურაბმა, რომელიც მოსისხლე მტრად შეიქმნა სააკამები, თეამურაზის შემწეობით დაამარცხა სააკამებ; ამას შემდეგ მოურავმა საქართველოში ცხოვრება ადარ ინდომა: იგი წაკიდა სტრამბოლში, რათა სულთნის შემწეობით შემო-სულიყო საქართველოში დასასჭელად თავის მტრებისა. მაგრამ მუსთალმა სოფელმა ადარ დააცალა, რომ მემამულეთა სისხლი ასლად დაეღვრევინებინა ოსმალთათვის: იგი იქნება დაატობით მოჰქმდეს (1628 წ.).

1628 წ. მოკვდა აბაზ II-ც და საქართველომ ცოტა თავისუფლად ამოისუნოქა. თეამურაზის დაწერა გახეთის შე-ნება და ქართლიდამ სიმონ II-ს განძეგვება მოინდომა; სურვი-ლი მაღე აღუხდა: არაგვის ერისთავი ზურაბი, სიძე თეამურა-ზისა ქურდულად შეკიდა სიმონ II ბანაკში — ცხვილოსის ციხეში (ქასნე), მოჰქმდა შეივე და მისი თავი თეამურაზის გა-უგზავნა. თეამურაზი დაუკოვნებლივ წაკიდა ქართლში და და-იძურო მისი ტახტიც; ესრუ კი ბედისაგან დევნილა მეფე მე-ორედ გახდა მეფედ ქართლ-გახეთისა (1629 წ.).

პირველი საქმე თეამურაზისა იყო თავის სიძის ზურა-ბის მოკვდა, რადგან ამ ძლიერი დაუნდობელი *) გაცილა ეში-

*) ზურაბის ერისთამბის დრო ასრუ გამოუხატავს ხალხს: „ზუ-რაბ ერისთვის დროსათ, სისხლის წვიმების დროსათ“



ნოდა. ამის შემდეგ მან დაიწურ ეპლესიების შენება და ქრისტიანული სტილის გავრცელება. მართლ-მაღალდებელ მქადაგებლებთან ერთად მან ნება მისცა კათოლიკეთ მქადაგებლებსაც, რომელ-სიც საქართველოში მოვიდნენ საქათოლიკო ეპლესის დასამ-გვიდრებლად. მათი წინამდებარი იყო ავიტაბლებისა. მართლაც მაღე ჩვენში ფეხი მოიდგეს ამ მისითნერებმა და თავის სკუ-ლის გასავარცელებლად ამოირჩიეს თბილისი, გორი, ქუთაისი და სის, მათ ქადაგებას უფრო წარმატება ქვეთა საათაბეგოში, საცა მცხოვრებინა ათასობით გადადიოდნენ პაზისკენ. ამ ნაირად ფეხი მოიდგა საქართველოში საქათოლიკე ეპლესის და ესლა მისნი შვილები ათი-ათასობით ითვლებიან ჩვენ-ქვეყანაში.

იმერეთში ამ დროს სუვერენი განხეთქილება: დადიანი ებრძოდა მეფე გიორგის. ამან თავის გასამღარებლად თა-ვის შვილს ალექსანდრეს შერთო თემურაზის ასული, არა-ბერის ერისთვის ზურაბის ქვრივი დარეკანი. მაგრამ ამ ნათე-საობამ კერ უშეკვეთ მას. ლევან დადიანმა დაამარცხა იგი და ბევრი დადებული ტებე ჰქო. ამის შემდეგ ლევანმა და ტებე-ვა თავისი სიძე სიმონი, გურიას მმართველი, რომელსაც (სი-მონს) თავისი მიმა მოუკვა, თვალები დასთხოვა, კურიის მმართველად დასკა ქაიხოსრო გასთანგის ძე და სამეგრელო-ში დაბრუნდა. თემურაზი შინური საქმეების გამო კერ ჭმე-ლოდა თავის სიძეს, იმერეთის მეფის.

თემურა მოელი სიცოცხლე თემურაზის ბრძოლაში განა-ტარა, მაგრამ მაინც ის სამწერლო ასპარეზედაც მოღვაწეობდა. მისგან დაგვიჩი: „მირიანი“ და „ლეილიანი“, „გარდ-ბერ-ბელიანი“, „სიუკარელი ილაშებისა და ზაფიოხისა“ და სხვ.

ამ ნაირად თითქმის კალმით ხელში ებრძოდა იგი თა-ვის მცრებს. ქართლ-გახეთის ჭარებით მან აკლო უდუერ-

ზორბეგის ხალხი, რომელიც არ იყვნდა და მოსივენების არ აძლევდა
 კახეთის; მემრე დაისურო არეზის ხაშირები; ეპარაზი, ეპაზი;
 განჯის მმართველი ბეგლარ-ბეგი დავით უნდილაძე თავის ხალ-
 ხით გადმოიყვანა და იღრის ხაშირებზე დასახლდა. თეიმურა-
 ზის ხაჭიფილმა გააბრაზა სპარსეთის შაჰი სეფი, რომელმაც
 თავის სპასალარი როსტომ სახამე (ეს იყო მე მოურავის
 სახამისა) გამოგზავნა ქართველებზე, მაგრამ იგი დამარცხებუ-
 ლი იქმნა; შაჰმა მეორეთ გამოგზავნა ქართვები და მასთან ერთად
 ხოსრო მირზა (როსტომი), მე დაუთხანისა, რომელსაც მა-
 სცა ქართლის ტახტი. თეიმურაზე უბრძოლველად ტახტის და-
 თმობა არ უნდოდა, მაგრამ როდესაც ბართა შეიღებმა, ერთი-
 თავებმა და გახთანგ მესრან-ბატონმა დასტოვეს მეფე და
 ხოსრო-მირზისკენ გადავიდნენ, მაშინ მეფე იმუღებულ იქმნა
 განმორიებოდა ქართლს და იმერეთში შეეფარებინა თავი. ამ
 ხაირად ხოსრო-მირზა ანუ როსტომ I 1634 წ. აღიარებულ
 იქმნა ქართლის მეფედ, გახეთი კი მიეცა სელიმ-ხანს (1634 წ.)

როსტომი თუმცა ტახტზე მოსუცებული (68 წ.) ავი-
 და, მაგრამ მეტად მხენვ იყო. მან გაამაგრა გორი, სურამი,
 თბილის ციხე შემოავლო და მცხეთის ციხეც შეაკეთა. შემდე
 ქალაქებში სპარსელი ქარები ჩააეკინა. თუმცა იგი მაჟმადისხი
 იყო, მაგრამ ქისტრიანებს სოფლისაც არ სდევნიდა, პირ
 იქით აშენებდა ეკლესიებს და ხელს უწეობდა ჩვენი სამღვდე-
 ლოების განათლების.

როსტომის დროს მთელი საქართველო გაიყო ლორად:
 მითგვისა სპარსეთის შაჰმა სეფიმ: ერევანი, ქართლი, კახე-
 თი და ქურთისტანის ერთი ხაწილი; რსმალეთის სულთანმა-
 ში ერიატ IV მთელი დასავლეთი საქართველო, საათაბეგო და
 ქურთისტანის მეორე ხაწილი. ეს მოეხდა 1636 წ.



ამის შემდეგ ლამაზნი ბეჭითად შეუდგნენ მაქმადინობა-
ბის გაკრცელებას. აფხაზეთში და საათაბეგოში შემოვიდა მაქ-
მადინობა. მონასტრები და ეკლესიები ნელა-ნელა დაისურნენ.
იქაური ეპისკოპოსნი და მღვდლები გადავიდნენ ქართლ-კახეთ-
იმერეთში. საეკლესიო მიწა-წყალი მაქმადინო დაისაკუთრეს.
საათაბეგოს მმართველის ასლან-ფაშის დროს (1654—1679
წ.).) თავად-აზნაურობას ჩამოხდა თვისი ნამდვიდი ღორისება და
ბეგებად, აღებად აღიარებულ იქმნენ. ვინც არ დაემორჩილნენ
ამ წეს-წეობილებას ქართლ-კახეთ-იმერეთში გადასახლდნენ.

როსტომი და სელიმ-ხანი დიდ-ხანის არ იუკნენ მშვი-
დობიანად: მათ ძილი დაუითხო თემიურაზმა. იმან მოიმხრა
ქართლიკურზი დომენტი და არაგვის ერისთავი დათუნა და
მათ შემწეობით ტახტის დაბრუნება მოინდომა, მაგრამ ოთ-
სტომმა ეს გადგო, დაღუპა დათუნა და დომენტი. ასადმა
არაგვის ერისთავმა ზაალმა და თემიურაზმა რა ნახეს სიძლიე-
რე როსტომისა, გადავიდნენ კახეთში, დაეცნენ სელიმ-ხანს,
დახოცეს მისი ჯარები და სელიმი განდევნეს. ამ ნაირად თემ-
იურაზი გადევ გამეფდა კახეთში (1636 წ.).

როსტომმა იმერეთის მეფის გიორგი III დამცირება
მოინდომა, რადგან ეშინოდა, რომ ის არ მიმსრობოდა თავის
სიმამრს — თემიურაზს. ამიტომ დეკან დადანის მსარე დაღვი-
რა. თუმცა თვითონ მოსუცებული იყო, მაგრამ შეიართო ასუ-
ლი ლევანისა, სიმონ გურიელის ქვრივი; მემრე დადანი წას-
ხება გიორგი მეფეს. მეფე დამარცხდა ერთ ბრძოლაში დ
დატუგავებულ იქმნა. ამისთანა მდგრადმარეთაში იგი მოკვდა
(1639 წ.), გამეფდა აღექსანდრე III, რომელსაც არ შეურიგდა
დადანი: ეცემოდა იმერლების, ატევენებდა დ სტანჭავდა. თემ-
იურაზი დ როსტომიც მუდამ ბრძოლაში იუკნენ.



ერთხელ თეიმურაზი აჭანეებული დაღოელების დასაშტან-
დებლად წავიდა დაღოეთში. ამით ისარგებლა რესტომია,
შეკიდა კახეთში, დამარცის კახელები, მაგრამ სახქაროდ და-
რუნებული თეიმურაზისაგან იძღია მაღაროში. რესტომი თბი-
ლისში გაიქცა.

1642 წ. სპარსეთის ტახტზე ავიდა აბაზ II მამის სე-
ფის სიკვდილის შემდეგ. მან უბრძანა რესტომის კახეთში
სპარსელთ უფლება ღებულონა. ამიტომ უფლების მხრით შე-
წროებული თეიმურაზი (მის მტრები იუკნენ: რესტომი, ღე-
ბები და სპარსელები) მიიქცა რესეთის ხელმწიფოის აღექსი მა-
სეიდის ძისადმი და შემწეობა სთხოვა, მაგრამ შემწეობის მა-
გირ რესეთში მიწკეპა მოუკიდა.

1648 წ. ქართლის ჭარები კახთანგ მუხრან-ბატონის
წინამდღოლობით შეკიდნენ კახეთში და თეიმურაზის ჭარზე
გაიმარჯვეს. მოჰკლეს მეფის ქავითო, თეიმურაზი კი გა-
ძეცა იმერეთში. კახეთი დაპყრობილ და ქართლთან შეერთე-
ბულ იქმნა (1648 წ.).

1653 წ. თეიმურაზის რესეთის ხელმწიფების კადეპ მოცი-
კული გაუგზავნა და სთხოვა ზარბაზნები და 6000 კაცი,
მაგრამ შემწეობა მაინც არ მოუკიდა. ბოლოს თვითონ 1656
წ. რაჭიდამ, დიგორიდამ, საჩერქეზოდამ წავიდა თერქში, იქა-
დამ აშტარხანში და მოსკოვში. მაგრამ შინაური საქმეებისა-
გამო რესეთის ხელმწიფები შემწეობა კერ მასცა, ამიტომ თეი-
მურაზი ისევ იმერეთში დაბრუნდა.

ამ ნაირად ქართლ-კახეთი დარჩა რესტომის, რომლის
მეფობას განმავლობაში (1634—1658 წ.) ქართველთ ცხოვ-



რებას ღრმად დაუტუთ სპარსელით გავლენა. ჩვენში გრძნელ
დიდი გამაჭმადას წელი წრე, რომელიც აღაზარდა სპარ-
სეთში და იქიდგან გადონერგა და სამშობლით ჰქეებაში
ააღთარდინა სპარსელით ზნე, ჩვეულებანი, ადგომ-დაჯდომა ა
სხ. უკეთ თანამდებობას სპარსელი სასელ-წოდება დაურჩა-
მევლისები და უოგელ გრანი შემცემა საზითა, დაირითა, ზურ-
ნითა, დაფითა, საღარითა სპარსელ გრმოვნებაზე შემოვიდა;
უწინდელი ჩვენი სამუსიგო საკრავები: ჩანგი, ებანი, წინწილი
ხმარებიდამ გავაზნენ; ქართული ბუნებრივი საცმელიც შეიცვა-
ლა სპარსელზე; სასლების შენებაც სპარსულებრივად დაიწეს;
სკამებზე კდომა დაიკავეს, მირიქით სპარსელებრ მოგეცით
ფლომა შემოვიდა. სპარსელი გავლენა აგრეთვე ღრმად დაუ-
ტუთ ჩვენს მწერლობას, რომელიც მხოლოდ მით გაირჩეოდა
სპარსელიდამ, რომ ენა ქართული იყო, თორებ შინარისი
და სხვ. სულ სპარსელი იყო.

თუმცა სპარსელი გავლენა იყო, მაგრამ მაანც
როსტომი დაუდალავად აშენებდა თავის სამეცნას. ხალხი
მშვიდობისად იყო; მას აღარავინ აწვალებდა. ამიტომ მან-
დორ-კელი, ბაღებ-კენასები კარგად შემუშავებულები იყნენ.
ქალაქებში ააშენეს მრავალი სახლები. თვით როსტომმა
სიონის სობოროს დაადგა მშენებრი გუმბათი, მტბბაზე დ
შრიაზე (ხრამი) მაგარი ხიდები გააკეთა, გაამაგრა კოჭორი,
ციხე შემოაკლო გორს დ თბილისში, სხვათა შორის, ააშენა
მშენებრი და დიდი. სასახლე.

როსტომი მოკვდა 92 წლისა (1658 წ.) და აადგან
მეფის გვარეულობაში პირ-და-პირი ჩამომავალი არ იყო, ამი-
ტომ აბაზ II ნება დართვით საქართველოს ტახტზე როსტო-
მის სურვილისამებრ 1657 წ. აღვიდა გამაჭმადიანებული გახ-



თანგი (შაჟ-ნაზარი), მუხრან-ბატონი ბაგრატიონი *), კახეთის
მმართველად კი დაინიშნა ისევ სელიმ-ხანი, რომელმაც ერწო-თია-
ნეთი მისცა არაგვის ერისთავის ზაალის, თვითონ კი სცხოვებდა
უარადავ მი და მაქმადიანთ უკოფდა ქრისტიანთ მიწებს. ეს მო-
სული ანგორებდნენ ქრისტიანთ ეპლესიებს და სტანჯავლენი
ხალხს. ამიტომ ზაალის შექმარა თუ მია, ფშავნა, სეგ-
სურია, მღამელა ქსნის ერისთავი შალვა, მისი მმა ელიზა-
რი და ბიძინა ჩოლაუა-შვილები, დაეცა ურჯულოებს, ამო-
სწუკიტა ისინი ბაქტიანში და ალავერდში. სელიმ-ხანი გაიჭა
(1659 წ.), გახეთის მმართველად კი გახდა მურთუზ-ალი
ხანი.

VI.

ვახთანგი V.—საჟმენი იმერეთში.—ბაგრატ IV.—დარეჯანი.—
ვახთანგი იმერეთში.—1661 წ. არჩილი დაიქრის იმერეთის
ტახტი.—თეიმურაზი I და არჩილი სპარსეთში.—სიკვდილი
თეიმურაზისა.—არჩილი ანუ შაჟ-ნაზარალი-ხანი, მეფე კახეთი-
სა.—მოღვაწეობა არჩილისა.—საათაბეგოს-ფაშა იმერეთში.—
ბერი დიმიტრი იმერეთის ტახტზე.—კახეთის მეფე არჩილი იმე-
რეთის მეფედ.—ერეკლე I კახეთის ტახტზე.—ვახთანგი სპარ-
სეთში კვდება.—გიორგი X ქართლის ტახტზე.—კახეთის შარ-
ოველი ბერან-ხანი.—არჩილი უტახტოდ დარჩება.

ვახთანგ V მხნე და მოუღალავი კაცი იყო. იგი გამაჟ-
მადიანდა და გამეფდა. გულში ისევ ქრისტიანი იყო და ქრი-

*) ვახთანგი იყო მე თეიმურაზ მუხრან-ბატონისა, თეიმურაზი
იყო მე ვახთანგისა, ვახთანგი—ბაგრატისა, ბაგრატი კი მე ქართლის
მეფის კოსტანტინესი.

სტანთ ჰქონდება და შემწეობას აძლევდა. წინა-ხანებში წარ-
 ხდა ონეგინის საქართველოს დადგებულთა მან რამდენადაც შეეძლო
 მოსპოტი; აგრეთვე განაახლა და გაამაგრა ქალაქები და ციხეები, მაგ.
 თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და მც. სხ. საქართველის ტახტზე
 დასვა განაათლებული და კეთილ-სინდისიერი ღომენტი, რო-
 მელმაც აღაშენა და განაახლა ბეჭრი მონასტრები, ეკლესიები
 და სამღვდელოება განამსხვევა. თვით მეფემ შეირთო ცოლად
 რესტომ მეფის ქვრივი მარიამი, თუმცა პირველის ისევ ცო-
 ლისადი ცოლისაგან ჰქონდა: არჩილი, გიორგი, ლევან-
 საძი, ალექსანდრე, სოლომონი, ახნა და თამარი. მარიამი უკ-
 რო იმიტომ შეირთო, რომ მას დიდი გავლენა ჰქონდა ქარ-
 თლები. არაგვის ერისთავება ზაალმა წინააღმდეგობა გაუწია ვა-
 ხსთანგს: ის და მისი გამეფება უკანონოდ იცნო. ამის გამო
 ზაალი დასჭირდ იქმნა სიკვდილით და ერისთავის ქარის,
 ზაალის ნათესავს. თავის გასაძლიერებულად ასული თვისი
 ანა მიათხოვა ახაზ II-ს. უკვე ამით ვახთანგმა მოიხვევა
 დიდი გავლენა არა თუ ქართლები, არამედ ვახთანგიაც, რომდის
 მმართველი იმ დროს იურ მურთუზ-ალა-ხანი.

იმერეთის სამეფო ამავე ღრუს იწიწენებოდა ლევან და-
 დიანისაგან და რადგან ალექსანდრეს სხვა ღრუსისძიება არა ჸქონდა
 მტრების მოსაგერებელად, ამიტომ ხოსია ჭავარიძე მოციქულად
 ბაგზავნა რუსეთში და ალექსი მიხეალიშვილან შემწეობა ითხო-
 ვა. 1650 წ. რუსის მეფის მოციქული ნიკოლოზ პავლოვინია
 და ალექსი ივანიჩი მოვიდნენ რაჭაში, მეფეს დადა სახუჭოები
 მოუტანეს და თავის მეფის შემწეობა და მოარგელობა აღუთვეს.

აღთქმული შემწეობის იმედით ალექსანდრეს მმართველი
 დაიწეო ომი დადანთან; რამდენიმეჯერ კმდეც გაიმარჯვა,
 მაგრამ ერთ ბრძოლაში დამარცხდა და დატევებულ იქმნა. ლე-



განმა გამოსთხარა თვალები და ციხეში სიკვდილამდეს შეინახა. ლეგან დადიანს ცოლად ჭევანდა მშენიერი ასული თვხაზეთის მთავრისა. იმაზედ ცუდი ხები დადიოდნენ ხალხში. ამიტომ ლეგანმა იგი მოჰყდა დაწართო ცოლი დარეჭანი თავის ბიძას და თვითონ შეითო; ორი შვილი პირველის ცოლისაგან მოჰყდა. ამ უღვთო საქციელმა ააღელვა ჭიფხაზეთის მთავარი, რომელსაც სიკვდილამდის ბრძოლა არ შეუწევებია; აგრეთვე ბიძა მისი გორგი, რომელიც ლეგანთან ბრძოლაში მოჰყდა. ბოლოს მმამ ითხებმა განიზრასა ლეგანის მოჰყდა, მაგრამ ამისთვის თვალები გამოსთხარეს დაწინებში პურიბილი მოჰყდა. ლეგანიც ამის შემდეგ მაღე ბარდაცხელა.

სამეგრელოში ჩამოვარდა განსეთქილება: ხალხი გაიყოთ მოპირდაპირე ბანებად: ერთს გამოვარება უნდღდა ლეგანის მმამ ლიპარიტოსა, მეორეს (დარეჭანის მომხრეთ) გამევისა, დარეჭანისა და მის პირველი ქმრის შვილისა. ამ უწესოებით ისარგებლა იმერეთის მეფემ ალექსანდრემ, შევიდა სამეგრელოში, დაიბურო იგი, წაართვა ლეგანისაგან იმერეთში მოხვეჭილი სიძღიდო, დადანობა გამეუს მისცა და იმერეთში დაბრუნდა.

წელი 1658 ბერებული ლიპარიტ დადიანი გაიქნა ახალ-ციხეში და როსტომ ფაშისაგან თხოვა შემწეობა. როსტომმა გამოაუყოლა ჭარები, რომელთაც მიემსრო ჭაისოსრო გურიელი, ჭილაძენი და მიქელაძენი. 1658 წ. სოდ. ბანმასთან ალექსანდრემ დამარცხა ესენი, ბეკნიც დატუკევა. სამეგრელოში ისევ გამეუს დარჩა. ლიპარიტი და გურიელი ისმალეთში გაიქცნენ და იქ დაისოცნენ. გურიას მმართველად დაინაშა სიმონის მე დამიტო. თვითონ ალექსანდრეც მაღე მოგვდა (1660 წ.); მას პირველი ცოლისაგან, რომელსაც გაექარა, ჭიანდა 14 წ. მე



ბაგრატი და ერთიც ასული. ბაგრატ IV მამის საკულტო შეძლებ გამეოდა (1661 წ.); მეორე ცოლისაგან დარეწანისაგან (ეს იყო ასული თეომეტაზისა, ქვრივი არავის ერთისთვის ზურაბისა) მეოქს აღექსანდრეს არა დარჩა რა.

გამეოდა თუ არა ბაგრატი, დარეწანს ფაქტად მოუკიდა გათხოვება თავის გერ შვილზე, ბაგრატზე. სურვილი გამოუცხადა ახალ-გაზდა მეოქს, მაგრამ მან უარ ჰყო. მაშინ ცბიკომა ამა დედა-გაცმა, ორმ გაკლენა არ დაკარგა იმერეთში და სამეფო ტახტს არ მოშორებოდა, ბაგრატს შერთო თავისი ხათესავი ნებტან დარეწანი. მის სამწერებოდ ამის შემდეგაც იმერეთის დიდებულთა არ მიუმკეს დარეწანი სამეფო საქმეებისადმი და ტახტს განაშორებს. ამით გაცხარებული დარეწანი შეიძერობს მეოქსს, დაამწევდებს ქუთაისის ციხეში, რეა თვის ჯვარ დაწერილს მეოქს წართმევს ცოლს, თვალებს კამთხთხოს, თვითონ კი გათხოვდება ერთ იქაურ თავად-გახთანგზე, ოომელსაც მეოქს იმერეთისა აკუთისებს. იმერთა თავადი და დიდებული მეტად გაბრაზდებიან და წინააღმდეგ ამ უღმერთო დედა-გაცმის მოიწვევენ იქაურ მთავრებს.

გამეუ დადიანი შირველი შემოვიდა იმერეთში. დარეწანი მეორეურთ ჩაიკერა ქუთაისის ციხეში, ოომელიც დადი ხნის შემდეგ მოტუებით ადებულ იქმნა. კახთანგს თვალები დასთხარეს, დარეწანი ნებტან-დარეწანითურთ გაიქცა ახალ-ციხეში შემწეობის სათხოვნელად. მეგრელებმა ადამიტეს იმერეთი. და დიდ-მაღად აღაუგი წაიღეს. კამეუმა იმერეთშა ისევ ბრძანა ბაგრატი II გამეოქს.

ამ არეულობის დასაწყისარებლად და ამაუგა კამეუის დასაწელებ კახთანგი V ქართლის მეოქს შეკიდა იმერეთში, დაბრიობა ხვითი, კაცი და სეანდე; მას მაკერნენენ: იმერეთის ხალხი



და დექხემის მმართველი დაშისის შვილი ხესია. სკანდეში იყო მოხუცებული და გადარიბებული მეზედ უოფილი თემურაზი, ორმელიც ვასთანგმა თბილისში გაისტუმრა, შემდეგ დაეცა ქუთაისს, აიღო ისა და დატეპება ბრძა მეზენი: ბაგრატ IV და ვასთანგი. შემდეგ დაბურო სამეგრელო, ორმლის მთავრად დანიშნა ლევან III (ლევან II შვილის-შვილი) და შექრთო მას თავის ნათესავი თამარი. შარვაშიძემაც მორჩილება გამოუცხადა. ვამეუი გაიქცა სკანეთში, საცა სკანებმა თავი მოსცერეს და ვასთანგ V მოართვეს; გურიილიც დამორჩილდა ამ მეზეს. ამ ნაირად ვასთანგ V დაიმორჩილა მთელი ლიხს იქითო ქვეუნები, იმერეთში გაამეფა თავისი 14 წ. შვილი არჩილი; თვითონ კი, სხვათა შორის, თრი ბრძა მეზენი წამოიყვანა და თბილისში მოვიდა.

ვასთანგ V თუმცა ასრე სამაგალითოდ დასრულა საქმენი და ქართლს მთელი დასაკლეთი იმერეთი დაუგვაშირა, მაგრამ, სამწუხაობად, დად-ხანის არ გაგრძელდა ამ ნაირი მდგრამარეობა: იმერლები არ ემორჩილებოდნენ არჩილს და ვასთანგს, როგორც მეზეს, უარ ჟერთვდნენ. მათ ახალ-ციხის ფაშის დასმარებით სოხოვეს სულთანს, რომ განეძევა არჩილი და თვითონ დაეცერო იმერეთი. სულთანმა სპარსეთის შაჰს მოაგონა 1635 წ. პირობანი შესახებ საქართველოსი და სპარსეთის შაჰის ამის გამო უბრძანა ვასთანგს გადაეყენებინა არჩილი და იმერეთის სამეფო ვანონიერი მეფისთვის მიეცა. ვასთანგმა არჩილი თემურაზთან ერთად სპარსეთში შაჰთან გაგზავნა; იმერეთის ტახტი კი ისევ ბაგრატ IV ბრძას დაუბრუნა.

სპარსეთში არჩილმა სახალხოდ უარ ჟერთვა ქრისტიანობა და ვამაჯინადიანდა, სახელად დაეცეო შაჰ-ნაზარალი-ხანი და, როდესაც ვასეთის მმართველი მურთუზ-ალი-ხანი მოკვდა, და-



ნიშნულ იქმნა კახეთის მეფედ (1664 წ.). თეიმურაზმა კა არ მიიღო მაჭმადანობა, ამისგამო ასტრაბადში დაამწევდიეს და იქვე საპერობილეში გარდაიცვალა. შაჟის ნება დართვით გვამი მისი წამოიდეს კახეთში და ალაკერდის სობოროში 1664 წ. დამარცხეს.

• 1664 წ. არჩილი აღვიდა კახეთის ტახტზე. მის გაე-
გაცურმა შეხედულებამ, ტანადობამ და სულის მაღალ თვისე-
პებმა პირველსაც სანში საღნის გული მოიგო; იგი მა-
მაცურად და გამჭრიახად ქმართავდა თვის სამეფოს და
მისმა მკლავის სიძლიერებ მაღე დააშინა განებივრებული ლეპ-
ნი, რომელიც ამიერიდგან ვეღარ ბედავდნენ კახეთში შემო-
სვლას. არჩილი შევიდა დაღისტანში, პირქვე დასცა იქაური
სიასგრენი, მრავალი სალსი ტეპე ჭერ და მრავალიც დახსრუა.
შაჟის მოსაწონდა ყოფა-ქცევა არჩილისა და ამით გამხნევებული
მეფე მშვიდობისად აშენებდა თავის სამეფოს. გრემიდამ მან
ტახტი თელავში გადმოიტანა. აქვე ააშენა სასახლე, ეპლესიე-
ბა და განუწესა მათ ეპისკოპოსი. თავის მოღვაწეობა მწე-
რდობასაც არ მოავლო. იმან ზედ-მიწევნით იცოდა სამღვირ-
წერილი. პირველად მან შეაგროვა დაბადება. რადგან ქართულ
ენაზე ისო ზირაქის და მაკაბელთა წიგნი კერ ჭირვა, ამიტომ
მან თვითონ ბერძნულიდამ გადმოსთარგმნა. მისი თხზულება
„არჩილიანი“ გვიმტკიცებს, რომ მეფე არჩილმა კარგად და
დაწერილებით იცოდა მწერლობა და ისტორია საქართველოსი.
ერთის სატექათ როგორც მამა (კახთანგი) ისე ძე (არჩილი)
მხოლოდ გარებნობით იუპნენ მაჭმადანნი; ნემდვილად კი ისი-
ნი ქრისტიანთ მფარველნი, გულ-კეთილის, სიმართლის-მოუკა-
რენი, გლასავთა და უსედურთა შემწე და პატრონნი იუპნენ.

მაშინ როდესაც ქართლ-კახეთის სამეფონი მშვიდობასთან სირგებოდნენ, იმერეთი და სხვა სამთავროები საშინელ მდგრადარებაში იყნენ. უნიჭო და უთვალებო ბაგრატ IV სა-სუსტის გამო მთავრები არბევდნენ ერთმანერთს, დადებული და თავადნი ეცემოდნენ უღლის ხალხს, სცარცვავდნენ, ატეკა-კებდნენ ცოლ-შვილს, ერთმანერთს და ჰყიდვიდნენ *); ზოგიერთი იქამდის გაძლიერდნენ, რომ ქვეუნის გაუიდაც დაიწეს, მაგ-ნოსია ჩხეიძემ ლამაზებს მიჰყიდა ქუთაისის ციხე (1666 წ.). მაგრამ უკედაზე თავ-გასული იყო დავან დადანი, რომელიც უთველს უსამართლობას იდენტა და საშინლად აწესებდა იმე-რეთს. ერთს ბრძოლაში მას ბედმა უღალატა. იმერლებმა და-მარცხეს, დატიპებეს და მინამ არ გაუშეს ტეკებიდამ სინამ თავისი მშვენიერი მეუღლე არ დაუთმო იმერეთის მე-ფეს და არ შეირთო მისი და, გოგიაძეს ქრიზი.

შემდეგ ამასა გარეუნილმა დარევანისა მოტეკუებით გორის ციხიდამ განათავისუფლა ტეკედ ქმნილი თავისი ქმარი გასთანგი და ასალ-ციხის ფასის ფასმარებით დაისურო იმერეთის ტახ-ტი. ფასმა საშინლად აღარსრა იმერეთი, ბაგრატ IV ძლივს გაიჭა და შეფარა გასთანგ V. დარევანმა გი დაიწეო ბა-ტონიდა. იმან დევნა დაუწეო სამღვდელოებას, ზოგიერთ და-დებულთ, რომელთაც წინათ უღალტეს. მაგრამ ეს დევნა

*) შარდენი ამბობს, რომ 25—40 წ. კაცს ჰყიდვიდნენ 15 ფრან-ტოლელ ეპუდ (ერთი ეპუ—70 კაპ.); 40 წ. მოხუცს 8—10 ეპუდ; ქა-ლებს 13—18 წ. 20 ეპუდ; დედა-კაცებს 12 ეპუდ; ურმებს 3 და 4 ეპუდ. სტამბოლში, ალექსანდრიაში ქარიში და სხ. ერთი ორად და სამად ძვირად ისყიდებოდენ. გარდა ამისა ოსმალების იმერეთი ყოველ წლივ ხარჯად აძლევდა 80 ქალს და გაქს, გურია 46, სამეგრელო 60,000 საქ. ადგილობრივ ტილოს.



ძვირად დაუკდა უბედულს. ხოსია დაშის შვილმა, რომელიც
ძუძუ მოწოდებით იშვილობილა დარკვანმა, ხანჭლით გამო-
ფაშვა იგი (დარკვანი.) მემრე იმავე წელს (1668 წ.)
გახთანგიც მოჰქმდეს.

ამ უწესობის მოსასპობლად ახალ-ციხის ფაშა სწრაფად
წამოვიდა იმერეთში, აიღო ქუთაისი და გაამეფა გურიის
მმართველი დიმიტრი-ბერი.

წავიდნენ თუ არა ოსმალნი იმერეთიდამ, იმერლებმა
ხოსოვეს კახთანგზ ვ გამოვგზავნა იმერეთში სამეფო ტახტზ
ბაგრატ IV, გახთანგმაც 1669 წ. გაისტუმრა იგი. დიმიტრი-
ბერი ისეგ გურიაში წავიდა.

მაგრამ ბაგრატის ბედის ჩატბი სულ უკუდმა ტრიალე-
ბდა. მან არ იცოდა რა იყო მშვიდობიანობა. კიდევ აუჯან-
ედნენ ზოგიერთის. მოთავედ იყო სესხია ჩხეიძე და ლევან
დადიანი, რომელთაც მოინდომეს ბაგრატის განძევება იმე-
რეთიდამ. ბაგრატის ბრძოლა დაწიურ და თავის მტრები და-
მარცხა (1671 წ.) და (კითომ) სამეფოში მშვიდობიანობის
ჩამოსაგდებად ქუთაისის ციხეში ლამალთა ჭარი ჩააუენა.

ასზ II სიკვდილის შემდეგ (1667 წ.) მისი შვილი
სულეიმანი რომ ავიდა ტახტზე, მან მოინდომა გახთანგის
დასუსტება, ამიტომ სხვა რომ კერაფერით კერ აისრულა წა-
დილი, რესეთიდამ ერეკლე (მე დავითისა, მისა თეიმურაზისა)
გამოიწირა და სამეფო გვარში ჩხების ჩამოგდება მიანდო-
ერეკლე მოვიდა თუშეთში. არჩილმა მოიწვია ის თავისთან, მე-
გობრულად გაუმასპინძლდა და თავის კაცებით სპარსეთში გაი-
სტუმრა. მაგრამ მალე შემდეგ ამისა გახელებმა ათხრების ში-
შისაგამო სთხოვეს არჩილს ტახტი დაეთმო ერეკლესთვის ჭ
თვითონ იმერეთის ტახტი დაეპურო. არჩილიც, გამოცდილი



მამის გახთანგის დაუკითხავად, დატებულდა და წავიდა ანალიზის
ციხეში და ფაშის და დადანის შემწეობით შეკიდა იმერეთში.
იმერლები, შეწებებული მარადის შეფოთისაგან, განუდგნენ
თავის სუსტს მეფეს და მაემხრენენ არჩილს, ომელიც ჭუთაის-
ში შეკიდა და ხელ-ახლა აღიარებულ იქმნა მეფედ. ბაგრატი
გაიქცა მთებში, მისი ცოდი თამარი კი წაუკანილ იქმნა და-
დანისაგან.

გახეთის მეფედ დანიშნა (სულეიმანმა) ერებუ, სოლო
წინადგე უბრძანა მაქადანის მიღება. გახთანგის კი არაც მა-
ზეზები მოუგონა და ისპაჟანში გაიწერა. გახთანგმა ქართლ-
გახეთის მმართველად დასკა თავისი შვილი გიორგი, თვათონ
კი გაემგზავრა ისპაჟანში, მაგრამ გზაზედგე მოგვდა (1675 წ.).

მამის სიკვდილით ისარგებდა არჩილმა, შემოვიდა ქართლ-
ში და ტახტის დაჭერა მოინდობა. მაგრამ სულეიმანმა ქარ-
თლის მეფედ დანიშნა გიორგი ანუ გურგენ-ხანი (1676 წ.)
და რადგან ერეკლეს ჯერ ქრისტიანობა არ დაეტოვა, ამიტომ
გახეთის მმართველად დანიშნულ იქმნა სპარსელი ბექან-ხანი,
ბარი უდიერი და მტარევალი ხალხისა. ეს მოვიდა უარადაჭმა
(1677 წ.), არჩილი კი ისევ იმერეთში დაბრუნდა. მაგრამ
გიორგი გურიელმა არზოუმის სერასქარის და ახალ-ციხის
ფაშის დახმარებით არჩილი იმერეთიდამ განდევნა.

VII.

არჩილი რუსეთში მიღის. — ლიხს იქითი ქვეყნების მდგომარეობა. — იმერეთში გამეფდება ალექსანდრე IV. — არჩილი ისეთში. — ერეკლე ანუ ნაზარ-ალი-ხანი ქართლის ტახტზე. არჩილი დაიპურობს იმერეთის ტახტს. — გურგენ-ხანი ისევ ქართლის მეფედ. — 1691 წ. ოსმალნი დაანგრევენ ქუთაისის ღვთის-შშობლის დიდხსნობის. — დახრიხბა იმერეთის მეფის ალექსანდრესი. — არჩილის სიკედლი. — რეულობა იმერეთში. — იქ სიმონის შემდეგ გამეფდება მამია გურიელი, იმის შემდეგ გოორგი აბაშიძე (1701 წ.). — დამორჩილება შარვაშიძესი. — გამეფება გოორგი VI და არეკლობა იმერეთში. — ქართლში გამეფდება ვახთანგ VI. — გამოცემა ვანონებისა და სხ. მოლვაწეობა მისი. — იმამ-უსლი-ხანი კახეთის მეფედ. — ლევაბის მოძრაობა. — თეიმერაზი გამეფდება კახეთში. — ქართლში სიმონი. — ალი-უსლი-ხანი (იქს) ქართლში. — ბაქარი ქართლის მეფედ. — სპარსეთიდამ დაბრუნდება ვახთანგ VI. — ლევაბთან საბრძოლველად მომზადება.

მეფე არჩილი ქართლში სცხოვრებდა და გულის ტკიფ-ლით უურებდა. ბეჭან-ხანისაგან ქახელების უღმერთო წესას. დეკო და თათართ მან მისცა უოველ გვარი თავისუფლება: იგინი უშიშრად შემოღილების ქახეთში, ჰსოცავდნენ, არბევდნენ ქვეყანას და ალათით და ტუკებით ბრუნდებოდნენ თავის მოებში. თუ კი ქრისტიანის მოეკლა თათარი ან ლეგი, იმას ბეჭანი თავს სჭრიდა. არჩილმა კედარ მოითმინა და ქახეთის განთავასუფლება მოინდომა, მაგრამ სპარსელთ გაუბეს და შაჟის ბრძანებისა მებრ გურგენ ხანისაგან იგი განიდევნა საქართველოდამ. არჩილი რუსეთის სელმწითეის თეოდორ ალექსეიხის ნება დართვით მოზღვოვიდგან მოსკოვში წავიდა, თანაც წაიუქანა თავისი კალაბობა.



იმერეთში ბაგრატ ბორის შეაგროვა ჭარები, შეკიდა უფლისი
მეგრელოში, დამარცხსა ღევან დადიანი, წართვა მას თავისი
ცოლი და ქუთასში დაბრუნდა. 1680 წ. დადიანი მოკვდა.
კრთად-ერთი მისი ძე მანუჩარი, ომელიც გიორგი გური-
ელიან მეგრელი იყო, გურიის მთავარია მოქვედა და მოინდო-
ბა თავის სამთავროსთან სამეგრელოს შეერთება. მაგრამ უპა-
ტრითნოდ დარჩომილ დადებულო დადიანობა მისცეს გაშ-
კაცობით განთქმულს ახსაურს კაცია ჩიქოანს, ომელიც დე-
ვან დადიანისაგან ლეჩებუმის მმართველად დანიშნულ იყო. ჩი-
ქოანმა დევნა დაუწეო უკედა-წინ წამოუენბულ და წარჩინე-
ბულ პირთ, ბევრი დახოცა და თავის გვარეულობას და მო-
ნათესავეთ მისცა უკეთესი ადგილები. ეს მოქნდა 1680 წ.

მეორე წელს (1681 წ.) მოკვდა ბაგრატ ბორის გური-
ელია ახლა იმერეთის დაპურიბა მოინდობა. მაგრამ ქართლის მეფემ მეგრელი მეფე მეფის ძე ალექსანდრე გამოგზავნა იმე-
რეთის ტახტზე ასასვლელად. ახალ-ციხის ფაშის დახმარებით
ალექსანდრემ სოფ. ოვეიტიან 1683 წ. დამარცხსა გიორგი
გურიელი და ავიდა მამის ტახტზე.

ქართლის მეფე გიორგი XI მეგობრულად სცხოვრებდა
იმერეთის მეფეებთან, მიზეზი ამისი უფრო ის იყო, ომ
სპარსეთის შეჭირული სახურებით ან მაღალი თანამდე-
ბობის დაპირებით აჩხებებდა ქართველ თაეადეს და მეფის
წინაღმედ ამოქმედება მათ. ციცაშვილი წასწეუბა ამილა-
ხველებს, ქსნის ერისთავინ არაგვის ერისთვებს, მეფის
ძენი ერთმანერთს და მეფეს. ამ უოფიდაშ გამარჯვებით გამო-
სასვლელად გიორგი მეგობრულად ეპურიბოდა იმერლებს.
მან შეირთო ცოლად მიქელაძეს ქალი და ალექსანდრე IV.
იმერეთის მეფეს, შერთო თავის ნათესავი ქალი.



მეფე ალექსანდრემაც თავისი ასული შეოთო ერთ უძლის ერგებს თავადს პატა აბაშიძეს და მთ დიდი გავლენა მოინკვეჭა იმერეთში. მეფის წინააღმდეგ იყვნენ მთავარნი გურია და სამეგროლოსი, ერისთავი რაჭისა შოშიტა და ბეჭან ლორთვითანიმე. მორქებს შეუ მოჰქდა ომი, რომელიც გათავდა როგორ ბრძოლით 1684 წ. ამ ბრძოლაში დაიხოცეს კიორგი ბრძოლიდა და შოშიტა. მეფის თუმცა დაეხმაცა თავადნი და ლორთვი აბაშიძენი, მაგრამ მაინც გამარჯვება მას დარჩა, გურია დასვა გილორის შვილი ქაიხოსრო. პატა აბაშიძის ქვრივი, თავისი ასული, მიათხოვა რაჭის ერისთავს პაპენას, შოშიტას ძეს. ახალ-ციხის ფაშა ალექსანდრეს თანახმა არ გაუხდა შე გურიელად დასვა ქაიხოსროს მაგიერ მისი ბიძა მაღაქია. ამის გამო ჩამოვარდა ჩხერი. ამ ჩხერში მაღაქიას თვალები დასთხოეს და ქაიხოსრო მოჰქდეს. გურიელად გახდა ქაიხოსროს ძე მამია.

ამ ნაირი მდგრადარება თავის სამეფოებისა რო შემოესმა არჩილს, მან ითხოვა შემწეობა რუსეთის მეფისაგან, მაგრამ რომ შემწეობა არ მიეცა, თვითონ მარტოდ წამოვიდა ლეგიში (1687 წ.)

ერებლე, რომელიც სპარსეთის სასახლეში 15 წ. სცხოველიდა და რომელსაც მეფობა არ კილეოდა, რადგან ისლამის უკარ ჭერით და, ბოლოს იმულებულ იქმნა ერწმუნა იგი. შექმა მისცა მას ქართლის სამეფო და ამასთანავე უგარ-აღობა.

ერებლეს ანუ ნაზარ-აღი-ხანს ქართლის თავადები და დადებულნი ქართლის საზღვარზე მიებებნენ, გიორგი მეფე გი მარტოდ დარჩომილი ცხინვალიდამ რაჭიში 1688 წ. გააქცა და თავის მმას არჩილს მიემხრო. მათი მხარე დაიკირეს აგრეთვე: რაჭის ერისთავმა, სამეგრელოს მთავარმა, ბეჭან ლორ-



თქითანიძემ, ჭილაშვილთ და მიქელაძეებმა. ალექსანდრე შეზღუდული საქმე რომ გაქორდა, მაშინ მან ლენსეუმი უბოძა დადიანს და მაიმხრი. არჩილის მომხრენი დაიმაღნენ, რისგამც გიორგი მეფე არზრუმის ფაშასთან შემწეობის სათხოვნელად წავიდა, არჩილი კი შეარცაშიძესთან. არზრუმის ფაშა გურიენთან ერთად ჯარებით შემოვიდა იმერეთში და არჩილი გაამეფა. დადიანს არჩილმა ლენსეუმი ისევ წაართვა და იმერეთის ციხეებში თხმალთ ჯარები ჩააეკა.

ამ ნაირად ქართლის და იმერეთის სამეფოებს ორ-ორი მეფენი ჰეგანდნენ ერთ და იმავე დროს. ერებლე, კაცი გამო-უცდელი და მეტად უნიჭირ, მალე მოძელებულ იქმნა, რადგან იმან სამეფოს მმართვა ჩააბარა თავისაგან წინ წამოუენებელთ შირთ, მკელი თანამდებობის კაცი, როგორც საქორნი, ისე სასულიერონი, გამოსცვალა. სპარსელთ ჭარს თბილისში მისცა უოკელგვარი თავისუფლება და იმათ დაუწეუს ხალხს წევდება. ეს იუო მიზეზი, რომ ქართველებმა ისევ თავისი მკელი მეფე ინდომეს. ამოთანი მუხრან-ხატონი, გივი ამილახვარი, ნაკოლოოზ მაღალაშვილი წავიდნენ საათაბეგოში, იქ მუოფა მეფე გიორგი მოივანეს და დასკეს ქართლის ტახტზე (1691 წ.). ნაზარ-ალი-ხანი ჭერ თბილისის ციხეში ჩაიგერა, მემკე კი დუშეთში გაიჭრა. ალექსანდრე მეფეს კი, როდესაც ქართლიდამ საათაბეგოში იპარებოდა, დაეცა გიორგი მეფე, ცოლი და ური მისი შვილები სამოხი და გიორგი დაატესპერა, მეფე კი მლივს გაიჭრა.

მაგრამ არჩილიც დიდ-ხანს არ დარჩა ტახტზე: დადიანი სხვა თავადების შემწეობით შემოერტყა ქუთაისს. თხმალთ ჭერ დაანგრიეს ქუთაისის ღვთის-მშობლის დიდი სობორო და მემკე გადასცეს დადიანს. არჩილი გაიჭრა და ალექსანდრეს ისევ მიეცა იმერეთის ტახტი.



ქართლის მეფის გიორგის მმასთვის შეკვება უნდოდა და
იმერეთის ტახტის დაბრუნება, მაგრამ მისმა მეცადინებამ
უხაუოვლად ჩაიარა. ამნაირად ეცდა გაერეფებანა მმა ქახეთ-
ში, მაგრამ კერც არას აქ გახდა, რადგან იქ ერევლე ნაზარ-
ალი ხანი კადეც დამკვიდრებულიყო ტახტზე. გიორგი მეფე
და იმერეთის მეფე ალექსანდრე შეურიგდენ ერევლეს; გიორგი
მეფის კავრი სჭირდა ალექსანდრეს, რადგან იძიგსან დატუკე-
გებული იუგნენ მასი ცოდა და შვილები.

მაგრამ ცოდ-შვილის განთავისუფლებას აღარ დაუცედა:
იმან შეირთო მეორე ცოლი; ეს იყო ასული გიორგი აბაში-
ძისა, სამეგრელოს მთავრის და რაჭის ერისთვის მოუკრისა.
მაგრამ მისმა დაუდგრომელმა სასიათმა და მრავალ-გვარმა ჭო-
რებმა ააღელვა მეფის წინააღმდეგ იმერელი, მათ შორის გი-
ორგი აბაშიძე, ცოლიც უჩიოდა ქმარს და ითხოვდა მასთან
გაერას. ბოლოს შესდგა სამღვდელოთა და საერთო პირთა
ურთილება, რომელზედაც გადასწევიტას გადააუენონ ალექსან-
დრე და მის მაგიერ დასკან ერთ-ერთი იმერთა მეფედ ჩამომავალ-
თაგანი; არჩევანი ხვდა ერთ თავადს გიორგის, რომელიც აქა-
დის მუჯდომებაში სცხოვრებდა. ამ გიორგიმ ალექსანდრე მე-
ფე ვითომ სანახვად გამოიწვია და დასრულდინა (1696 წ.).
თვითონ კი შეირთო მისი ქვრივი და ტახტზე ავიდა.

მაგრამ ამანაც დიდ-ხანის კერ იმეფა: ორი წლის თავ-
ზე იგი გადააუენეს და სეულთნის სურვილისამებრ ქართლიდამ
გამოიწერეს ალექსანდრეს ძე სიმონი და გაამეფეს.

იმედ დაგარეცხული და უმწეოდ დარჩომილი არჩილი გი
თაღაურის სეობიდამ მოსკოვში დაბრუნდა და 1712 წ. გარ-
დაიცვალა, მას დარჩნენ: ცოლი და ქალი დარეცხანი. *)

*) არჩილის ძე ალექსანდრე უმაწვილობაში მსახურებდა პეტ-
რე დიდის „პოტი ში“ ჯარში; შემდეგ ის სამზღვარ გარეო გამ-



სიმონიც უსასათო მეფე გამოდგა. ჯერ მეგობრულდა სცხოვობდა ბატონებთან და მთავრებთან, შემდეგ ში კი მოა-ინდომა უკელას გამოცვლა და დასჭა, მაგრამ თვითონ კე გა- ბა მახეში: იგი ტახტიდამ გადააუქნეს და მამია გურიელი გა- ამეფეს (1701 წ.); ამასაც დიდ სანს გერ გასძლო ტახტზე: იმერეთში გაამეფეს გიორგი V ახაშიძე.

უმაწვილობიდანვე გიორგი ბერად შესულიყო და მო- ნასტერში სცხოვებდა (ბერთაში მაღაქია). ოთდესაც ორგის ბრძოლაში უკელა მმები დაქცოცა, მაშინ ის დაბრუნდა შინ და მამულის მმართვა დაიწულ. შემდეგ რომ გამეფდა, შეარიგა იქაუჩი მთავრები და ერთობა ჩამოაგდო მათ შორის.

სულთანს მუსტაფას არ მოეწონა ერთობა და მეგობრო- ბა იმერეთის სამთავროებისა, რადგან ეშინოდა მათი გაძლიე- რებისა და ისევ უთანხმოება და არეულობა უნდა ჩამოე- გდო, რისგამო დიდ-ძალი ჭარებით ახალ-ციხის ფაშის დახმა- რებით ასმალნი შევიდნენ იმერეთში. მაგრამ გიორგიმ უკელას პასუხი უგო და შექმნა ასმალებთან შემდეგი პირობა: აღვი- დეს ტახტზე მცირე წლოვანი გიორგი, მე აღვემსანდრესი, მის მცირე წლოვანობის დროს სამეფო ქმართოს გიორგი ახაში- ძემ; დაინგრეს შორაპნის ციხე და იმერელთ სულთანს აძლი- ლონ ხარჯი. მაგრამ ეს პირობანი დაირღვნენ, რამწამს ასმალნი გავიდნენ იმერეთიდამ.

გაიორგი ახაშიძემ მხნედ მოჰკიდა ხელი სამეფო საქმებს და გრიგორიად განაგებდა ქმიერანს. უკელა ურჩნი მოაწეულა,

ზავნა და როცა დაბრუნდა „ფელცე-მეისტრობა“ მიეცა. ნარეის იმ- ში შვედებმა ტუვედ წაიყვანეს; რევოლუციაში 1710 წ. მოკვდა რევე- ლში. დასაფლავებულ არც მოსკოვის დონის მონასტერში.



ერთგული დასახუჭრა და სრულიად დამშვიდა ეს „შეღვა-
რე ზღვა.“ 1707 წ. გიორგი ქასაგში მოვიდა. აბაშიძემ მო-
იწვია უკელა მთავრები, აკურთხა ქუთაისში და სამეფო საქმე-
ნი გადასცა ახალს მეფეს გიორგი VI.

1707 წლიდამ ვადრე 1720 წლამდის იმერეთის სამეფო
იწიწვება მთავრების, მეფეების და თავადთა შორის ბრძოლით და
უთანხმოებით. ეს არეგლობა 1720 წ. სრულდება მეფის გიორგი
VI მოკვდით. მთავრების და იმერელთ თხოვნით ახალ-ციხის
ფაშამ დასკა ტახტზე იმერეთის მეფის ტე აღექსნდრე.

ქართლ-განეთიც ამ დროს დამშვიდებული არ იყო. გა-
სეთის პეტ ლეპების შემწეობით არბევდა აბაზ-ული-ხანი,
მემრე ერეკლეს დაბეზღებით ქანეთის მმართველად 1695—
1703 წ. დანიშნულ იქმნა ქაიბ-ალი-ხანი, რომელმაც რვა
წლის განმავლობაში უარესად აღარსხა შეკეთა და სამინდად
აწვალა ხალხი. ერეკლემ და ამ ქაიბმა ქართლსაც მოსკენება
არ მისცეს; ამათ დამარცხეს ქართლის მეფე გიორგი, ეს
გამჭრა საათაბეგოდამ ერეკლენში და იქიდგან წავიდა სპარსეთში;
ერეკლე გი გახდა ქართლ-განეთის მეფედ, მაგრამ 1703 წ.
შაჟის ბრძანებით ქართლის მმართველად დანიშნა გიორგის
მმის წელი ვახთანგი, ერეკლე ისევ ქანეთის მეფედ დარჩა.

გიორგი XI შაჟ ჰუსეინმა დანიშნა სპასპეტად 20,000
სპარსელთ ჯარისა და ქართველთ მხედართა. გიორგიმ ეს ჭა-
რი წაიყვანა ავღანისტანში, რომლის ხანი მირვეიის წინა-
აღმდეგობას უწევდა შაჟს და ებრძოდა მას. გიორგიმ, რომელ-
საც ეშველებოდა მისი მმა ლევანი, რამდენიმეჯერ გაიმარჯვა
ავღანელებზე და დამარცხებული მირვეიისა იძულებულ ჰურ გა-
მოცხადებოდა შაჟს და პატიება ეთხოვნა. ამისთანა ლევანდისა-



თვის გილობრივ მოელოდა დიდი წესლობა შაჟისაგან. მაგრამ საქმე სხვა ნაირად დატრიადდა: მტრებმა შეასმინეს შაჟის, რომ გილობრივ საქართველოს და სომხეთის განთავისუფლება და აღდგენა უნდაო. ეს იუო მიზეზი, რომ შაჟმა ერთ სტუმრობის დროს ეანდეჭარში გილობრივ მირვეისს მოაკვლევინა (1709 წ.) და გააწევეტინა ქართველთა ცენტრალის ჯარი.

რადგან ვახთანგი ქრისტიანი იუო და მაჟმადიანობას უარ ჰქონდა, ამიტომ შაჟმა ქართლის მეფედ დანიშნა სპარსეთში მყოფი, ვამაჟმადიანებული მმა ვახთანგისა ქაიხოსრო, რომელიც ამის შემდეგ დიდ-ხანს ქართველთა ჯარებით ებრძოდა სპარსეთის მტრებს შუა-გულ აზიაში.

ვახთანგი თავისუფლად დარჩა ქართლში და რადგან გა-
რეშე მტრები არ აწესებდნენ, ამიტომ დაიწერ ქალაქების, —
სოფლების, ციხეების, ეკლესიების შენება. მოახდინა კრება
სასულიერო პირთა, რომელთაც განიხილეს საეკლესიო წესე-
ბი. განათლების გასაკრცელებლად გახსნა სასწავლებელი; 1709 წ. თბილისში გახსნა პირველი ტაძრებით და აღმ-
ჭდა თითქმის უკელა საეკლესიო და აგრეთვე მრავალი მკელი
საერთო წიგნები, სხვათა შორის „გეზსის ტყაოსანი.“ აგრე-
თვე შეაგროვა და შეადგინა ქანონით უწევებანი, სახელმძღვანე-
ლოდ ქართველთ მსაჯულებისა. ხარჯი გააწერა ხალხს, უკელას
შეძლებისამებრ. დააწესა მუდმივი ჯარი საქართველოს დასაცე-
ლად. ქათოლიკოსების ეკდემოსის და ტახტიდამ ჩამოგდებუ-
ლის ნიკოლოზის შეუწევეტელი ბაასი და ქიშიშის მოსპო-
თავის მმის არქიეპისკოპოსის დომენტის საქართველის ტა-
ხტზე დასმით. მაგრამ უფრო დიდი დავაწლი ვახთანგისა ქარ-
თველთათვის არის საქართველოს საისტორიო მასალების შე-



გროვება გიორგი ბრწყინვალიძამ მოვიდებული თავის ღროვაზე
და მისი ძველი მატიანითურთა ქართლის ცხოვრება ცალკე
წიგნად აღიყენდა. *).

ქართლის საქმეებს ასრული სამაგალითოდ და ბეჭდიერად
ორმ განაგებდა ვახთანგი, იმავე ღროს გასეთის მეზე ერგებულ
სრულიად უურს არ უგდებდა თავის სამეფოს. ამიტომ გა-
მრავლდა აქ უოკელ გვარი ბორიტება: ტევეთა გაუიღვა, უახა-
ლობა, ოქოო-კერცხლზე იყიდებოდა ქრისტიანობა, სადაც შე-
შემოდიოდა მაქმადიანობა. ბოლოს გაწერილ იქმნა სპარსეთში
და გასეთის მეზებდ მის მაგიერ დაინიშნა (1706 წ.) ერეკლეს
ძე დავითი ანუ იმამეულისანი, რომელიც სპარსეთში დაბადე-
ბული იყო და იქვე მაქმადიანობაში აღზრდილი.

იმამ-ეული-ხანის ცოდად ჰეგვანდა დადესტნის შამხალის ასუ-
ლი. ჰიონელად მეზე ზიზღით უურებდა ქრისტიანობას, მა-
გრამ შემდეგში, ვახთანგის ზედ გავლენით, შეიყვარა ჩვენი
სფული, სამდვდელოება და გახდა თავის ქვეუნის ნამდვილ
ჰარიონი.

ღვენი ისკველებულად აწესებდნენ გასეთს. ამიტომ
იმამ-ეული-ხანმა შეაგროვა ვარები, მოიშველა თუმნი, ფშავ-
ებსურნი და გამარჯვებით შევიდა სალექაში და დაიმორჩილა
იგინი. მხოლოდ დაბრუნებისას ღვენი დაეცნენ მის მცირე
ამაღას, დაამარცხეს, დახოცეს, მეზე კი ძლივს გააძლია ერა-
დაჭმი. ღვეთ კადეც დაიმერქეს ელისენი (საინგილო) და გაა-
თხრეს მრავალი აშენებული ადგილები. მეზე უარადაჭიდამ თე-
ღვენი გადასახლდა. ზაფხულში იგი მაღაროში სცხოვრებდა,

*) ვახთანგმა „ქართლის ცხოვრება“ თავის ღრომდინ მოიყვანა;
მამის დაუსრულებელი საქმე განაცილო მისმა შვილმა, განათლებულ-
მა ვახუშტიმ, რომელმაც ჩვენი მატიანი 1770 წ. მოიყვანა.



დამთარში კი სან თელავში და სან მანავში, საც სახსხლებ
აიშენა.

ბოლოს 1710 წ. ოთდესაც მამა მისი ერეკლე მოკვდა, იმამ-
ული-ხანმა სამეფო ჩაბარა თავის მცირე წლოვან ძმას თე-
მურაზს და მის დედის ანნას, თვითონ კი ისპაჟანში შემწეო-
ბის სათხოვნელად წავიდა. წასკლისას გახთანგმა მოდწება იგი
თბილისში, ღიღი სტუმრობა გადუხადა და მის მმაზე თე-
მურაზზე თავის ასულის თამარის გათხოვებით დაუნათესავდა.
1711 წ. იმამ-ული-ხანი სპარსეთში ჩავიდა.

იმავე წელს ავლათაგან მოგლულ იქმნა ქართლის მეფე
ქაიხოსრო. ამიტომ ამავე წელს გახთანგი გაიწერა შაჟმა სპარ-
სეთში. წასკლის წინ გახთანგმა ქართლი გადასცა თავის მმას
სიმონის.

შაჟმა გამაჟმადიანობა გალად დასწორ გახთანგს, მაგრამ
ამან უარ ჰყო და მით თვისი ქვეუანა უკიდურეს მდგომარეო-
ბაში ჩააგდო.

ამ ნაირად ერთსა და იმავე დროს ორივე სამეფოების
ტახტზე ისხდნენ მცირე წლოვანი მეფენი. ქართლის მეფე
სიმონი ამასთანავე იურ მეტად ციირი და ხალხის მწვალე-
ბელი გაცი. ამისგანმო სამეფოები, მეტადრე გახეთი ლეგების
საბუნავო გასდა. იგინი დაუსჭედად არბევდნენ სან ერთ მხა-
რეს გახეთისას, სან მეორეს. თვითონ გახეთის მოურავები დ
ერთსთავები ჰეგელოდნენ ლეგებს და მათ შემწეობით ჭავის
ჰერილობდნენ. მაგ. ქაზიყის მოურავმა ლეგების შემწეობით
აიყდო ელისენის მოურავის მერაბის მამულ-დედული. მერაბ-
მაც შემდეგ ში ამ ნაირადვე გადუხადა.

ამ მდგომარეობაში იურ ქართლ-გახეთი, ოთდესაც გახ-
თანგი სპარსეთში არ იღებდა მაჟმადიანობას და ამით გამსხე-

კებული მისი მმა იასე შაჟის დაჭვირდა, ორმ დატევევაბდა კახთანგის ცოლ-შვილს და 500 ქართლელ თჯახს გადაა-სახლებდა სპარსეთში. შაჟმა სისარულით გამოისტუმრა ალ-უფლი-ხანი (იასე) და აგრეთვე იმამ-უფლი-ხანი, ორმედმაც შეირთო იასეს და ელგნე.

იმამ-უფლი-ხანი თელავში მოვიდა. ლეგთ განდევნა მიან-დო ქაზიაუის მოურავს ყიასის, ორმედმაც მართლაც დაიმორ-ჩილა ლეგნი და დამშვიდა.

უზნეო იასე (ალი-უფლი-ხანი) ჩამოვიდა ქართლში და ხებიერად, უდარდელად ცხოვრება დაიწუთ. სამეფო განზე მი-აგდო ლეგთა და სხეათა საწიწენელად. შაჟის კერც პირობა შეუ-სრულა, ოადგან კახთანგის სახლობა რაჭაში გადავიდა და ის 500 თჯახი ქართლელი მოებში დაიმაღნენ. ეს იყო მიზეზი, ორმ გაფავრებულმა შაჟმა ქართლის ტახტზე გამოგზავნა (1716 წ.) გამაჟმადიანებული ძე კახთანგისა ბაქარი. კახთანგი კი გაგზავნა ხორასანის ომში.

ბაქარი შორის გამჭვრეტელი კაცი არ იყო. მან დეგნა დაუწეო ზოგიერთ იასეს მომხსევ თავადებს, ზოგი დახოცა. სალხის მდგომარეობას სრულიად უურს არ უგდებდა. ლეგნი უფრო გამხნევდნენ. კახეთი სრულიად დაასუსტეს და სასო-წარკვეთილებაში ჩააგდეს. ამიტომ კახეთში გადასწუვიტეს, ორმ ღლონდ კი ლეგნი დახსნენ კახეთს, ქართლის, უზახის, შირვნის და შამბადილის გზებს კასწავლით მათარ. მართლაც კა-ხელების შემწეობით ლეგთ მაღე მშენეირად შეისწავლეს უო-კელი ბილიკი. უახალურად გაათხრეს მოელი ქართლ-კახეთი. მცხეთა, გორი და სხეა ადგილები მათგან მოსკენებაში არ იყენენ. ამ ნაირად კახელებმა თუმცა სამსახური გაუწიეს და შორეული გზები ასწავლეს ლეგებს, მაგრამ თვითონ უფრო მეტად იცრცენებოდნენ მათგან.

ამ მდგრადარეობიდან სამშობლოს სახსნელად კახთანგია
იძულებულ იქმნა გარეგნობით მაინც მიეღო მაქმადიანობა.
შაჟმა კახთანგის VI დაუბრუნა ტასტი და 1719 წ. ქართლში
გამოისტუმრა.

კახთანგი სიხარულით მიიღო ქართველთა სალსმა. პირ-
კელი საქმე მეფისა იყო დასჭა შვეუნის მოღალატეთა. ესენი
იყვნენ: სომხეთის მეფიების ქა, ბაგრატ ციცი-შვილი, ფეხუნ-
გი ფალაგანდი შვილი, ფამასპ ხერხეულიძე, შაპუნა რეგაზი შვი-
ლი. უკელანი სიკედილით დაისჯნენ. შვეუნის ერთგული დასა-
ჩუქრა. თავის მმებს სიმონს და ისეგ გაქრისტიანებულ იასეს
უბოძა სიხა-და-სიხა ადგილები. შინაურობაში რომ მშვიადობია-
ნობა ჩამოაგდო, ასლა ლეპებთან საბრძოლებელად დაემზადა.

VIII.

ლევებზე გალაშქრება.—მაჭმად-უული-ხანი.—შავ თამაზი.—რუ-
 სები იპყრობენ კასპიის ზღვის ნაპირებს. — მაჭმად-უული-ხანი
 იპყრობს ქართლს.—გახთანგი რაჭაში მიღის, იქიდგან 1724 წ.
 გადასახლდება რუსეთში.— გახთანგი იქვე გარდაიცვლება.—
 ლემალი იპყრობენ ქართლს.— ლემალი კახეთში.— ქართლის
 განყოფა.— ლიქს იქითი ქვეყნების უნუგეშო მდგრმარება.—
 ნადირ-უული-ხანი სპარსეთში.— სპარსთა და ლემალთ ზავი.—
 კახეთში გამეფდება ოეიმურაზი.— სეფი-ხანი.— თეიმურაზი სპარ-
 სეთში.— ერეკლეს სპარსეთში გაიწერენ.— თეიმურაზიც და ერე-
 კლეც დაბრუნდებიან სამშობლოში.— ქსის და არაგის ერისთვე-
 ბის ბრძოლა.— ერეკლე დაბრუნდება.— ერეკლეს ერთგულობა შავისადმი.—
 ქართლის ტახტი მიცემა (1744 წ.) ოეიმურაზ II და კახეთისა
 ერეკლე II-ს.— ამავე წელს მოისპობა ათაბეგთა ჩამომავლობა.

ვასთანგის ლეგებთან საბრძოლველად მიემგელა გახეთის
 მეფე იმამ-უული-ხანი და შირვის ბეგლარ-ბეგი. შეერთებული
 ჯარები რომ მივიღნენ მაღაროს, იმამ-უული-ხანი მოგვდა და
 გალაშქრება დამშალა. ვასეთის ტახტზე ავიდა (1722 წ.) მმა
 იმამ-უული-ხანისა მაჭმად-უული-ხანი (კოსტანტინე II.)

ამის შემდეგ ვასთანგის ბედი უკუდმა დატრიალდა, ქართ-
 ლიც უკადურეს მდგრმარეობაში ჩავარდა. ამის მიზეზი იყო
 რუსეთის იმპერატორის პეტერ I-საგან დაპურობა (1732 წ.)
 დებონდისა. მეორე წელიწადა რუსის დენერალმა მათუ შეიანდა
 რომ აიღო ბაქო, ასტრაბადი, მაზანდერანი და გილანი, თამა-
 ზი უარესად გაუწერა ვასთანგ მეფეს. შავს ეგონა, რომ
 ვასთანგი ამხნევებს რუსებსათ და სპარსეთს უსევსო. თამაზმა

გადასწუვიტა დაესაჯა გახთანგი და გაერთიებინა ქართლი. ამი-
 ტომ გახთანგმა 4 ენგენისთვეს 1723 წელს რუსეთის იმპერა-
 ტორს შემწეობა სთხოვა.

განძვინებულმა თამაზმა დიდ-ძალი ჭარები გამოუგზავნა
 მაქმად-უული-სანს და უბრძანა გახთანგი ქართლის ტახტიდამ
 ჩამოეგდო და თვითონ გამეფებულიყო ქართლში. პირველად
 სეიდა-ბადის ბრძოლაში გახთანგმა დამარცხა მაქმად-უული-ხა-
 ხანი, მაგრამ მეორედ, ორცა ჭარ-ბელაქნელები მოიშველა, აღ-
 თხონა ჭრის საპირები და წინ-წყარო პირჭე დასცა. გახთანგის
 მე ბაქარი შეკვიდა საგურამოში, გახეთში და ბევრი აღგილები
 გააფეხს. ეს იყო მიზეზი, ორმ მაქმად-უული-სანმა მოინდო-
 მა გახთანგთან შერიგება, მაგრამ საუბედუროდ შერიგება არ
 მოჰსდა, რადგან ცოცი-შვილები და ერისთვები განუგდნენ გახ-
 თანგს და მიემსრნენ გახეთის მეფეს. განხნევებული მაქმად-
 უული-ხანი იერიშით მივიდა თბილისზე, აიღო ისა (1723 წ.),
 დაანგრია და გაცარცვა სიონის ტაძრით. *)

გახთანგი გაიქცა რაჭაში და იქიდგან შემწეობა სთხოვა
 ახალ-ციხის ფაშას ისააგს. მაგრამ მეფის მოციქულად გაბ-
 ზავნილმა მმამ იასემ (გაჭრისტიანებულმა) უდალატა მმას და,
 ორმ ქართლის ტახტი ხელო ეგდო, ისევ გამაქმადიანდა და
 ეხლა სახელად ეწოდა მუსტაფა-ფაშა.

ამასობაში გახთანგმა შემწეობის მაგიურად რუსეთის იმპე-
 რიტორის შეტრედიდისაგან რუსეთში მაწვევა მიიღო, რისგამო
 მეფე 1724 წ. გადასახლდა რუსეთში და თან წაიუგნა თავისი
 ფალაბობა, სუთი ეპისკოპოსი, 5 დეკანზი, 6 ბერი, სხვა
 სამდგრელონი და 1400 კაცი უოგელი წოდებიდამ. შეტრ-

*) ამ დროს დაიკარგა მდიდარი სიონის დვინის-შემბლის
 ხატი.

ბურღში მისკლამდის იმპერატორი პეტრე გარდაცვლილი და
იმპერატორიცამ ეკატერინემ I ისინი დასახლა რუსეთში და უკა-
ლას საზოდო დაუნიშნა. ამავე დედოფლის ბრძანებით კახთანგი
რუსეთის ეჭჩად სპარსეთში წავიდა და დაბრუნებისას გარდაცვა-
ლა (1730 წ.) და დასაფლავებულ ას აშრანსანის ეპლესიაში.

ისემ ანუ მუსტაფა-ფაშამ მოინდომა ქართლში გამეფება.
ოსმალნი მას დაესმარნენ. სკორპიონი რაჭაბ-ფაშა, სულთნის
ბრძანებისამებრ, შემოვიდა ქართლში, გაახსრა მარტივოვი,
ხალხი ზოგი დატყვევა, ზოგი დასოცა, ხატები და ჯვრები
დალეწა და მემრე მოადგა თბილისს. მაჟმად-უული ხანმა ძრწო-
ლით მოართვა მას ქალაქის ციხის გასაღებები. რაჭაბი შეკი-
და ქალაქში და ისე ქართლის მეფედ აღიარა, მაგრამ
შეკენის მმართველად დასკა ახალ-ციხის ფაშა, რომლის ბრძა-
ნებით საყდრებიდამ ჩამოგდებულ იქმნენ უკალა ჯვრები. უო-
გელს კაცს დაედო თითო დრაჟესანი სარჭა, თითო ცხვარზე
თარი შაური, ძრთსაზე ახაზი, ცხენზე და კამეჩზე ეჭპს-ეჭპსი
შაური, ხილულობაზე და ხორაგეულობაზე მესუთედი ღირე-
ბული ფასისა. მაჟმად-უული-ხანი გაიჭრა თბილისიდამ და მიე-
მხრო ღებებს.

ღებები ამ დროს ბატონობდნენ განეთში. სოფლებში
და ქალაქებში ჰერტაგდნენ ქრისტიანთ ტაძრებს და მეჩეთებს
სდგმიდნენ. ღვდლების მაგირ ამწესებდნენ მოლებს. კახ-
თიდგან ესენი შეესეოდნენ ხოლმე ქართლს და არბევდნენ
ქვეუანას.

1728 წ. ისე რომ მოკვდა, აბეზარს მოსკლ ქართლუ-
ლებმა ოსმალთ წინააღმდეგ მოიწვიეს მაჟმად-უული-ხანი, რო-
მელიც ბეჭითად შეუდგა ოსმალთ წინააღმდეგ ბრძოლას. ფა-
შას საჭმე რომ გაუჭირდა, მაჟმად-უული-ხანს მისცა განეთის



სამეფო და ამით დამშეგიდა. მემრე ოსმალთ და მაჟმალ-უსული-ხანმა გადასწუვატეს ერთად შეეძრობლონ ლეპთ.

მაგრამ საქმე სხვა ნაირად დატრიალდა. უსუფ-ფაშა ძე ისააგ ფაშისა მოვიდა ყარაბაღში და მაჟმალ-უსული-ხანი ჯარებით დაიბარა ლეპტბზე გასალაშერებლად. ისიც აღავრიდელის და თარხან-მოურავის რჩევით წავიდა ყარადაჭში. აქ მოკლელ იქმნა მაჟმალ-უსული-ხანიც, ნიკოლოზ ალავრდელიც, რევაზ არაგვის ერისთავიც. ამათი თავები გაგზავნეს სტამბოლში წინაშე სულ-თნისა.

ამ ნაირად ოსმალთ დაიბერეს მთელი საქართველო. ქართლ-კახეთი და იმერეთი იუკნენ ახალ-ციხის ფაშის გავლენის ქვეშ. ამ დროს ყველაზე მშვიდობიანი და უშიშრად საცხოვრებელი აზგილი იყო ახალ-ციხის ქვეყანა. ეს იყო მიზეზი, რომ აქ მრავალი ქრისტიანი ხალხი თავ-შესაფარად გადმოსახლდა და სამუდამოდ დარჩა.

რადგან არავინ აღარ იყო სამეფო გვრიძამ, რომ მას დანდობოდნენ და ქართლის ტახტზე აღევეანათ, ამიტომ ოსმალთ მთელი სამეფო მიწები ასრე გაჭებეს: სომხითი და საბარათიანი მისცეს ერასტ ყაფლანიშვილს (ორბელიანის), მცხეთიდგან გორამდის (მტკვრის მარჯვენა მხრით) ბაგრატ ცოციშვილს, გორას იქმთ ლიხამდის გივი ამილახორის, მუხრანი, ქსნის და არაგვის ხეობანი დარჩათ წინანდელ მიღლობელებს. ამ ნაირად რომ გაანაწილეს და მით სრულად დასტურეს ქვეყანა, მემრე დაიწყეს თავად-აზნაურობის, სამღვდელოების და ხალხის დამცირება და აწილება. გველას ართიერების დაღს სარჯს. უპატრონოდ და უმწეოდ დარჩომილი ხალხი გაისიზნა ტექ-ლეში და იქ დაიცეა თავის სარწმუნოება და სიცოცხლე.

